

178 /
1972/2

საქართველოს
საბჭოთავო
ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი



1922

1972

საქართველოს კვლევითი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

1972

6



საბჭოთა სამართალი

№ 6

ნომერი—დეკემბერი

1972 წელი

გამოცემის XIX წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

ზინაარსი

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მასალები

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი
სასამართლოს არჩევის შესახებ 3

სსრ კავშირის უამინის ორმოცდამათე წლისათვი

თანასწორუფლებიან ხალხთა მძლავრი კავშირი 10
ა. მენაბდე — ამიერკავკასიის ფედერაცია და სსრ კავშირის შექმნა 16
ი. ფუტყარაძე — საბჭოთა საქართველოს როლი სსრ კავშირის შექმნაში 23
ა. ლუღუნიშვილი — სახლის წილის შესყიდვის უპირატესი უფლება 29
ლ. ჩორგოლაშვილი — რკინიგზის მიერ ტვირთის დაკარგვა და მისი მტკიცება 38
კ. ბაბილაშვილი — პასუხისმგებლობა სიმფერაღეში ტრანსპორტის მართვისათვის 46
ბ. ცქიტიშვილი — ავამაღლოთ კვების მრეწველობის საწარმოებში სამართლებრივი
მუშაობის დონე 52
ლ. ისაკაძე — პროფ. გრ. ერემოვის იუბილე 55

48811

10 ნომერი — საბჭოთა მილიციის დღეა

კ. გაბუნია — ოცი წელი უხილავი ფრონტის მოწინავე ხაზზე 57

ქართული სამართლის ისტორია

ბ. ნადარეშიძე — პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების ერთი განსაკუთ-
რებული შემთხვევის შესახებ ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით 59
მ. კვესელავა — დამოკლეს მახვილი 67
ოფიციალური მასალა 72


კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. ტყეშელაიძე — წაშრომი საქართლის ნორმის შეფარდების შესახებ 74
ა. ფალიაშვილი, ზ. წულაია — სასარგებლო სახელმძღვანელო საბჭოთა სისხლის სა-
მართლის ზოგად ნაწილში 81
ნ. წერეთელი — გამოკვლევა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციის შესახებ 83

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე 86
ინფორმაცია 88

მოკლე ცნობები 91

არბიტრაჟის პრაქტიკა 94
ნიკროლოია 82



**МАТЕРИАЛЫ IV СЕССИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА
ГРУЗИНСКОЙ ССР**

Постановление Верховного Совета Грузинской ССР об избрании Верховного суда Грузинской ССР 3

50-ЛЕТИЕ ОБРАЗОВАНИЯ СОЮЗА ССР

Могучий Союз равноправных народов	10
А. Менабде — Закавказская Федерация и создание СССР	16
Я. Путкардзе — Роль Советской Грузии в создании СССР	23
А. Гугунишвили — Преимущественное право закупки части дома	29
Л. Чорголашвили — Утрата груза железной дорогой и доказательства утраты	33
Д. Бабилашвили — Ответственность за вождение транспорта в нетрезвом состоянии	46
Г. Цкитишвили — Поднять уровень правовой работы на предприятиях пищевой промышленности	52
Л. Исакадзе — Юбилей проф. Г. А. Еремова	55

10 НОЯБРЯ — ДЕНЬ СОВЕТСКОЙ МИЛИЦИИ

К. Габуния — Двадцать лет на передовой линии невидимого фронта 57

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

Г. Надареишвили — Об одном обстоятельстве исключаящем ответственность по своду законов Вахтанга VI	59
М. Квеселава — Домоклов меч	67
Официальный материал	72

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Ткешелиадзе — Труд о применении нормы права	74
А. Палиашвили, З. Цулаиа — Полезный учебник	81
Н. Церетели — Исследование об экономической функции Советского государства	83
В. коллегии министерства юстиции Грузинской ССР	86
Информация	88
Краткие сообщения	91
Арбитражная практика	94
Некролог	96

სარედაქციო კოლეგია

მეც. № 5999
ტირაჟი 1-800
შე 01713

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ს. ქაჯაია, ვ. ქვაჩხია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 99-09-62.

გადაეცა წარმოებას 8/XII-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/I-73 წ., ქალაქის ზომა 70×1081/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4 საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

მასკლეში

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბ-

ჭო ადგენს არჩეულ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე კარანაძე აკაკი გრიგოლის ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შავგულიძე თამაზ გრიგოლის ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები იოსავა გიორგი ყირიმის ძე ლორია დურმიშხან ანთიმოზის ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები აბაზოვი ოთარ ქოჩორას ძე ბაღდასაროვა ამალია სუმბათის ასული ბაღდაძე ნიკოლოზ ალექსის ძე ბახტაძე გივი ივანეს ძე ბლიაძე გოდერძი ვლადიმერის ძე ბუნტური ვასილ მიხეილის ძე გეგენავა ალექსი გრიგოლის ძე გერსამია თეიმურაზ ვალერიანის ძე გველესიანი ოთარ ალექსანდრეს ძე გოგილაშვილი ივანე ზაქარიას ძე დევდარიანი გრიგოლ გრიგოლის ძე ერქომაიშვილი ნინო ივანეს ასული თარგამაძე უშანგი გრიგოლის ძე

თორია შალვა დოროთეს ძე კალაევი ჯალილ კარა ოღლი კამკია ოთარ იაკობის ძე კვიციანი ზაურ მიხეილის ძე კობიაშვილი უშანგი ლავრენტის ძე ლუკოვიჩი ვლადიმერ სერგოს ძე მამისაშვილი ზაქარია ნიკოლოზის ძე მახარაძე დიმიტრი ფილიპეს ძე მახარაძე შალვა კირილეს ძე მირიანაშვილი ნინო გრიგოლის ასული ნადირაძე გრიგოლ რომანოზის ძე უორდანი ივანე შალვას ძე საყვარელიძე ლეონიდე მიხეილის ძე სვანიძე გრიგოლ ეზეკიას ძე სულავა ავთანდილ დომენტის ძე სუმბათაშვილი ივანე სიმონის ძე ქუმისაშვილი ანა იორამის ასული ღუღუნაშვილი ალექსანდრე არსენის ძე ჩიქვინიძე ეთერ მიხეილის ასული ჩორგოლაშვილი ლამარა იონას ასული ცაბლოვა ელისაბედ პავლეს ასული ცინცაძე ალექსანდრე მიხეილის ძე წეროძე რუსუდან პლატონის ასული ქიპაშვილი ბაბო სერგოს ასული ხითარიშვილი ეგგენი პავლეს ძე ხონიაკინა ადელინა ივანეს ასული ხუციშვილი ნორა გრიგოლის ასული

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსჯელები:

ქ. თბილისი

აბდუშელიშვილი გუგული კონსტანტინეს ასული

ალექსანდრია გიორგი ნესტორის ძე

ალექსიძე ალექსანდრე დიმიტრის ძე

ანანოვი პავლე არმენაყის ძე

ანდლუაძე გუგული ვლადიმერის ასული

არველაძე ინეშა შალვას ასული

არზუმანოვი ლევ არკადის ძე

არჭევანიძე ეთერი არქიბოს ასული

ასლანიშვილი სპარტაკ გიორგის ძე

აქსიომა თამილა ალექსის ასული

ბაქრაძე ოთარ აკაკის ძე

ბაქრაძე ტარიელ ლუკას ძე

ბაშალიშვილი გივი სევერიანის ძე

ბერაია ვასილ ალექსანდრეს ძე


ბერიძე ვახტანგ ვუკოლის ძე

ბიწაძე ცაბუ ლევანის ასული

ბოკუჩავა ავთანდილ ვასილის ძე


ბოზოჩაძე ლიკ სერგოს ასული

გასიტაშვილი გურამ სიმონის ძე



გედევანაშვილი ლევან დიმიტრის ძე
 გელაშვილი თამაზ ივანეს ძე
 გვრიტიშვილი ილარიონ ვასილის ძე
 ვილიგაშვილი დალი გიორგის ასული
 ვიორგაძე თენგიზ შალვას ძე
 ვოგინაშვილი გაიოზ ვასილის ძე
 ვოგოლაძე იზოლდა სტეფანეს ასული
 ვორღეშვიანი რისმანგ ველიანის ძე
 ვოჩიანი აღასი ევნატეს ძე
 ვრიგოლავა ვლადიმერ ვლადიმერის ძე
 ვრიგოლაშვილი თენგიზ შოთას ძე
 ვუჭაბიძე გიორგი კონსტანტინეს ძე
 დგებუაძე ამირან კირილეს ძე
 დვალაშვილი გივი ერასტოს ძე
 დოლიძე მეგი ვასილის ასული
 დონდუა ნინო სევერიანის ასული
 დუმბაძე ლილი ვასილის ასული
 ესაიაშვილი ვარლამ გიორგის ძე
 ვახაძე გიზო შალვას ძე
 ვაშაკიძე ჯემალ გიორგის ძე
 ზარქუა ამირან შალვას ძე
 ზირაქიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე
 თოფურაძე სევერიან პეტრეს ძე
 იაკობიძე სიმონ ალექსანდრეს ძე
 ილურიძე თამარ ალექსანდრეს ასული
 იორდანიძე სოფიო ალექსანდრეს ასული
 კაკაურიძე აკაკი ნიკოლოზის ძე
 კალანდარიშვილი მიხეილ სიმონის ძე
 კანაჩაძე გელა სარდიონის ძე
 კანდელაკი ალექსანდრე ილიას ძე
 კახანაძე ნანული აკაკის ასული
 კახნიაშვილი ზურაბ ალექსანდრეს ძე
 კერესელიძე იპოლიტე ვარლამის ძე
 კერესელიძე რამაზ აკაკის ძე
 კეკელიანი ანტა ზადოს ასული
 კვარაცხელია ჯემალ დავითის ძე
 კვინიკაძე ევგენი არჩილის ძე
 კიკნაძე ანატოლ პავლეს ძე
 კობახიძე ბიძინა სერგოს ძე
 კომახიძე ვეჟა აკაკის ძე
 კოდუაშვილი ლიანა ვრიგოლის ასული
 კობრებიძე ოლა დავითის ასული
 ლაშხი თეიმურაზ ივანეს ძე
 ლეონოვა ანასტასია ივანეს ასული
 ლეჟავა გელა გიორგის ძე
 ლეჟავა ცისანა გიორგის ასული
 ლექვიანიძე ალექსანდრე გიორგის ძე
 ლომინაძე ჯუმბერ გიორგის ძე
 ლომიძე ყუყუნა მიხეილის ასული
 ლომთათიძე იამზე შალვას ასული
 ლოლაძე ლილა კონსტანტინეს ასული
 მანავაძე გიორგი ლავრენტის ძე
 მარგუნიენკო ნინო ივანეს ასული
 მარუტაიანი ალექსანდრე ისრაელის ძე
 მარტაშვილი შოთა კონსტანტინეს ძე

მარუაშვილი ჯემალ გიორგის ძე
 მარდანიანი ნინო მელიტონის ასული
 მაყაშვილი შალვა ივანეს ძე
 მაჭარაძე გიორგი გაბრიელის ძე
 მახარაძე კონსტანტინე მიხეილის ძე
 მელაძე სოლომონ სამსონის ძე
 მერაბიშვილი სონია თევდორეს ასული
 მეტონიძე რამაზ დავითის ძე
 მეტრეველი ბაბილიანა ბესარიონის ასული
 მეცხოვრიშვილი რევაზ შალვას ძე
 შირველაშვილი ვენერა ვასილის ასული
 მიროტაძე ქეთევან აკაკის ასული
 მირცხულავა ილია იორდანეს ძე
 მიქანაძე იუნონა სარდიონის ასული
 მიქაძე მიხეილ დავითის ძე
 მიხაშვილი ლიანა გიორგის ასული
 მოგელაძე თინა ალექსანდრეს ასული
 მოსიძე ვახტანგ მიხეილის ძე
 მუშუქუდიანი თენგიზ ვარლამის ძე
 მუხუზრაძე ეთერ სიმონის ასული
 მჭედლიძე გონერი გიორგის ძე
 მხეიძე სიმონ მიხეილის ძე
 ნაკაძე ივანე ვლადიმერის ძე
 ნაკონჩინი ვასილ თევდორეს ძე
 ნამჩევაძე გურამ პროკლეს ძე
 ნასიძე სულხან ივანეს ძე
 ნატროშვილი გიორგი ივანეს ძე
 ნინუა ბორის ვლასის ძე
 ონიანი ვასილ სარდიონის ძე
 პაპუაშვილი სერგო სიმონის ძე
 პეტრიაშვილი ვლადიმერ სოლომონის ძე
 პეტრიაშვილი ჯულიეტა ვასილის ასული
 რაზმაძე ომარ ნესტორის ძე
 რობაქიძე ვახტანგ ეფრემის ძე
 სალუქვაძე სოსო ივანეს ძე
 საღარაძე ვიქტორ პლატონის ძე
 სახამბერიძე მარგალიტა ტარასის ასული
 სახვაძე ელგუჯა ტრიფონის ძე
 სისაური გულნარა ზაქარაის ასული
 სოლომონია ეთერ ბეგლარის ასული
 სტურუა ავთანდილ შოთას ძე
 სტურუა რობერტ რობერტის ძე
 სულთაშვილი-ჯუღელი ქეთევან მინას ასული
 სხილაძე გუგული ვარდენის ასული
 ტრიპოლსკი იაკობ ვლადიმერის ძე
 ფალიანი კარლო ალექსანდრეს ძე
 ფანჯიიძე გურამ ივანეს ძე
 ქუთათელიაძე ანზორ კონსტანტინეს ძე
 ღარიბოვი სერგო არკადის ძე
 დვებერიძე ანასტასია გერასიმეს ასული
 ღვინიაიძე დიომიდე ჯუსის ძე
 ღვინევაძე ავთანდილ გრიგოლის ძე
 ღლონაძე ცაცა ალექსანდრეს ასული
 ყურაშვილი ბესარიონ იასონის ძე
 შენგელია გურამ შალვას ძე



შენგელაია ელდარ ნიკოლოზის ძე
 ცინდელიანი შამშუ ტავუც ძე
 ციცრიაშვილი მზია შაქროს ასული
 ცვიტიშვილი აპლონ თომას ძე
 ცხოვრებაშვილი ზაირა გრიგოლის ასული
 ჩარკვიანი გელა კანდიტის ძე
 ჩახვაძე იზოლდა ლევანის ასული
 ჩიქოვანი ზოია ალექსანდრეს ასული
 ჩხარტიშვილი შალვა ნოეს ძე
 ჩხენკელი ივანე ნოეს ძე
 ძიგუა დავით იოსების ძე
 ძიძიგური სამსონ ვლადიმერის ძე
 წერეთელი ვარვარა სიმონის ასული
 წერეთელი ნელი ვლადიმერის ასული
 ჭავჭავანიძე ვლადიმერ ვალერიაანის ძე
 ჭიაურელი სოფიკო მიხეილის ასული
 ჭილაძე ოთარ ივანეს ძე
 ჭკადუა ვალერიან კირილეს ძე
 ხაინდრავა მარიამ ბაგრატის ასული
 ხარატიშვილი ვახტანგ ივანეს ძე
 ხარებოვა ნორა ბენიამინის ასული
 ხაუალია კონსტანტინე ზაქარიას ძე
 ხატიაშვილი ელენე მიხეილის ასული
 ხატიაშვილი ნუნუ გიორგის ასული
 ხიდაშელი შალვა ვასილის ძე
 ხიზანიშვილი იასონ ანდრეას ძე
 ხორავა ვერა ილარიონის ასული
 ხოშტარია თენგიზ სიმონის ძე
 ხუნდაძე მამია ივლიანეს ძე
 ხუნდაძე ოლიმპიდა ხარიტონის ასული
 ხუციშვილი გივი რაჟდენის ძე
 ხუციშვილი შალვა სპირიდონის ძე
 ჯავახიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე
 ჯანბერიძე ნოდარ შალვას ძე
 ჯაფარიძე კოხტა გიორგის ძე
 ჯაფარლი თემურ მამედის ძე

ქ. გორი

აკოფოვი გიორგი გრიგოლის ძე
 ბერიშვილი ნელი გიორგის ასული
 ბერიქანიშვილი მიხეილ ესტატეს ძე
 გერმანიშვილი მაცვალა მიხეილის ასული
 ზარქუა ზეინაზ ლევანის ასული
 კიკნაძე სულიკო აზარაის ასული
 ქაფიანიძე დურმიშხან ნიკოლოზის ძე
 ქუმსიაშვილი მედიკო ვლადიმერის ასული
 ყანჩაველი მარიამ გიორგის ასული
 ცაბაძე ვლადიმერ გიორგის ძე.

ქ. ზუგდიდი

არონია შალვა ევგენის ძე
 ცომინტია ლუიზა კირილეს ასული
 ჩიხლაძე სევერიან მიხეილის ძე
 ჩოჯუა ლიდა კონსტანტინეს ასული.

ქ. რუსთავი

აბაშიძე თენგიზ ლევანის ძე
 ანთელიძე სამსონ დიმიტრის ძე
 ბერიძე უშანგი სოსოს ძე
 გაფრინდაშვილი ანდრო კარპოს ძე
 გაფრინდაშვილი სტანგერ ალექსანდრეს ძე
 გუგუშვილი გიორგი ენუქის ძე
 დენისოვი ავლინი პავლეს ძე
 დუმაშვილი არმაზ არჩილის ძე
 მოურავოვა თამარ ალექსანდრეს ასული
 პატიაშვილი მზია ილიას ასული
 სახვაძე ნუგზარ კალისტრატეს ძე
 სილივანოვა მარია ივანეს ასული
 ტარხანოვა ლიდა მიხეილის ასული
 შენგელაია ვაჟა მიხეილის ძე
 წიქორიძე ანზორ კლავდიუსის ძე
 ხელაძე ირაკლი გიორგის ძე.

ქ. ტყიბულო

აბესაძე იასონ სეითის ძე
 ბეშქენაძე ოთარ პლატონის ძე
 დახუნდარიძე მანდარი ნესტორის ძე
 კილაძე ელენე ვლადიმერის ასული
 კუპრავა ტარასი ლევანის ძე
 ჩხეიძე თამარ გალაქტიონის ასული.

ქ. ფოთი

ალანია შოთა გალაქტიონის ძე
 გულორდავა თინა ანტონის ასული
 მიჭავა კლიმენტი ვასილის ძე
 ნინუა ისიდორე პეტრეს ძე
 ქოაიავა აკაკი ბესარიონის ძე
 ღვამბერია გივი ლევანის ძე
 ცხადაია ნადეჟდა ერმალოს ასული
 ჩაჩიბაია მარიამ დავითის ასული
 ჩაჩიბაია მიხეილ აღმასხანის ძე
 ხორავა გრიგოლ ივანეს ძე.

ქ. ქუთაისი

აბდლაძე ლამარა ბაგრატის ასული
 აბესაძე გიორგი გენადის ძე
 არსენიძე ირაკლი თეოფილეს ძე
 ბაქრაძე გიორგი გალაქტიონის ძე
 ბიბილეიშვილი ბონდო ალექსანდრეს ძე
 ბოხუა აკაკი აქვსენტის ძე
 გაბედავა მარადი იონას ძე
 გახოკიძე ცისანა ლავრენტის ასული
 გვაზავა ლუბა ბათლომეს ასული
 გიორგაძე ცილა შალვას ასული
 გონგლაძე მიხეილ ივანეს ძე
 ზაქრაძე ნოე ვარლამის ძე
 იოსელიანი დავით აპლონის ძე
 კენქოშვილი ვალერიან ვასილის ძე



კინწურაშვილი მალვინა გრიგოლის ასული
 კუჭავა ლიანა პავლეს ასული
 ლიპოვცივი ვლადიმერ პეტრეს ძე
 ნიუარაძე ეფრემ ბუას ძე
 ნუქიფიშვილი ანგელინა სარდიონის ასული
 ხინაურიძე ნოდარ სერგოს ძე
 უკლება ქეთევან აკაკის ასული
 ქარჩხაძე შოთა ილარიონის ძე
 აბუთიძე მანანა მიხეილის ასული
 ფიორაბიანი მურთაზი ვარლამის ძე
 ცინცაძე ჯულიეტა აკის ასული
 ცქიფურიშვილი თამარ ილიას ასული
 ჭულაყიძე ოთარ თეოფილეს ძე.

ქ. კიათურა

გელაშვილი ვენერა ვარლამის ასული
 დეკანოიძე მიხეილ იპოლიტეს ძე
 მუმლაძე ლევან ნიკოლოზის ძე
 ტყემალაძე დარეჯან სიმონის ასული
 ცაბოლოვა ქსენია იოსების ასული
 ჩუბინიძე ტიტე მიხეილის ძე
 წარეთელი ანდრო გრიგოლის ძე
 ჭავჭავანიძე იური სევერიანის ძე.

აბაშის რაიონი

ბოკუჩავა ნოე სოლომონის ძე
 დავითაია დავით ირაკლის ძე
 მელაძე მედიტონ უშანგის ძე
 ჩოხელი მარიამ ალექსანდრეს ასული.

ადიგენის რაიონი

გრიგოლია გურამ ივანეს ძე
 ზერაიძე სერგო ილარიონის ძე
 ჩერქეზიშვილი მერი ალექსანდრეს ასული
 ჭოხონელიძე თამარ კონსტანტინეს ასული.

ამბროლაურის რაიონი

გაგოშიძე სეით ანტონის ძე
 გოგრიჭიანი დიომიდე ფილიპეს ძე
 ენუქიძე მარიამ კალისტრატეს ასული
 იაშვილი გიორგი ივანეს ძე
 კელიძე ლილი ისიდორეს ასული.

ასპინძის რაიონი

ბექაური მოსე გიორგის ძე
 ველიჯანაშვილი ანა ალექსის ასული
 ჭღამაძე მარგო პარმენის ასული.

ახალქალაქის რაიონი

ვართანოვი ამბარცუმ მიხეილის ძე
 მაისურაძე გიორგი სანდროს ძე

მელიქიძე პანტელ იავორის ძე
 შირინიანი ერვანდ სუმბათის ძე.

ახალციხის რაიონი

აგაბაბიანი ბარსეგ ზარმანის ძე
 გიქოშვილი გიორგი ლაზარეს ძე
 კოპაძე ელგუჯა გიორგის ძე
 კურტანიძე იოველ კონსტანტინეს ძე
 ტყაბლაძე კონსტანტინე თომას ძე
 ხაბაროვი ვიტალი პავლეს ძე.

ახმეტის რაიონი

გოცირიძე გოგი ვლადიმერის ძე
 ტერტერაშვილი დალი გიორგის ასული
 დადალაშვილი შოთა გორგის ძე
 ხარიტონაშვილი გიორგი ვასილის ძე.

ბოგდანოვკის რაიონი

ვლასოვი პეტრე ივანეს ძე
 მოსოიანი არშაკ სიმონის ძე
 ტაზიანი ფენია გელამის ასული
 შახბაზიანი ელენე აშოთის ასული.

ბოლნისის რაიონი

დევნოშვილი ეთერ აბრამის ასული
 კვინიკაძე ლეონიდე სიმონის ძე
 მამედოვ ტალიბ მამედ ოღლი
 მანუჩარიანი როზა გრიგოლის ასული
 მიქიაშვილი კარლო აბელის ძე
 ტანრივერდიევა ტუკაზბან მამედალი ყუზი.

ბორჯომის რაიონი


აბრამიშვილი ნუნუ იოსების ასული
 მაისურაძე ალექსანდრე ილიას ძე
 ნაცვლიშვილი ლევან პავლეს ძე
 შამელაშვილი მიხეილ იოსების ძე .

გარდაბნის რაიონი

მამულაშვილი ვენერა ვასილის ასული
 მუსტაფაევი მუჰანფარ მავაფედ ოღლი
 პატარიძე გაიოზ მიხეილის ძე
 კელიძე სიმონ ხარიტონის ძე.

გემეჭკორის რაიონი

გემეჭკორი ვერა ბესარიონის ასული
 გვალა ვაჟა ამბაკოს ძე
 თოფურია ბონდო სამსონის ძე
 რურუა შოთა ვლადიმერის ძე.



გორის რაიონი

გიგაური გრიგოლ ზაქარაის ძე
ნასყიდაშვილი ტანია კონსტანტინეს ასული
სამნიაშვილი ეკატერინე დავითის ასული
ურიგაშვილი რიმა ალექსის ასული.

გურჯაანის რაიონი

ანჯაფარიძე სამსონ ნიკოლოზის ძე
ელიბზარაშვილი მზია ზაქარაის ასული
შირაქიშვილი უშანგი ივანეს ძე
ქოროღლიშვილი ქოროღლი ნიკოლოზის ძე
ქოჩორაშვილი რობიზონ სიკოს ძე
ძამუჯაშვილი მარიამ ხარიტონის ასული.

ღმანისის რაიონი

ეიუბოვ ეიუბ ხადანინ ოლი
მოსიანც ანდრო არშაკის ძე
რუსია თინა სოლომონის ასული
ჩალაძე ვასილ არსენის ძე.

ღუშეთის რაიონი

ველთაური იაოკბ კონსტანტინეს ძე
თინიკაშვილი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე
ნამგალაური ნაზი დავითის ასული
წიკლაური გიორგი თორელას ძე.

ვანის რაიონი

თელია ეთერ ბესარიონის ასული
კაპანაძე ომარ ბენიაშინის ძე
ნიკოლეიშვილი ანანია პარმენის ძე
ფანცულაია ელენე არსენის ასული.

ზესტაფონის რაიონი

გოგიაშვილი გრიგოლ იაგორის ძე
თუთარაშვილი ვივი მიხეილის ძე
კუპატაძე ბარბაღე სპირიდონის ასული
კუხიანიძე აპოლონ ნოეს ძე
პირველაშვილი ნინა ივანეს ასული
ჩხიკვაძე ვივი მიხეილის ძე.

ზუგდიდის რაიონი

არახამია ვივი მელიტონის ძე
ბელქანია ნათიკო დიანოზის ასული
დარსანია პართენ ილარიონის ძე
ნანავა ზაირა ნიკოლოზის ასული
პაქკორია გურამ ადამურის ძე
როგავა აპოლონ შაპანის ძე
სახურია ვლადიმერ იასონის ძე
შამუგია ვალერიან ნიკოლოზის ძე
ხუბულავა ზოია შალვას ასული
ჭითანავა ლეილა ალექსანდრეს ასული.

თეთრიწყაროს რაიონი

გიგაური ზაქარია ივანეს ძე
მირონოვი კონსტანტინე იაკობის ძე
სულემიანაშვილი გრიგოლ თომას ძე
სულხანიშვილი სოლომონ იოსების ძე.

თელავის რაიონი

ბორაშვილი ხარიტონ ივანეს ძე
კანაშვილი ეთერ ფრიდონის ასული
მაზანაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე
ქევზიშვილი თამარ ადამის ასული
ჩოთალიშვილი ჯემალ სიმონის ძე
ჭიქაშვილი ოქრო გიორგის ძე.

თერჯოლის რაიონი

არეშიძე ზურაბ მიხეილის ძე
ნასარიძე ივანე იაკობის ძე
ჭანკვეტაძე იპოლიტე გიორგის ძე
კუმბურიძე ნიურა კარპეს ასული.

თიანეთის რაიონი

ზურაბიშვილი ლამზირა მათეს ასული
იარაქული შალვა გიორგის ძე
ლევერაშვილი ოლია ივანეს ასული
ჭიმშიტაშვილი შალვა გიორგის ძე.

კასპის რაიონი

გელიაშვილი ლოლა გაბრიელის ასული
მადლაფერიძე რეზო იოსების ძე
მოსიაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე
ქართველიშვილი ფლორა ზაქარაის ასული
ყარანაშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე
შაქარაშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე

ლაგოდეხის რაიონი


ბალიაშვილი ნინო ილიას ასული
დეკანოძე ანა ნიკოლოზის ასული
დონდოლაძე ზაქარია ივანეს ძე
ზურეკიაშვილი ვასილ მახარეს ძე
მამისაშვილი ალექსანდრე ვლადიმერის ძე
ხუცურაული ნოდარ არჩილის ძე.

ლანჩხუთის რაიონი

ფირცხალაიშვილი ქეთო გიორგის ასული
ფირცხალაიშვილი შოთა მათეს ძე
ჩხაიძე მიხეილ ისაკის ძე
ჩხაიძე ჩიტო აკაკის ასული.

ლენტეხის რაიონი

ვაზიანი რაფიელ ნესტორის ძე
მუკბანიანი გელა ევაკის ძე
ხაბულიანი სარა ავქსენტის ასული.

**მაიაკოვსკის რაიონი**

გურგენიძე შალვა ბექტორის ძე
ენდელაძე დოდო სერაპიონის ასული
ფულარიანი ნანა კონსტანტინეს ასული
ჭაფარიძე ვახტანგ ილიას ძე.

მარნეულის რაიონი

ალიევ ფრიდუნ ალის ძე
კალმახელიძე ეთერ ილიას ასული
მამედოვ მამედ მახმუდ
მამედოვ შამმატ რზა ოღლი
სარქისიანი სეირან ადიბელის ძე
ხუდაევა როზა სალმან ყიზი.

მახარაძის რაიონი

გოგოტიშვილი ნადია სერგოს ასული
თავდიშვილი ვლადიმერ სერგოს ძე
მეგრელიშვილი მაგლონია ვლასის ასული
ქუთათელაძე ივანე მიხეილის ძე
ღლონტი აკაკი ვლადიმერის ძე
ჭეიშვილი დიმიტრი ილარიონის ძე.

მესტიის რაიონი

გვიჩიანი ანტონ დავითის ძე
მეგენეიშვილი ვერა ერმალოს ასული
ჩართოლანი სერგო ილარიონის ძე.

მცხეთის რაიონი

ბერუაშვილი გიორგი გრიგორის ძე
იმერლიშვილი ნადია გიორგის ასული
ლაღიაშვილი ალექსი სოლომონის ძე
სონაშვილი ელენე ზაქარიას ასული
ტერტერაშვილი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე
ჭაჭვაძე გულნარა ზაქარიას ასული.

ონის რაიონი

ბენდიანიშვილი ნინო ალექსის ასული
გორგიაშვილი სერგო ბესარიონის ძე
მაგრაქველიძე აკაკი ხახულის ძე
ქაფიანიძე გრიგოლ ექვთიმეს ძე.

ოროჯნიკიძის რაიონი

აბაშიძე მამია გრიგოლის ძე
ბუაჩიძე შალვა ალექსის ძე
გაბუნია ომარ მიხეილის ძე
ლოლაძე ტასო რაჟდენის ასული.

საგარეჯოს რაიონი

შალიკაშვილი ლევან გაბრიელის ძე
კეველიშვილი დიმიტრი ვასილის ძე

ქევნიშვილი გიორგი მიხეილის ძე
ჩეკურიშვილი დარეჯან ზაქარიას ასული.

სამტრედიის რაიონი

ბექაია მერი დომენტის ასული
გელეიშვილი ზურაბ ანტონის ძე
კობრეიძე დავით აპალონის ძე
მსხილაძე ვაჟა ილარიონის ძე
რევიშვილი ვლადიმერ არჩილის ძე
ქართველიშვილი კობა გიორგის ძე
ხუჭუა ზეინაბ შალვას ასული
ჯვარშიევილი თინა ნიკოლოზის ასული.

საჩხერის რაიონი

დეკანოიძე ვასასი ტრიფონის ასული
მაჭარაშვილი გიგა ივანეს ძე
ქავთარაძე ანდრო დავითის ძე
ხარშილაძე ვენერა ირაკლის ასული.

სიღნაღის რაიონი

ბოჭორიძე სიმონ მიხეილის ძე
ლეკაშვილი ვახტანგ მიხეილის ძე
ოქრუაშვილი გიული ფილიპეს ასული
სიმონიშვილი ილია მიხეილის ძე
უსენაშვილი იოსებ ხვთისოს ძე
შაიშმელაშვილი ეთერ ქრისტეფორეს ასული.

ქარელის რაიონი

გაგლოფე მათეოზ გრიგოლის ძე
კოზანოვა ნორა ანდრეას ასული
მაშიშვილი ვლიმერი არჩილის ასული
მამულაშვილი ქეთევან რევაზის ასული.

ყაზბეგის რაიონი


მარსაგიშვილი არჩილ ნიკოლოზის ძე
სუჯაშვილი გურამ დიმიტრის ძე
ღუღუშაური ლიდა გიორგის ასული.

ყვარლის რაიონი

ბერიკაშვილი გიგა ილიას ძე
იმერლიშვილი გალინა ისაყის ასული
იოსებაშვილი ივანე სოლომონის ძე
სილაგაძე ძაბული ალექსანდრეს ასული.

ჩოხატაურის რაიონი

ქერქაძე ჯონი ანტიფოს ასული
ცინცაძე სოსო ზაქარიას ძე
ქმანაშვილი ომარ შალვას ძე
კინჭარაძე დავით ლუკას ძე.



ჩხოროწყუს რაიონი

გორდულაძე დუდა ნიკოლოზის ძე
პაპავა ლიდა ნიკოლოზის ასული
ცირაძე ეთერ სამსონის ასული
ჩიქოვანი გიგლა შოთას ძე.

ცაგერის რაიონი

დამნიანი ზურაბ ვლადიმერის ძე
კობალიანი დავით კაპიტონისძე
მიქიაშვილი მარიკა ილარიონის ასული
ყურაშვილი ციალა პარმენის ასული.

ცხაკაიას რაიონი

ესებუა ვენერა ერმილეს ასული
ლატარია ნია ესტატეს ასული
მალანია დიონი უშანგის ძე
შალამბერიძე შოთა მეტოს ძე
შარტავა კალისტრატე თეოფანეს ძე.

წალენჯიხის რაიონი

გულუა ილია სოფრომის ძე
კვარაცხელია ვარლამ ანდრიაძის ძე
კვარაცხელია ვლადიმერ ისლამის ძე
კვარაცხელია ნიკოლოზ ექვთიმეს ძე
მანია ანდრო დიმიტრის ძე
ცხადია ალექსი იაკობის ძე.

წალკის რაიონი

აბუშევა ზინაიდა გიორგის ასული
იბრაგიმოვ ბაფატ ნოვრუზ ოღლი
სარქიანი ბორის ვეგარშაჰის ძე
წივილაშვილი ანა ალექსის ასული.

წითელწყაროს რაიონი

კოზლოვსკი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე
მანგოშვილი ივანე ვასილის ძე
ქვრივიშვილი ეთერ კონსტანტინეს ასული
ყოჩიაშვილი ილია ივანეს ძე.

წულუყიძის რაიონი

ბენდელიანი ზინა ალექსანდრეს ასული
ტაბიძე მიხეილ რომანოზის ძე
ყუფარაძე ლენა ილიას ასული
წივწივაძე ომარ დავითის ძე
ჭურჩაძე ავთანდილ ვლადიმერის ძე
ღჯამაძე ისონ გრიგოლის ძე.

წყალტუბოს რაიონი

დანვაძე მიხეილ ბავრატის ძე
გვიშიანი ვარლამ გრიგოლის ძე
გოციანიძე თინა ასკალოს ასული
ტყაბლაძე რაფიელ ოქროპირის ძე
ლაჭავა რაჟდენ ვლადიმერის ძე.

ხაშურის რაიონი

აბაშიძე სულიკო ვიჩხეღავის ძე
აბიაშვილი გიორგი სოლომონის ძე
გვაზავა მერი გრიგოლის ასული
გოგოლაძე როზა ლავრენტის ასული
ენუგაშვილი გიორგი ზურაბის ძე
მაჩაბელი დიმიტრი ალექსანდრეს ძე
ნადირაძე შოთა სიმონის ძე
რიმკუხი შალვა იოსების ძე.

ხობის რაიონი

დოღბაძე კაპიტონ ჯამას ძე
კუტალია ციციწო სამსონის ასული
ლიპარტია იონა ვასილის ძე
შვანია როდინა მიხეილის ძე.

აფხაზეთის ასსრ

არახაშია მიხეილ სტეფანეს ძე
ასვანუა მაკარ ბახულის ძე
ბერუღავა ოთარ ვასილის ძე
გულუა ავთანდილ მამანტის ძე
გუნბა მარიამ თაბაგის ასული
ლაკობა ზოია დავითის ასული
მალქაძე ზურაბ ალექსანდრეს ძე
პოლდნიაკოვი სავლე ანტონის ძე
შარმატ ციცი ბესლანის ასული.

აჭარის ასსრ

ზოიძე ნაზი მემედის ასული
კაცაძე შაქრო ვალერიანის ძე
კირჩხელი ზურაბ მამიას ძე
მურვანიძე ნანი ყარამანის ასული
ფუტყარაძე რეზო ნესრედინეს ძე
ქონიაძე რევაზ ალექსანდრეს ძე
შერვაშიძე არჩილ შაქირის ძე.
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი
კოდალავეი ანზორ გიორგის ძე
ნადირაძე იასონ იოსების ძე
სანაკოვეი ბორის გრიგოლის ძე
ტეხოვი ირაკლი კონსტანტინეს ძე
ცხოვრებოვი ვალერი ვარდანის ძე
ხაბალოვი ასლან საბას ძე.

თანასწორობიანი ხალხთა ძალადობრივი კავშირი

50 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა ჩვენი ქვეყნის თანასწორობიანი ხალხების ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია, რომ „ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში სსრ კავშირის შექმნას თავისი პოლიტიკური მნიშვნელობითა და სოციალურ-ეკონომიური შედეგებით უდიდესი ადგილი უჭირავს“. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებაში — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისათვის მზადების შესახებ“, — ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და თეორიულ დოკუმენტში ნაჩვენებია სსრ კავშირის შექმნისა და განვითარების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, მისი მონაპოვრები და წარმატებები, ეროვნულ საკითხში მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძლევამოსილი ცხოველყოფილი ძალა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ფედერაციული ანუ საკავშირო სახელმწიფოა, რომელიც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხის მოწესრიგების ამოცანებიდან გამომდინარე და მიზნად ისახავდა ხალხთა და ერთა ძმური თანამშრომლობის განმტკიცებას.

მარქსიზმ-ლენინიზმს ეროვნული საკითხი მიაჩნია სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად. კომუნისტური პარტია ეროვნულ საკითხს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თავისი პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების დროს.

ეროვნულ საკითხში კომუნისტური პარტიის რევოლუციური თეორიისა და პროგრამის ჩამოყალიბებაში, პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორმა, ჩაგრული ხალხების ინტერესებისათვის დაუცხრომელმა მებრძოლმა ვ. ი. ლენინმა. ვ. ი. ლენინის თეორიულ დებულებებს რომ ეყრდნობოდა, პარტიამ მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის ხალხები ერთიან და მტკიცე სახელმწიფოდ.

ოქტომბრის რევოლუციამდე მეფის რუსეთი, რომლის მოსახლეობის დიდ ნაწილს არარუსი ხალხები და ეროვნებები შეადგენდნენ, მართო მემამულურ-კაპიტალისტური ქვეყანა კი არ იყო, არამედ ეროვნული ჩაგვრის ქვეყანაც. მმართველი ფენები შეგნებულად აღვივებდნენ ხალხებს შორის ეროვნულ შუღლს და უნდობლობას, ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სხვადასხვა ეროვნების მუშების შეკავშირებისათვის, რათა ჩამოეშორებინათ მშრომელთა ყურადღება ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლისაგან. ამიტომ ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტას და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ახალი ტიპის, პრო-

ლეტარული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, რომელიც 1917 წლის 16 ნოემბერს გამოქვეყნდა, აღიარებდა ყოფილი მეფის რუსეთის იმპერიის ხალხთა თანასწორუფლებიანობას და თვითგამორკვევის უფლებას, აუქმებდა ყოველგვარ ეროვნულ პრივილეგიებსა და შეზღუდვებს. ხოლო 1918 წლის იანვარში სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობის მიერ მიღებულ „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციაში“, რომელიც უშუალოდ ვ. ი. ლენინის მიერ იყო დაწერილი, განსახიერება ჰპოვა ახალი სოციალისტური ტიპის ფედერაციის იდეამ.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთის ყოფილი იმპერიის ხალხების უმრავლესობამ, რომლებმაც ეროვნული დამოუკიდებლობა მიიღეს, ურთიერთდაახლოვების სურვილი და ერთიან მრავალეროვან სახელმწიფოდ გაერთიანების მისწრაფება გამოამყდავენეს. 1922 წლის დეკემბერში საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების სამხედრო, სამეურნეო და პოლიტიკური კავშირი დაგვირგვინდა ფედერაციული სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით.

ოქტომბრის რევოლუციამდე მარქსისტები, კომუნისტური პარტია უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდნენ ფედერაციისადმი, როგორც სახელმწიფო წყობილების ფორმისადმი. მარქსისა და ენგელსის აზრით ფედერაცია პრინციპულად მიუღებელი იყო პროლეტარული სახელმწიფოსათვის, ვინაიდან მხოლოდ ცენტრალიზაციის პირობებშია შესაძლებელი მსხვილი ინდუსტრიის განვითარება, ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს შორის სამეურნეო-პოლიტიკური განკერძოებულობის ლიკვიდაცია და პროლეტარიატის შემკიდროვებისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფა რევოლუციური გარდაქმნების განსახორციელებლად. თუმცა, გამონაკლისის სახით, მარქსსა და ენგელსს დასაშვებად მიაჩნდათ ფედერაციული სახელმწიფო წყობილების გამოყენება ეროვნული საკითხის გადასაწყვეტად ინგლისში (ირლანდიის განთავისუფლების საკითხთან დაკავშირებით).

ოქტომბრის რევოლუციამდე ფედერაციის წინააღმდეგი იყო აგრეთვე ვ. ი. ლენინი. მაგრამ მაშინაც კი მას ეროვნული საკითხის მოწესრიგებისათვის, პროლეტარიატის ინტერესებიდან გამომდინარე, დასაშვებად მიაჩნდა ფედერაციული სახელმწიფო წყობილების შექმნა. მხოლოდ უშუალოდ რევოლუციის წინა პერიოდში და მის შემდეგ დაასაბუთა ლენინმა, რომ რუსეთისათვის სოციალისტური სახელმწიფო წყობილების ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ფორმა ფედერაციული რესპუბლიკაა.

ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ თუ არ შეიკრა საბჭოთა რესპუბლიკების უმკიდროესი კავშირი, შეუძლებელია მათი დაცვა მსოფლიო იმპერიალიზმისაგან; რომ თუ არ იქნა საბჭოთა რესპუბლიკების მკიდრო ეკონომიური თანამშრომლობა, ვერ განხორციელდება იმპერიალიზმის მიერ დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენა, გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის შექმნა, შრომის რაციონალური საზოგადოებრივი დანაწილების უზრუნველყოფა და ბუნებრივი სიმდიდრეების ეფექტურად გამოყენება ქვეყნის ყველა ხალხის საკეთილდღეოდ; ვერ განხორციელდება მშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლება; ქვეყნის ყოველი ერისა და ეროვნების კულტურის ყოველმხრივი განვითარებისა და გაფურჩქვნის უზრუნველყოფა.

ყოველივე ეს გადაჭრით მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანებას, ისეთ სახელმწიფოდ, რომელსაც უნარი ექ-



ნებოდა უზრუნველყო საგარეო უშიშროებაც, სამეურნეო წარმატებაც და ხალხთა ეროვნული განვითარების თავისუფლებაც.

სსრ კავშირის შექმნის ლენინურ იდეას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ჩვენს ქვეყნის ყველა ერის მშრომელებმა. დაიწყო ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გამაერთიანებელი მოძრაობა. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საკითხი ფართოდ განიხილეს საბჭოების საგუბერნიო, სამაზრო და სათემო ყრილობებზე, ხალხმრავალ მიტინგებსა და კრებებზე. ყველა ეროვნების მშრომელთა მასებმა დაადგინეს მტკიცე გადაწყვეტილება—შეეკავიანთ თავიანთი ძალები და რესურსები საერთო მიზნის მისაღწევად — სოციალიზმისა და კომუნისმის ასაშენებლად. გადაწყვეტილება საკავშირო ფედერაციულ სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ მიიღეს ყველა რესპუბლიკის საბჭოების ყრილობებმა. 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების პირველმა სრულიად საკავშირო ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა დეკლარაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. დეკლარაციაში გამოთქმული იყო მტკიცე რწმენა, რომ ახალი საკავშირო სახელმწიფო ღირსეულად დაავიჯინებდა ხალხთა მშვიდობიან ცხოვრებასა და ძმურ თანამშრომლობას, რომლებსაც ჰერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში ჩაეყარა საფუძველი. ხელშეკრულებას ფედერაციულ სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ ხელი მოაწერა ოთხმა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ — რუსეთის ფედერაციულმა, უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერკავკასიის ფედერაციულმა. ამასთან დაკავშირებით შემუშავდა და 1924 წლის 23 იანვარს სრულიად საკავშირო საბჭოების II ყრილობამ დაამტკიცა ახალი ფედერაციული სახელმწიფოს ძირითადი კანონი — სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია.

მაგრამ სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესი ამით არ დამთავრებულა. პირიქით, იგი შემდგომ განვითარდა და სრულყოფილი გახდა. 1924 წელს შეიქმნა თურქმენეთისა და უზბეკეთის, ხოლო 1929 წელს — ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. 1936 წელს ყაზახეთისა და ყირგიზეთის ავტონომიური რესპუბლიკები გარდაიქმნენ მოკავშირე რესპუბლიკებად, ხოლო ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელმაც შეასრულა თავისი ისტორიული როლი, გაუქმდა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამ დროისათვის თერთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის წარმატებები სოციალიზმის მშენებლობაში საკანონმდებლო წესით აისახა სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაში.

მას შემდეგ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სახელმწიფო წყობილებაში კიდევ მოხდა ცვლილებები. 1940 წელს ლატვიის, ლიტივის, ესტონეთის მშრომელებმა რევოლუციური ბრძოლით აღადგინეს საბჭოთა ხელისუფლება და ეს ქვეყნები მიღებულ იქნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში როგორც მოკავშირე რესპუბლიკები; ხოლო როდესაც საბჭოთა კავშირს დაუბრუნდა ბესარაბია, მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოლდაველებისა და მოლდავეთის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მოსახლეობის გაერთიანების შემდეგ შეიქმნა მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკა.

ამჟამად სსრ კავშირში გაერთიანებულია 15 მოკავშირე სოციალისტური რესპუბლიკა, რომელთა შემადგენლობაში შედის 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქი და 10 ეროვნული ოკრუგი. ამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულთა ტერიტორიაზე 100-ზე მეტი ერი და ეროვნება ცხოვ-

რობს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრები არიან.

საბჭოთა ფედერაციაში შემავალი თითოეული მოკავშირე, რესპუბლიკა სრულუფლებიან სოციალისტურ სახელმწიფოდ ითვლება, რომლის სუვერენიტეტი და უფლებები შეზღუდულია სსრ კავშირის გამგებლობისადმი მიკუთვნიებული საკითხების ფარგლებით. მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას, მაგრამ ითვალისწინებს ამ რესპუბლიკის თავისებურებებს, აქვს თავის ტერიტორია, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე, შეუძლია უშუალო ურთიერთობა დაამყაროს უცხო სახელმწიფოებთან და ჰყავდეს თავისი საჯარო-სო ფორმირებანი, აქვს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები და სხვ. გარდა ამისა, მოკავშირე რესპუბლიკები უფლებამოსილი არიან შექმნან თავიანთი სასამართლო ორგანოები, განახორციელონ კანონმდებლობა სამართლის სხვადასხვა დარგში საკავშირო ხელისუფლების მიერ მიღებული ძირითადი საფუძვლების შესაბამისად.

რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკათა შემადგენლობაში შემავალ ავტონომიურ ერთეულებს, მათი უმაღლესი ფორმაა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. მართალია ასსრ არ არის სახელმწიფო სუვერენიტეტის მატარებელი, მისი კონსტიტუცია უნდა დაამტკიცოს მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, მას არა აქვს მოქალაქეობის მინიჭების უფლება, არ სარგებლობს მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობიდან გასვლის უფლებებით, — მაგრამ მას საკმაოდ ფართო უფლებები აქვს მინიჭებული თვითმმართველობის განხორციელებისათვის. ამის დამადასტურებელია საკუთარი კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, ხელისუფლების, მმართველობისა და მართლმსაჯულების ორგანოების არსებობა და ა. შ. ასს რესპუბლიკებს აქვთ თავიანთი ტერიტორია, რომლის შეცვლა არ შეიძლება მათივე თანხმობის გარეშე.

მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური ერთეულია აგრეთვე ავტონომიური ოლქი. ჩვეულებრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოლქისაგან განსხვავებით ავტონომიური ოლქისათვის დამახასიათებელია ეროვნული შემადგენლობისა და ყოფის თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ამა თუ იმ ეროვნების თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ ოჯახში.

თავისებური ავტონომიური ერთეულია ეროვნული ოკრუგიც. ისინი არსებობენ მხოლოდ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში და აერთიანებენ ჩრდილოეთში მოსახლე სხვადასხვა ეროვნებებს, რომლებიც რევოლუციამდე უადრესად ჩამორჩენილი იყვნენ.

საბჭოთა სახელმწიფო წყობილების ფედერაციულმა ფორმამ და საერთოდ მრავალეროვანი სოციალისტური ქვეყნის თავისებურებებმა განაპირობეს სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სტრუქტურის სპეციფიკურობა და მუშაობის ხასიათი, რითაც უზრუნველყოფილია სხვადასხვა ერებისა და ეროვნებების წარმომადგენლობა ამ ორგანოებში, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური ერთეულების ინტერესების გათვალისწინება და დაცვა.

ეს პრინციპი დაედო ერთ-ერთ საფუძვლად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემას სსრ კავშირის შექმნის შემდეგ. 1924 წლის კონსტიტუ-



ციის მიხედვით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენდნენ სსრ კავშირის საბჭოების ყრილობა, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმი. სსრ კავშირის საბჭოების ყრილობებზე, რომლებსაც იწვევდნენ ჯერ წელიწადში ერთხელ, შემდეგ კი წელიწადში ორჯერ, — დელეგატებს ირჩევდნენ სამხარეო და საოლქო საბჭოების ყრილობებზე, აგრეთვე მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების საბჭოების ყრილობებზე.

ყრილობათა შორის პერიოდში უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სწორედ ის იყო ახალი ფედერაციული წყობილების ყველაზე მკაფიო ამსახველი. ცაკის შემადგენლობაში შედიოდა ორი თანასწორუფლებიანი პალატა — საკავშირო საბჭოთა და ეროვნებათა საბჭო. პირველის არჩევა ხდებოდა საბჭოების ყრილობის მიერ მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთაგან რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად, ხოლო ეროვნებათა საბჭოში შედიოდნენ ყოველი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის ხუთ-ხუთი წარმომადგენელი და ავტონომიური ოლქის თითო-თითო წარმომადგენელი, რომლებსაც საბჭოების ყრილობა ამტკიცებდა. ცაკიც სასესიო წესით მუშაობდა. სესიას სამჯერ მაინც იწვევდნენ საბჭოების ყრილობათა შორის პერიოდში.

ცაკის სესიებს შორის მუდმივ მოქმედ უმაღლეს ორგანოდ ითვლებოდა მისი პრეზიდიუმი. ცაკის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიოდნენ თავმჯდომარეები მოკავშირე რესპუბლიკების რიცხვის მიხედვით, ცაკის ორივე პალატის პრეზიდიუმების წევრები და ამ პალატების გაერთიანებულ სხდომაზე არჩეული პირები. მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობა უზრუნველყოფილი იყო აგრეთვე სსრ კავშირის ცაკისა და პრეზიდიუმის სხვადასხვა კომისიებში.

სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება ამავე დროს საბჭოთა ფედერაციული წყობილების ფარგლებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე ეროვნული საკითხის გადაჭრასაც ნიშნავდა, ხოლო სამეურნეო და კულტურული განვითარების შედეგად ჩვენი ქვეყნის ხალხები ჩამოყალიბდნენ ახალი ტიპის სოციალისტურ ერებად. 1936 წლის კონსტიტუციით დადგინდა სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების შექმნის ახალი წესი ყველაზე დემოკრატიული და სრულყოფილი გახდა სსრ კავშირში შემავალი ფედერაციული და ავტონომიური ერთეულების წარმომადგენლობა საკავშირო ხელისუფლების ორგანოებში. ეს სისტემა დღესაც მოქმედებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის სუვერენიტეტის გამომხატველია. იგი შედგება ორი პალატისაგან — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან. კავშირის საბჭო მთელი მოსახლეობის საერთო ინტერესების ამსახველია. მასში წარმომადგენლობა განისაზღვრება შემდეგი ნორმით: ერთი დეპუტატი ყოველ 300 ათას მცხოვრებზე, ხოლო ეროვნებათა საბჭო ამსახველია ცალკეული ერისა და ეროვნების განსაკუთრებული ინტერესებისა, რაც დაკავშირებულია ეროვნულ თავისებურებებთან. მასში დაწესებულია წარმომადგენლობის შემდეგი ნორმა: 32 დეპუტატი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკიდან, 11 დეპუტატი თითოეული ავტონომიური რესპუბლიკიდან, 5 დეპუტატი თითოეული

ავტონომიური ოლქიდან და ერთი დეპუტატი ყოველი ნაციონალური ოკრუგიდან. ეროვნებათა საბჭოში წარმომადგენლობის მხრივ არცერთ მოკავშირე რესპუბლიკას არა აქვს უპირატესობა. მაგალითად, რუსეთის ააბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის ტერიტორია 17 მილიონზე მეტ კვ. კილომეტრს შეადგენს, ხოლო მოსახლეობა — 127 მილიონზე მეტს, — ეროვნებათა საბჭოში ირჩევს იმდენსავე დეპუტატს, რამდენსაც ესტონეთის სსრ, რომლის ტერიტორია უდრის 45 ათას კვ. კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა — 1,3 მილიონ კაცს.

ეროვნებათა საბჭო და კავშირის საბჭო სრული თანასწორუფლებიანობით სარგებლობენ: ორივე პალატას მოსახლეობა ირჩევს 4 წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, ორივე პალატა სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის თანაბარი უფლებით, ხოლო კანონი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დამტკიცდება ორივე პალატის მიერ. კანონები ქვეყნდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე.

მოკავშირე რესპუბლიკების, როგორც საბჭოთა ფედერაციის სრულუფლებიანი წევრების, წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია სხვა ცენტრალურ ორგანოთა საქმიანობაშიც. ეს შეეხება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელსაც უმაღლესი საბჭო ირჩევს და რომელსაც ჩვენი სახელმწიფოს კოლეგიურ პრეზიდენტს უწოდებენ. მის შემადგენლობაში თავმჯდომარის მოადგილეებად ირჩევენ თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლებს, როგორც წესი, ამ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეების სახით. სსრ კავშირის მთავრობის — მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში, რომელსაც უმაღლესი საბჭო ქმნის, შედიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობების მიხედვით, ასევე თანამდებობის მიხედვით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში შედიან მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისათვის მზადების შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მითითებულია, რომ ერთობლივი ბრძოლითა და შრომით იწრთობა და მტკიცდება თხუთმეტი საბჭოთა რესპუბლიკის კავშირი. სოციალიზმის და კომუნისმის მშენებლობის წლებში ჩვენში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. კომუნისმის მშენებლობის თანამედროვე პირობებში ჩვენი ხალხის ინტერესების, ნებისა და მოქმედების ერთიანობა, მისი შემადგენელი ყველა ერის შემოქმედებითი ენერჯია და ნიჭი სულ უფრო მკაფიოდ და სრულად ვლინდება.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის იუბილეს აღნიშნავენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე მოპოვებული ახალი მიღწევებით. დიადი საბჭოთა სამშობლოს ყველა ერი და ეროვნება ახალი ძალით ცხადყოფს თავის ერთიანობას, ლენინური პარტიის გარშემო შეკავშირებას, ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულებას, რაც კომუნისმის გამარჯვების საწინდარია.

სსრ კავშირის შექმნის შედეგად

ა. მენაბდე

სსრ კავშირის შექმნას, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისათვის მომზადების შესახებ, — თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით და სოციალურ-ეკონომიური შედეგებით დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში. ეს ისტორიული მოვლენა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეის დამაჯერებელი გამარჯვებაა, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ნაყოფიერი შედეგია.

საბჭოთა კავშირი განასახიერებს თავისუფალ ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის უზადლო ურთიერთობას, ეს მეგობრობა სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, საბჭოთა საზოგადოების მძლავრი მამოძრავებელი ძალაა, დაუშრეტელი წყაროა სსრ კავშირის ყველა ეროვნების მშრომელთა შემოქმედებითი შრომისათვის ყველაზე კეთილშობილური მიზნის — კომუნისმის გამარჯვების მისაღწევად.

მარქსიზმ-ლენინიზმი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეროვნული საკითხის სწორად გადაწყვეტას, თვლიდა, რომ ერების უფლებათა საკითხი არის არა განკერძოებული საკითხი, არამედ პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილია, რომელიც ექვემდებარება მთელს და მოითხოვს მის, როგორც ნაწილის, განხილვას მთელის თვალსაზრისით. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება წარმოუდგენელია საერთო რევოლუციური ფრონტის შექმნისა და განმტკიცების გარეშე. საერთო რევოლუციური ფრონტის შექმნა კი შეუძლებელია, თუ მხაგვრელი ერების პროლეტარიატმა პირდაპირი და გადამწყვეტი დახმარება არ გაუწია ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი ქვეყნის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს მოითხოვდა ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებას. ლენინის უდიდესი დამსახურებაა — ეროვნული საკითხის მეცნიერულად გაშუქება; ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება. ვ. ი. ლენინი თავიდანვე შეუპოვრად, განუწყვეტლივ იბრძოდა დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, განუმარტავდა ჩაგრული ერების სოციალისტებს ეროვნული საკითხის არსს და მათ მოვალეობას იბრძოლოთ ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ამან დიდად შეუწყობ ხელს ყოფილი რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხების დარაზმვას რუსეთის პროლეტარიატის გარეშემო. ხალხების ამ გაერთიანების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო ბოლშევიკების პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი პირველად კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა წამოაყენეს. მათ დაამტკიცეს, რომ არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც ჩაგრავს სხვა ხალხებს. მენშევიკებმა ერთა თვითგამორკვევის უფლება დაიყვანეს კულტურული ავტონომიის უფლებამდე, ე. ი. ჩაგრული ერების




უფლებამდე — იქონიონ თავიანთი კულტურული დაწესებულებები, ამასთან პოლიტიკური ძალაუფლება გაბატონებული, მჩაგვრელი ერის ხელში რჩებოდა. ამრიგად მენშევიკებმა გააყალბეს ერთა თვითგამორკვევის იდეა, გადააქციეს ის ანექსიების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღიდან ანექსიების გამართლების იარაღად, მასების მოტყუების იარაღად. ვ. ი. ლენინმა ნათელი სოციალ-შოვინისტების „თეორიის“ ანტიპროლეტარული არსი, მან განმარტა თვითგამორკვევის ცნება, როგორც დამოკიდებული ქვეყნებისა და კოლონიების ხალხთა სრული გამოყოფის უფლება, როგორც ერების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება. წამოაყენა რა ერების გამოყოფის უფლების, მათი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის ლოზუნგი, ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ამ ლოზუნგის განუხორციელებლად შეუძლებელია მოგვარდეს ერების გაერთიანება და თანამშრომლობა, სოციალიზმის გამარჯვება. ეს გაერთიანება შეიძლება იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი, წარმოშობილი ხალხთა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთნდობისა და ძმური ურთიერთობის საფუძველზე.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაანთავისუფლა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხები, მოსპო ეროვნული ჩაგვრის სისტემა, ფართო გზა გაუხსნა ხალხთა მეგობრობას, მათ ნებაყოფლობით გაერთიანებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, თანასწორუფლებიანობისა და სუვერენული უფლებების შენარჩუნებით. „რუსეთის ხალხთა უფლების დეკლარაციაში“, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა, ჩამოყალიბებული იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც იდგა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე — იყო მრავალეროვანი სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა. მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი წესწყობილების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის წარმატებით მშენებლობისათვის. მოძღვრება ამ სახელმწიფოს შესახებ შეიმუშავა ვ. ი. ლენინმა. საბჭოთა სახელმწიფო წარმოიშვა, როგორც ფედერაციული სახელმწიფო. საბჭოთა ფედერაციის ძირითადი პრინციპები შეიმუშავა ვ. ი. ლენინმა. „ჩვენს გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებს ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერებისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე სავსებით სრული ნებაყოფლობითობის თანხმობაზე“.¹

პირველი საბჭოთა სოციალისტური ფედერაცია, რომელიც რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეიქმნა, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა იყო. იგი გახდა ხალხთა გაერთიანების ცენტრი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სსრ კავშირის შექმნის საქმეში. მხოლოდ ლენინურმა პარტიამ შეძლო შეეკავშირებინა ყველა ერი და ეროვნება და წარემართა მათი ძალები ახალი საზოგადოების შექმნისათვის. პარტიამ შეასრულა ეს ისტორიული ამოცანა იმიტომ, რომ განუხრელად ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით.

1921-22 წწ. არსებობდა სულ ექვსი დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბ-



ლიკა (რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და საქართველოს სსრ), ბუხარის და ხორეზმის სახალხო რესპუბლიკები და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა.

ერთა თვითგამორკვევის უფლება ორი ძირითადი ფორმით ხორციელდებოდა: ავტონომიის ფორმით და დამოუკიდებელ რესპუბლიკათა ფედერაციის ფორმით. ავტონომიას სხვადასხვა ფორმები ჰქონდა (ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და კომუნები). ყველა ეს ავტონომიური სახელმწიფოებრივი გაერთიანებები შედიოდნენ რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში, რომელიც წარმოადგენდა რთულ მრავალეროვან სახელმწიფოს. 1922 წელს რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში შედიოდა რვა ავტონომიური რესპუბლიკა, ათი ავტონომიური ოლქი და ორი კომუნა, რომელთა უფლებრივი მდგომარეობა არ განსხვავდებოდა ავტონომიური ოლქების მდგომარეობისაგან.

რუსეთის სფსრ როგორც ავტონომიის ბაზაზე შექმნილი ფედერაციის ფორმირებასთან ერთად მიმდინარეობდა მეორე პროცესი — დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ხელშეკრულებითი ფედერაციის შექმნის პროცესი.

ამ რესპუბლიკების გაერთიანებაში მათგანიზებული ცენტრის როლს ასრულებდა რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა. ეს გამოწვეული იყო მთელი რიგი ობიექტური მიზეზებით. რუსმა ხალხმა პირველმა შექმნა სოციალისტური სახელმწიფო, შეიძინა დიდი ორგანიზაციული და პოლიტიკური გამოცდილება. რუსეთის პროლეტარიატი ლენინის პარტიის მეთაურობით იყო სოციალისტური რევოლუციის წამყვანი ძალა. საერთო საბჭოთა ფედერაციის ფორმირების პროცესში ძმური საბჭოთა რესპუბლიკების თანხმობით (1920-21 წწ.) რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები (სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობა, ცაკი) და მთელი რიგი სახალხო კომისარიატები ფაქტიურად ასრულებდნენ საერთო-ფედერაციულ სახელმწიფო ორგანოების როლს.

მაგრამ დამოუკიდებელი რესპუბლიკების ფედერაციული ურთიერთობის პრაქტიკამ გამოავლინა ამ სისტემის სერიოზული ნაკლოვანებანი. 1922 წლის ზაფხულისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ პარტიის წინაშე დგას რთული ამოცანა: გამოძებნოს ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს ისეთი ახალი ფორმა, რომელიც უპასუხებს შემდეგ ლენინურ მოთხოვნებს: ა) უზრუნველყოფს საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო, დიპლომატიურ და ეკონომიურ ერთიანობას კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე; ბ) ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაერთიანებული აპარატის შექმნას, განსაკუთრებით საერთო-სახელმწიფო დაგეგმარების საქმეში, რესპუბლიკების სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციისა და მათ შორის შრომის განაწილების სრულყოფის, სახალხო მეურნეობის ოპერატიული ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაციის შენარჩუნებით, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკების ინიციატივის განვითარებას და მათი სუვერენული უფლებების რეალიზაციას; გ) შექმნის საუკეთესო პირობებს სახელმწიფო აპარატის მუშაობაში ველიკორუსული შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის დასაძლევად.

რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წ. 11 აგვისტოს შექმნა სპეციალური კომისია ი. სტალინის თავმჯდომარეობით, რომელმაც შეიმუშავა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების პროექტი, რომელიც ცნობილი გახდა „ავტონომიზაციის“ გეგმის სახელწოდებით. ამ პროექტს ბევრი ნაკ-

ლი ჰქონდა. ის აღიარებდა ერთიან საკავშირო საბჭოთა სახელმწიფოდ რუსეთის სფს რესპუბლიკას, რომლის შემადგენლობაშიაც ავტონომიური რესპუბლიკების უფლებით უნდა შესულიყვნენ ყველა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა (უკრაინა, ბელორუსია, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი). სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოები უნდა ყოფილიყო სრულიად რუსეთის ცაკი და სახალხო კომისართა საბჭო.

დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ავტონომიურ რესპუბლიკებად გადაქცევა ნიშნავდა ამ რესპუბლიკების სუვერენული უფლებების შეზღავანას, რაც ეწინააღმდეგებოდა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.

ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა „ავტონომიზაციის“ პროექტი და წამოაყენა გაერთიანების ახალი პროექტი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის პროექტი. ლენინის წინადადება მთლიანად მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 6 ოქტომბერს და დავალა კომისიას შემემუშავებინა სსრ კავშირის შექმნის კანონის პროექტი. ასეთი პროექტი შემდეგში მიიღო საბჭოების სრულიად საკავშირო პირველმა ყრილობამ.

საბჭოთა კავშირის შექმნის საკითხების რიცხვში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ამიერკავკასიის რესპუბლიკების (საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის) კავშირში შესვლის საკითხს. საბჭოთა კავშირის შექმნის დროს ამიერკავკასიის რესპუბლიკები უკვე გაერთიანებული იყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.


ლენინისა და სტალინის საერთო წინადადებით, 1921 წლის 29 ნოემბერს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის გადაწყვეტილება და წინადადება მისცა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტებს ცხოვრებაში გაეტარებინათ ის. პარტიამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა და დაამარცხა ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანების ყველა მოწინააღმდეგე, მათ შორის პირველ რიგში ქართველი ნაციონალ-უკლონისტები ბ. მდივნის მეთაურობით.

რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნდა საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკების შესვლა საბჭოთა კავშირში ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით.

ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის უმრავლესობა ფ. მახარაძის მეთაურობით. თუ საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზე ფ. მახარაძე დამაჯერებლად იცავდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მიზანშეწონილებას და აუცილებლობას და ამბობდა, რომ ფედერაცია „არა თუ არ ბლალავს თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, პირიქით, სწორედ ეს კავშირი (ამიერკავკასიის ფედერაცია — ა. მ.) არის ნამდვილი დამოუკიდებლობის გარანტიაო“, — ახლა ის ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობა მიზანშეუწონელიაო. ამიტომ მოითხოვდა ამ ფედერაციის ლიკვიდაციას და საქართველოს სს რესპუბლიკის სსრ კავშირში უშუალოდ შესვლას.

ფ. მახარაძეს, ლენინის ერთგულ თანამებრძოლს, სამწუხაროდ, მოუვიდა ეს შეცდომა, მაგრამ ის მან მალე აღიარა და გამოასწორა.

ამ საკითხში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი უმრავლესობა ფაქტიურად მიემხრო ბ. მდივნის ნაციონალურ-უკლონისტურ



ჯგუფს, რომელიც თავიდანვე იბრძოდა ამიერკავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ, იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას ბურჟუაზიული, გაგებით. ბ. მდივნის ჯგუფი დაგმო საქართველოს კომპარტიის პირველმა ყრილობამ, როგორც ნაციონალ-უკლონისტური. არსებითად ბ. მდივანი და მისი მომხრეები იბრძოდნენ ამიერკავკასიის ხალხების ერთ ძმურ ოჯახად გაერთიანების წინააღმდეგ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა უმრავლესობამ არ გაითვალისწინა ამიერკავკასიაში არსებული ვითარება, სადაც ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობოდა ბურჟუაზიული მთავრობების მიერ გაღვივებული ეროვნული შუღლი. ამ შუღლის აღმოფხვრა შეადგენდა ამიერკავკასიის ფედერაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

ამიერკავკასიის ხალხები წლების მანძილზე ერთად იბრძოდნენ ცარიზმის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ განამთავისუფლებელ რევოლუციურ ბრძოლას უფრო მეტი გაქანება, შეგნებული, მიზანმიმართული და ორგანიზებული ხასიათი მიენიჭა მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტია. ბოლშევიკებმა განამტკიცეს ერთიანობა ამიერკავკასიის ხალხებისა, რომელთა ინტერნაციონალური კავშირი მყარი იყო მუსავატელების, მენშევიკების, დაშნაკების ბატონობამდე. იოსებ სტალინმა დიდი სიზუსტით და სიღრმით შეაფასა ეს ვითარება თბილისის პარტორგანიზაციის კრებაზე 1921 წლის 6 ივლისს წაკითხულ მოხსენებაში — „კომუნისმის მორიგი ამოცანები საქართველოსა და ამიერკავკასიაში“.

„მე მახსოვს 1905—1917 წლები, — თქვა სტალინმა, — როცა ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებსა და საზოგადოდ მშრომელთა შორის არსებობდა სრული ძმური სოლიდარობა, როცა ძმური კავშირი სომეხ, ქართველ, აზერბაიჯანელ და რუს მუშებს აერთიანებდა ერთ სოციალისტურ ოჯახად. ახლა თბილისში ჩამოსვლისას, მე გაცხებულ ვიყავი, რომ ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის ყოფილი სოლიდარობა აღარ არსებობს. გლახებსა და მუშებში განვითარებულა ნაციონალიზმი, გაძლიერებულა უნდობლობის გრძნობა თავის სხვა ნაციონალურ ამხანაგებისადმი: ანტიომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და სხვა ყოველგვარი ნაციონალიზმი ახლა რამდენიც გნებავთ იმდენია. ძმური ნდობის ძველებური კავშირი გაწყვეტილია ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დასუსტებულია. სჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას ამაოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, ეწეოდნენ რა თავის ნაციონალურ პოლიტიკას, მუშაობდნენ რა მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის თანახმად, ბოლოს და ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ თვითელი ეს პატარა ქვეყანა ირგვლივ გარშემორტყმული აღმოჩნდა მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროთი. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ შეიარაღებულ შეტაკებებზე (ქართველ-სომეხთა ომი) და ხოცვა-ჟლეტაზე (სომეხთათართა შორის), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე. საკვირველი აღარ არის, რომ ამ მომხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა; ხოლო მუშების შეგნება მოიწამლა ნაციონალიზმის შხამით. და რამდენადაც ამ ნაციონალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მუშებს შორის, ეს გარემოება (ნაციონალიზმი) წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო და სამხედრო ძალონის გაერთიანების საქმეში. ამიტომ საქართველოს კომუნისტების მორიგ ამოცანას წარმოადგენს დაუნდობელი ბრძო-

ლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, აღდგენა ძველი, ძმური ინტერნაციონალური კავშირისა, რომელიც არსებობდა ნაციონალისტურ-მეწვევიკურ მთავრობათა გამოჩენამდე, და ამგვარად შექმნა ურთიერთდობის ჯანსაღი ატმოსფეროსი, რაც აუცილებელია ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებისა და საქართველოს სამეურნეო აღორძინებისათვის“.

ზემოაღნიშნული ვითარება იყო ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც საფუძვლად დაედო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას. ეს ფედერაცია აუცილებელი იყო აგრეთვე ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის.

საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის სამეურნეო საქმიანობის გაერთიანებისა და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეა წამოაყენა ვ. ი. ლენინმა. ჯერ კიდევ 1921 წ. თებერვალში სტატიაში—„ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ“ ის მიუთითებდა, რომ „გოელროს“ გეგმაში „კავკასია აღებულია მთლიანად, სხვადასხვა რესპუბლიკის ეკონომიური შეთანხმების ვარაუდით“².

„აზნავთის“ თავმჯდომარისათვის გაგზავნილ წერილში 1921 წლის 2 აპრილს ლენინი მიუთითებდა საოლქო (სამეურნეო) ცენტრის შექმნის აუცილებლობაზე. 1921 წლის 9 აპრილს ს. ორჯონიკიძისათვის გაგზავნილ წერილში ლენინი იძლევა დირექტივას ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის საოლქო სამეურნეო ორგანოს შექმნის შესახებ. ის წერდა: „დაბეჯითებით მოვითხოვ შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისათვის“³.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაქრა ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ამ რესპუბლიკების ერთ ძმურ ოჯახად გაერთიანებას. ყველა მშრომელისათვის ნათელი გახდა, რომ ეს აუცილებელი იყო როგორც სამეურნეო აღორძინებისათვის, ისე ერთიანი მშვიდობიანობისა და მჭიდრო ძმური თანამშრომლობისათვის. ამიტომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას სამივე რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს. ყველასათვის ნათელი იყო ასეთი გაერთიანების სარგებლიანობა. საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტები განუხრელად უჭერდნენ მხარს და ხელმძღვანელობდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საქმეს.

„ამიერკავკასიის ფედერაცია, — ამბობდა სერგო ორჯონიკიძე ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე, — ეს ამიერკავკასიის ხალხთა თანაცხოვრების ის ფორმაა, რომელიც ქმნის მშვიდობასაც და სიყვარულსაც ამიერკავკასიის ხალხთა შორის და მათ ეკონომიურ აღორძინებას, და ეს ამიერკავკასიის ფედერაცია ჩვენ ჩვენს ხელში გვეჭირება“⁴.

ამავე ყრილობაზე ს. ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ „საერთო ოჯახში, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, ჩვენ მივდივართ არა ცალ-ცალკე — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, არამედ მივდივართ როგორც საერთო ოჯახი ამიერკავკასიის ხალხებისა“⁵.

ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა არ ნიშნავდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებ-

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 163.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 510.

⁴ გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, სახელგამი. თბილისი, 1957, ტ. I, გვ. 331.

⁵ ი. ა. ჯიბლაძე, 221

ლობის ლიკვიდაციას, როგორც ამას ამტკიცებდნენ ნაციონალ-უკლონისტები და მენშევიკები. პარტია ლენინის მეთაურობით მტკიცედ იცავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს. ამას სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაც მოწმობს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაუშვა მეტისმეტი ცენტრალიზაცია ამიერკავკასიის ფედერაციის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, რამაც მთელ რიგ დარგებში გამოიწვია რესპუბლიკური ორგანოების გაუპიროვნება, საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს — უზრუნველყოთ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა ფართო თვითმკმედებისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლა. ამ დადგენილების საფუძველზე ნაციონალურ რესპუბლიკებს გადაეცათ მთელი რიგი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები და კულტურული დაწესებულებანი.

„ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, — თქვა ამხ. ე. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, — იყო ამიერკავკასიის მოძმე ხალხების ერთიანი სახელმწიფოებრიობის კანონზომიერი ისტორიული ფორმა“. ეს ფორმულირება განსაკუთრებული სიზუსტით ასახავს სინამდვილეს.

ამიერკავკასიის ფედერაცია იყო თანასწორუფლებიანი და სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი კავშირი, სუვერენული რესპუბლიკების ხელშეკრულების საფუძველზე აგებული ფედერაცია, რომლის გამოცდილებაც გამოყენებულ იქნა სსრ კავშირის შექმნის დროს. ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის კანონზომიერება დაადასტურა ცხოვრებამ.

როდესაც პარტიამ დაინახა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციამ შესრულა თავისი ისტორიული როლი — უზრუნველყო ამიერკავკასიის ხალხებს შორის ურყევი მეგობრობის განმტკიცება და სოციალიზმის გამარჯვება — მიიღო გადაწყვეტილება ამ ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ. ეს იყო სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის სრულყოფის კანონზომიერი შედეგი.

საბჭოთა საქართველოს ჩოლი სსრ კავშირის შექმნაში

ი. ფუტბარაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა, რაც 1922 წლის 30 დეკემბერს განხორციელდა, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში.


ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული მრავალეროვანი საერთო-საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ვ. ი. ლენინს, რომელმაც შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი და შეიმუშავა მწყობრი მოძღვრება ეროვნული საკითხის შესახებ. სსრ კავშირის შექმნა და მისი შემდგომი განვითარება თვალნათლივ ადასტურებს, რომ კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, მოხერხებულად წარმართავს ახალი საზოგადოების მშენებლობისაკენ ერთიან ინტერნაციონალურ ოჯახად შეკავშირებულ სხვადასხვა ერისა და ეროვნების ადამიანებს.

დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან სახელმწიფოდ შეკავშირება ისტორიული კანონზომიერება იყო. ყველა სოციალისტური რესპუბლიკა ბუნებრივად მიისწრაფოდა გაერთიანებისაკენ. „მუშათა და გლეხთა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებაში სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავისათვის მზადების შესახებ, — დიდი ოქტომბრის საქმის, მთელი ქვეყნის მასშტაბით რევოლუციური გარდაქმნების განგრძობაა. იგი ნაკარნახევი იყო ისტორიული განვითარების ობიექტური მსვლელობით“¹.

მრავალეროვანი საერთო-საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეიტანა იმ დროს არსებულმა თითოეულმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ. ცენტრალური შემაკავშირებელი ძალა იყო რუსეთის ფედერაცია. სწორედ მის გარშემო, მსოფლიოში ამ პირველი და ყველაზე მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს ირგვლივ ერთიანდებოდნენ დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკები.

ქართველმა მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიიღწიეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას და შექმნეს თავიანთი დამოუკიდებელი ეროვნული საბჭოთა სახელმწიფო. ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარება უმჭიდროესად დაუკავშირდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე ჩამოყალიბებულ საერთო-საკავშირო სახელმწიფოს — სსრ კავშირს. საბჭოთა კავშირში გაერთიანება სრულიად ახა.

¹ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება), თბ., 1972, გვ. 7.



ლი, უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქართული სახელმწიფოებრივი მშენებ-
ლობის მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზაზე.

სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოში 1921 წლის 25 თებერ-
ვალს გაიმარჯვა. ამიტომ სწორედ ამ დროიდან გამოჩნდა „ისტორიული ქო-
ნოლოგიით საბჭოთა საქართველო სსრ კავშირის შექმნისათვის ბრძოლის ას-
პარეზზე... მაგრამ ისტორიას ახსოვს, რომ საქართველოს საუკეთესო შვილე-
ბის სისხლი იღვრებოდა რუსეთის სამივე რევოლუციის ბარიკადებზე, სამო-
ქალაქო ომში და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლებში. ქართვე-
ლი ხალხის საუკეთესო შვილების ეს წმიდათაწმიდა სისხლი დაიდგარა ნათე-
ლი მომავლისათვის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობისათვის, რომელთა დიადი
განსახიერებაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ამ თვალ-
საზრისით ქართველი ხალხი ფაქტიურად სსრ კავშირის შექმნისათვის ბრძო-
ლის ყველა ეტაპის მონაწილეა“².

საბჭოთა რუსეთმა დამხობილი იმპერიის ჩაგრულ ერებს დიდი ოქტომბ-
რის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე მიანიჭა თვითგამორკ-
ვევის უფლება, გამოაცხადა მათი განთავისუფლება³. სოციალიზმის გზაზე
დამდგარი ხალხების საბჭოთა სახელმწიფოებრიობა დამოუკიდებელი რეს-
პუბლიკების ჩამოყალიბების გზით წარიმართა. „ამჟამად, — აღნიშნულია
რკპ(ბ) მერვე ყრილობის დადგენილებაში,⁴ — უკრაინა, ლატვია, ლიტვა და
ბელორუსია არსებობენ როგორც ცალკე საბჭოთა რესპუბლიკები. ასეა გადა-
წყვეტილი ახლანდელ მომენტში სახელმწიფოებრივი არსებობის
ფორმების საკითხი“.

რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციის მე-2 მუხლი აღგენდა, რომ „რუსეთის
საბჭოთა რესპუბლიკა ფუძნდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის
საფუძველზე, როგორც საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების ფედერაცია“.
ამავე ძირითადი კანონის მე-8 მუხლის თანახმად, „...ისწრაფვის რა შექმნას რუ-
სეთის ყველა ერის მშრომელი კლასების ნამდვილად თავისუფალი და ნება-
ყოფლობითი, მასასადამე მით უფრო სრული და მტკიცე კავშირი, სრულიად
რუსეთის საბჭოების III ყრილობა იფარგლება რუსეთის საბჭოთა რესპუბ-
ლიკების ფედერაციის ძირეული საწყისების დადგენით, საშუალებას აძლევს
რა თითოეული ერის მუშებსა და გლეხებს მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყ-
ვეტილება თავიანთ საკუთარ სრულუფლებიან საბჭოთა ყრილობაზე: სურთ
თუ არა მათ და რა საფუძველებზე იმონაწილეონ ფედერალურ მთავრობაში და
დანარჩენ ფედერალურ საბჭოთა დაწესებულებებში“. საინტერესოა აგრეთვე
ხსენებული კონსტიტუციის 49-ე მუხლის ის პუნქტი, რომელშიც განსაზღვ-
რულია სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისა და ცაკის კომპეტენცია —
„საბჭოთა რესპუბლიკის ახალი თანაწევრების მიღება რუსეთის სოციალისტური
ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში და რუსეთის ფედერა-
ციიდან მისი ცალკეული ნაწილების გამოსვლის აღიარება“⁵.

² ე. შევარდნაძე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 სახელო-
ვანი წელი. მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართვე-
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის
50 წლისთავს (გაზ. „კომუნისტი“, 1972 წლის 16 დეკემბერი, № 293).

³ იხ. «Декреты Советской власти», т. I, М., 1957, стр. 39 — 41.

⁴ „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რე-
ზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, ნაწ. I, თბ., 1954, გვ. 565.

⁵ იხ. «Собрание кодексов РСФСР», официальное издание, М., 1925, стр. 51, 53, 59.

ამგვარად, პირველი საბჭოთა კონსტიტუციით დაიწვებოდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში სუვერენული ეროვნული რესპუბლიკების შესვლა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკა კი, როგორც ზემოთაც ითქვა, სხვა გზით წავიდა. სახელდობრ, დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები ვითარდებოდნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შეუსვლელად, მაგრამ ამავე დროს მასთან სულ უფრო მეტად მჭიდრო სახელმწიფოებრივი კავშირის დამყარებას ესწრაფოდნენ.

საბჭოთა საქართველოს და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობა საერთო-საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინა პერიოდში დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დაახლოების ისტორიული პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. რუსეთისა და საქართველოს სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კავშირ-ურთიერთობის ძირითადი იურიდიული საფუძველი 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხური საკავშირო ხელშეკრულება იყო.

რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ურთიერთობა ზემოაღნიშნულ ეტაპზე მრავალმხრივ საინტერესო მოვლენებით ხასიათდება. საყოველთაოდ ცნობილია ამ ორი მოძმე რესპუბლიკის პოლიტიკური, სამხედრო და სამეურნეო ურთიერთკავშირი, ის უანგარო ძმური დახმარება, რომელსაც რუსეთის ფედერაცია სისტემატურად უწევდა ქართველ მშრომელებს, საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას.

დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთკავშირი პრაქტიკულად სხვადასხვაგვარი ფორმით ვლინდებოდა. ეს დამოკიდებული იყო რესპუბლიკათა წინაშე მდგარ ამოცანებზე, კონკრეტულ მიზნებზე, რომლებსაც ისინი ისახავდნენ ამა თუ იმ პერიოდში.

მაგალითად, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციებმა სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე 1921 წლის დეკემბერში ითხოვეს ადგილები თავიანთი რესპუბლიკების წარმომადგენელთათვის რსფსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში. მათ ამ შემთხვევაში, როგორც თვითონვე აღნიშნავდნენ, ორი მოსაზრება ჰქონდათ: 1) ამ გზით გამოევიწყებინათ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების სოლიდარობა რუსეთის ფედერაციასთან; 2) ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შეეთვისებინათ საბჭოთა მშენებლობის მდიდარი რუსული გამოცდილება, სწრაფად და შემოქმედებითად გადმოეღოთ მისი უახლესი მიღწევები.

საინტერესოა ითქვას, რომ საქართველო, ბათუმის ოლქისა და ქ. თბილისის დელეგატების სახით, სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების II ყრილობაზეც იყო წარმოდგენილი. ამ ყრილობამ, როგორც ცნობილია, დააფუძნა საბჭოთა სახელმწიფო, იურიდიულად გააფორმა ხელისუფლების მოპოვება მშრომელთა მიერ⁷.

⁶ იხ. **И. С. Зенушкина**. Советская национальная политика и буржуазные историки, М., 1971, стр. 227; **В. М. Гришин, М. И. Куличенко**. Проблемы национально-государственного строительства в первой Советской Конституции («Вопросы истории КПСС», 1968, № 7).

⁷ **О. И. Чистяков**. Второй Всероссийский съезд Советов и создание Советского государства («Советское государство и право», 1967, № 1, стр. 74, 77).

განსახილველ პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა საქართველოს სსრ-ის ურთიერთობას სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებთან.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების თანდათანობითი პოლიტიკური და ეკონომიური დაახლოების ძირითადი მომენტებია ფინანსური და სასაზღვრო საკითხების მოგვარება, რკინიგზების გაერთიანება (1921 წლის აპრილი), საგარეო ვაჭრობის ორგანოების გაერთიანება (1921 წლის ივნისი) და ერთობლივი გამოსვლა ყარსის საზავო ხელშეკრულების დადებისას (1921 წლის ოქტომბერი).

ადგილობრივი თავისებური პირობების გათვალისწინებით „1922 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელშიც აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკები ერთიან ძმურ ოჯახად გაერთიანდნენ და რომელიც ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეის ცოცხალი განსახიერება, ამიერკავკასიის ხალხთა შორის ეროვნული მშვიდობიანობის უზრუნველყოფის, მხარის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის იმ დროისათვის საუკეთესო ფორმა იყო“⁸.

დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ფორმები მათი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობით განისაზღვრებოდა და ამის კვალობაზე ვითარდებოდა. მალე გადაუდებელ საჭიროებად იქცა რესპუბლიკების უმჭიდროესი კავშირის დაუყოვნებლივ განხორციელება.

საქმე ის იყო, რომ უამისოდ საბჭოთა რესპუბლიკები ვერ დაიცავდნენ თავს მსოფლიო იმპერიალიზმისაგან, ვერ აღადგენდნენ დაზარებულ საწარმოო ძალებს, ვერ უზრუნველყოფდნენ უხვი ბუნებრივი სიმდიდრის ეფექტიან გამოყენებას და მშრომელთა კეთილდღეობის განუხრეველ გაუმჯობესებას, ეროვნული კულტურის ყოველმხრივ განვითარებას.

მაშასადამე, აღნიშნულმა ობიექტურმა პირობებმა საჭირო გახადა დამოუკიდებელი რესპუბლიკების საერთო-საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება. მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნას კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა. ყველა რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა გამაერთიანებელი მოძრაობა. ამ საერთო-სახალხო საქმის ერთ-ერთი თაოსანი და აქტიური მონაწილე საქართველოს სს რესპუბლიკა იყო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ქართველი მშრომელები სსრ კავშირის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებს საერთო-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უდგებოდნენ, რაც აღნიშნულია და ჭეოროვნადაც არის შეფასებული სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში⁹. ამ მხრივ ნიშანდობლივია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოების ყრილობის მაგალითი.

აჭარის ასსრ-ის საბჭოების ყრილობის ჩვენთვის ამჟამად საინტერესო გადაწყვეტილება საკავშირო სახელმწიფოს შექმნის თაობაზე, რომელიც იმდრო-

⁸ „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წელი“ (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის თეზისები), თბ., 1971, გვ. 20.

⁹ იხ. И. С. Зенушкина. Советская национальная политика и буржуазные историки. Становление Советского многонационального государства (1917—1922 годы) в современной американской историографии, М., 1971, стр. 230—232.

ინდელ პრესაში გამოქვეყნდა, მრავალმხრივ საყურადღებო ისტორიული დოკუმენტია.

იგი თვალნათლივ ააშკარავებს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის იმ მტკიცების სიყალბეს, რომ სსრ კავშირის შექმნას საბჭოთა ორგანოები თითქოსდა „პარტიული დისციპლინის“ გამო უჭერდნენ მხარს. ყრილობის 208 დღეგატიდან, რომლებმაც საქმიანად განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს საერთო-საკავშირო სახელმწიფოს ჩამოყალიბება, უმრავლესობა — 122 კაცი — უპარტიო იყო.

ყრილობამ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის პრაქტიკულად გასატარებლად დაადგინა გაუქმებულიყო და სათანადო ქვეგანყოფილებებით შეცვლილიყო შრომის, სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატები, აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექცია; ავტონომიური სახით დარჩა შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები, აჭარის სახალხო კომისართა საბჭო და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

დამოუკიდებელი რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანება კომუნისტური პარტიის წინაშე ურთულეს საკითხებს აყენებდა. გამაერთიანებელი მოძრაობის პერიოდის უპირველესი ამოცანა იყო რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი შეკავშირების ყველაზე უფრო მისაღები ფორმის გამოხატვა. ვ. ი. ლენინის უშუალო ჩარევით უარყოფილ იქნა ე. წ. „ავტონომიზაციის“ მცდარი გეგმა; საერთო-საკავშირო სახელმწიფო აიგო ნებაყოფლობითობისა და თანასწორუფლებიანობის საწყისებზე, რამაც ერთხელ კიდევ საუკეთესოდ დაადასტურა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების ურყევად დაცვა.

საქართველოს სსრ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან ერთიან სახელმწიფოდ შეკავშირებული, ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით. დეკლარაციასა და ხელშეკრულებას სსრ კავშირის შექმნის შესახებ ხელი მოაწერეს ოთხი რესპუბლიკის — რუსეთის ფედერაციის, უკრაინის სსრ-ის, ამიერკავკასიის ფედერაციისა და ბელორუსიის სსრ-ის სრულუფლებიან დელეგაციათა წევრებმა.

ამის შემდეგ კი საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1923 წლის 19 იანვარსა და 22 ივნისს შესაბამისად დაამტკიცა ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ და პირველი საერთო-საკავშირო კონსტიტუცია. სსრ კავშირის აღნიშნული ძირითადი კანონი, გარდა ამისა, 1924 წლის 3 იანვარს საქართველოს საბჭოების მეორე ყრილობამაც დაამტკიცა.

პირველმა უმნიშვნელოვანესმა საერთო-საკავშირო აქტებმა საკანონმდებლო წესით განამტკიცა საქართველოს სსრ-ის მონაწილეობა საბჭოთა კავშირის შექმნაში. ზემოხსენებული ძირითადი კანონი სახელდებით იხსენიებს საქართველოს, როგორც სსრ კავშირის შექმნის შესახებ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის — ამიერკავკასიის ფედერაციის წევრ სახელმწიფოს. ამგვარად, საქართველოს სსრ ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენელი ნაწილის სახით საბჭოთა კავშირის დამფუძნებელ სახელმწიფოდ არის მიჩნეული.

საერთო-საკავშირო სახელმწიფოში გაერთიანება საფუძვლად დაედო საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას, ქართული ეროვნული საბჭოთა სახელმწიფოებრიობის აღორძინებას. ქართველი ხალხი „მრავალი წლის ცხოვრებისეული გამოცდილებით დარწმუნდა, თუ რა მდიდარ ნა-

ყოფს იძლევა... შეკავშირება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირად, რა უფართოეს შესაძლებლობებს სახავს იგი მომავალში“ (სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“).

საბჭოთა კავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია „არის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანებული ყველა ხალხის ურდვევი ერთიანობისა და მეგობრობის შექმნის ისტორია. ეს არის სოციალისტური რევოლუციით შობილი სახელმწიფოს არნახული ზრდისა და ყოველმხრივი განვითარების ისტორია, რომელიც დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უმძლავრესი სახელმწიფო გახდა. ეს არის მისი დროშის ქვეშ გაერთიანებული, ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების — ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დავაჟაცებისა და აყვავების ისტორია“¹⁰.

¹⁰ ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი. მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ უმაღლესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს (გაზ. „კომუნისტი“, 1972 წლის 22 დეკემბერი, № 298).

სახლის წილის შესყიდვის უპირატესი უფლება

ა. ლულუნიშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი,
საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს საერთო საკუთრების წილის შესყიდვის უპირატეს უფლებას. ამ უფლების მოცულობას და განხორციელების პირობებს, ადგენს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი.

იურიდიულ ლიტერატურაში დავა იყო იმაზე, შეენარჩუნებინათ საკუთრების წილის შესყიდვის უპირატესი უფლების ინსტიტუტი, თუ მესაკუთრე-გამსხვიებელს მისცემოდა საკუთრების წილის განკარგვის აბსოლუტური უფლება. მოქმედმა კანონმდებლობამ თანამესაკუთრე აღკვეთა საერთო ქონების წილის შესყიდვის უპირატესი უფლებით.

ამ საკითხს მრავალი მხარე აქვს, რომლებიც განსაკუთრებულ გამოკვლევას საჭიროებენ. აქ თავს იყრიან საკუთრების უფლებისა და ვალდებულებითი სამართლის ელემენტები. უპირატესი უფლების შესწავლა უკავშირდება საკუთრების უფლების მრავალ ისეთ მხარეს, რომლებიც ვალდებულებითი სამართლის პრინციპებს ემყარება.

უპირატესი უფლება მოქმედებს იქ, სადაც საერთო საკუთრება არსებობს. ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანს შეადგენს არა შესყიდვის უპირატესი უფლება, საერთოდ, არამედ შესყიდვის უპირატესი უფლება პირადი საკუთრების სახლზე.¹

საერთო საკუთრება არსებობს როგორც წილთა განსაზღვრით (წილადი საკუთრება), ისე წილთა განუსაზღვრელად (თანასაკუთრება). თანასაკუთრებაა, მაგალითად, მეუღლეთა საერთო ქონება და საკოლმეურნეო კომლის ქონება. თანასაკუთრების დროსაც სინამდვილეში გვაქვს რამდენიმე პირის საკუთრება ქონებაზე, რომელთა უფლების გამოსახვა შეიძლება არითმეტიკულ წილებში ისევე, როგორც წილადობრივ საკუთრებაში. მაგალითად, როდესაც ლაპარაკია მეუღლეთა თანასაკუთრებაზე, აქ იგულისხმება, რომ მეუღლეებს აქვთ თანაბარი წილი ერთად. ცხოვრების პერიოდში შეიძინლ საერთო ქონებაზე. მაგრამ ეს წილი წინასწარ არ არის განსაზღვრული, ისე როგორც ეს შესაძლებელია ხელშეკრულებით, ჩუქებით, ანდერძით და მემკვიდრეობით ქონების მიღების დროს. აქვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ წილადობრივი საკუთრებისაგან განსხვავებით თანამესაკუთრეობის დროს შეიძლება წილი სხვაგვარადაც განისაზღვროს. მაგალითად, საქორწინო და საოჯახო კოდექსის 22-ე მუხლი დასაშვებად თვლის საერთო საკუთრების თანასაკუთრების ფორმის დროს თანაბრობის საწყისიდან გადახვევას. ასეთივე გადახვევა დასაშვებია საკოლმეურნეო კომლის წევრთა თანაზიარი საკუთრების განსაზღვრის დროსაც (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი). წილადობრივ საერთო

¹ ამის შემდეგ სახლის წილის შესყიდვის უპირატეს უფლებას მოკლედ „უპირატეს უფლებას“ ვუწოდებთ.

საკუთრებაში (მაგ., მემკვიდრეობის დროს და სხვ.) ასეთი გადახვევა შეუძლებელია.

განსაკუთრებით რთულია საერთო საკუთრების ცნების განსაზღვრა სახლების მიმართ. სახლის ერთ ობიექტად მისაჩნევად საკმარისი არ არის ის, რომ იგი ერთ სახურავქვეშ იყოს მოქცეული. თუ სახლი გაყოფილია ნატურით, ე. ი. მას აქვს ცალ-ცალკე შესასვლელი და სახლის თითოეული ნაწილი კომუნალურ ორგანოში ცალკე ნომრით არის აღრიცხული, ასეთი სახლი დამოუკიდებელ ობიექტად, დამოუკიდებელ სახლთმფლობელობად ჩაითვლება, მიუხედავად იმისა, რომ იგი არქიტექტურული და საამშენებლო თვალსაზრისით ერთ ნაგებობას წარმოადგენს. ამ ზოგად მოსაზრებას შესაძლებელია ზოგიერთი გამოჩაყლისი ახლდეს. მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთი ქალაქის პირობებში ერთი სახლთმფლობელობისათვის დაწესებულ ნორმაზე ნაკლებია, ასეთი დამოუკიდებელი სახლთმფლობელობები მაინც შეიძლება ცალ-ცალკე ნომრით იყონ აღრიცხული მიწის ერთ ნაკვეთზე. ასეთი გამოჩაყლისი დამოუკიდებელი სახლთმფლობელობების კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ 1964 წლის 30 ივნისს დამტკიცებული ინსტრუქციის „საქართველოს სსრ ქალაქებსა, დაბებსა და საკუთრებო ადგილებში სახლების რეგისტრაციის შესახებ“ მე-9 პუნქტით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ერთ-ერთი საქმის გამო მიუთითა, რომ სახლის რეალურად გაყოფა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ნაწილები იქცევიან „საკუთრების უფლების დამოუკიდებელ ობიექტებად“, ანუ დამოუკიდებელ სახლთმფლობელობებად². მაშასადამე, სახლთმფლობელობის დამოუკიდებლობა იურიდიული ხასიათისაა. მაგრამ ეს იურიდიული დამოუკიდებლობა სახლის ნაწილისა მაინც ტექნიკურ განცალკევებულობაზე უნდა იყოს დაფუძნებული, ე. ი. სახლს უნდა ჰქონდეს ცალ-ცალკე შესასვლელი და განცალკევებული სარგებლობის ობიექტები. ასეთი ძეხედულება ხშირად არ ეთანხმება კომუნალურ ორგანოებში დამკვიდრებულ ძეხედულებას სახლის ნაწილზე, რომელშიც ისინი გულისხმობენ არა სახლის ხაწილის გამოხატულებას ნატურით, არამედ არითმეტიკულ წილებში. ამითაა გამოწვეული, რომ სახლის მოვლა-პატრონობა და გადასახადის გადახდა თანაფსაკუთრესაც ევალება. თუ ერთ-ერთმა თანამფსაკუთრემ უნებართვო გადაკეთება აწარმოვა, პასუხისმგებლობა დაეკისრება მთელ სახლს, ე. ი. ყველა მფსაკუთრეს, ამასთანავე სახლი გადაირიცხება უგეგმო სახლთა ჯგუფში.

ამგვარად, კომუნალური ორგანოების პრაქტიკა ემყარება სახლის ნატურალურ ნაწილებად გაუყოფლობის პრინციპს, რაც, თავისთავად ცხადია, მრავალგაუგებრობას იწვევს. ჩვენს შემთხვევაში უპირატესი უფლება არ ვრცელდება სახლის ნაწილზე, თუ იგი დამოუკიდებელი ობიექტია, ე. ი. თუ იგი აღრიცხულია დამოუკიდებელ ერთეულად. მაგრამ ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა გავრცელდეს უპირატესი უფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით გაყოფილ სახლზე, თუ ამ გაყოფის შესაბამისი ნაწილები ნატურით მართლაც დამოუკიდებელი არიან, მაგრამ არ არიან აღრიცხული ცალ-ცალკე? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში, ანუ რეალურად მოიპოვება სახლის ნაწილების განკერძოების ყველა ნიშანი (ცალკე შესასვლელი, დამოუკიდებელი სათავსოები და სხვა), ამ შემთხვევაში უპირატესი უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს

² საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, 1971, № 2, გვ. 17.

გასხვისებული სახლის მიმართ. სახლის ასეთ განცალკევებულ ნაწილზე უპირატესი უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ სახლს აქვს საერთო მიწის ნაკვეთი, ამასთან ეს ნაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს დაწესებულ ნორმას.

რამდენიმე თანამესაკუთრის კუთვნილებად აღრიცხული საერთო სახლის წილის გასხვისების დროს შესყიდვის უპირატესი უფლების დაცვა აუცილებელი და სავალდებულოა გაძყიდველისათვის. იბადება კითხვა: ყოველთვის შეუძლია თუ არა ასეთი წილი შესყიდოს თანამესაკუთრემ? აქ საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ გაძყიდველის ვალდებულება მეორე თანამესაკუთრის მიმართ და ამ უკანასკნელის უფლებამოსილება. არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე სახლი აღრიცხულია ერთ სახლთმფლობელობად. ასეთ შემთხვევაში სახლის თანამესაკუთრეს, თუნდაც მას 60 კვ. მეტრზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი ჰქონდეს, უფლება არა აქვს შეიძინოს მეორე სახლის ნაწილი. თუმცა ტექნიკური აღრიცხვის თვალსაზრისით ეს სახლები ერთ სახლთმფლობელობად არის აღრიცხული, მაგრამ სინამდვილეში ისინი წარმოადგენენ დამოუკიდებელ სახლებს და ამის გამო, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მიხედვით, თანამესაკუთრეს არა აქვს უფლება შეიძინოს მეორე სახლი. ამ შემთხვევაშიაც რამდენიმე ადგილი აქვს განსხვავებას კომუნალურ ორგანოში დამკვიდრებულ თვალსაზრისსა და იურიდიულ თვალსაზრისს შორის.

სამოქალაქო სამართლის კოდექსი იცნობს საერთო საკუთრების გამოყოფას ნატურით (117-ე მუხლი). სარგებლობის წესით სახლის გაყოფა შეიძლება თანამესაკუთრეთა ურთიერთთანხმობით (120-ე მუხლი). მაგრამ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებით სარგებლობის წესით სისხლი გაყოფა დასაშვებდაა მიჩნეული ასეთი ურთიერთთანხმობის გარეშეც.³ ჩანს, პლენუმი ემყარებოდა კანონის საერთო აზრს, ვინაიდან პირდაპირი მითითება ამის შესახებ სამოქალაქო სამართლის კოდექსში არ არის.

იბადება კითხვა: ვრცელდება თუ არა უპირატესი უფლება იმ საერთო საკუთრების სახლებზე, რომლებიც თანამესაკუთრეთა შორის სარგებლობის წესით გაყოფილია სასამართლოს მიერ?

სასამართლო და სანოტარო პრაქტიკაში გამოთქმულია აზრი, რომ ამ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს უპირატესი უფლება⁴.

ინტერესმოკლებული არ არის უპირატესი უფლების საკითხის გამორკვევა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლების მიმართაც. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 19 აგვისტოს № 539 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით — „ინდივიდუალური მენაშენების (საბინაო-სამშენებლო კოლექტივი) ძალებით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ერთობლივად მშენებლობის შესახებ“ გათვალისწინებულია, რომ საბინაო-სამშენებლო კოლექტივები მშენებლობას ახორციელებენ ტიპური ან, გამონაკლის შემთხვევებში, ინდივიდუალური პროექტებით და კოლექტივის ერთ წევრს აქვს პირადი საკუთრების უფლება მხოლოდ ერთ ბინაზე⁵.

³ Сборник постановлений пленума Верховного Суда СССР, 1924 — 1970, Москва, 1970, стр. 77.

⁴ В. Р. Маслов. Осуществление и защита права личной собственности в СССР. Госюриздат. М., 1961, стр. 138.

⁵ საბინაო კანონმდებლობის კრებული. თბილისი, 1966, გვ. 133

ამგვარად, მრავალბინიანი სახლის მშენებელი კოლექტივის წევრი კოლექტივში აშენებული ერთი ბინის მესაკუთრედ ითვლება.

დებულების მიხედვით საბინაო-სამშენებლო კოლექტივი იურიდიული პირი ხდება მას შემდეგ, რაც იგი რეგისტრაციაში გატარდება მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში და გამოეყოფა მიწის ნაკვეთი საბინაო მშენებლობისათვის⁶. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში საბინაო-სამშენებლო კოლექტივები იურიდიული პირის უფლებით არ სარგებლობენ.

დებულების მე-13 მუხლით გათვალისწინებულია, რომ დამთავრებულ სახლში შესახლების შემდეგ კოლექტივის წევრები თავიანთ შემადგენლობიდან გამოყოფენ რწმუნებულს, რომელიც შეუდგება სახლის მართვას, მეთვალყურეობას გაუწევს ეზოს, აგრეთვე სახლის გასწვრივ მდებარე ტროტუარებისა და ქუჩების სანიტარულ-ტექნიკურ მდგომარეობას. ამგვარად, სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ კოლექტივი არსებობას განაგრძობს. ყოველივე ამით საბინაო-სამშენებლო კოლექტივი ემსგავსება კერძომესაკუთრულ იურიდიულ პირს. მაგრამ რამდენადაც კერძო იურიდიული პირი არ შეიძლება არსებობდეს, ამდენად ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საკუთრების ისეთ ფორმა-სთან, რომელიც პირადი საკუთრებისა და კოოპერატიული საკუთრების მიჯნაზეა.

ვფიქრობთ, სახლის აშენების თაობაზე საბინაო-სამშენებლო კოლექტივის წევრთა შეთანხმებზე უნდა მივიჩნიოთ საერთო საქმიანობის ხელშეკრულებად, რომელსაც აწესრიგებს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 447-ე მუხლი.

კოლექტივის წევრები არ არიან საერთო წილადი საკუთრების მონაწილეები, რადგან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით პირდაპირ არის აღიარებული კოლექტივის წევრის საკუთრების უფლება მის მიერ დაკავებულ მხოლოდ ერთ ბინაზე. თუ კოლექტივის სხვა წევრი ბინის გაყიდვას განიზრახავს, მის ბინას კოლექტივის სხვა წევრი ვერ შეიძენს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრები ბინას ერთმანეთს შორის გაიყოფენ და გაყოფის შემდეგ ერთ-ერთი თანამონაწილე კუთვნილი წილის გაყიდვას მოისურვებს, წილის შესყიდვის უპირატესი უფლება, ჩვენი აზრით, ოჯახის წევრს უნდა მიეცეს.

სარგებლობს თუ არა უპირატესი უფლებით სახლის თანამესაკუთრე, როდესაც სახლი თანამესაკუთრეთა შორის განაწილებულია სარგებლობის უფლებით. ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ. საქმე ისაა, რომ სახლის თანამესაკუთრეს, რომელსაც სახლის ნაწილი სარგებლობის უფლებით აქვს გამოყოფილი, ყოველგვარ პირობებში შეუძლია მოითხოვოს უპირატესი უფლების განხორციელება (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილი). უპირატესი უფლებით თანამესაკუთრე მაშინ სარგებლობს, როდესაც სახლი თანამესაკუთრეთა შორის სარგებლობის წესით განაწილებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ე. ი. სარგებლობისათვის გამოყოფილი წილი შეესაბამება თანამესაკუთრის წილს, განაწილების ხელშეკრულება ნოტარიულად დამოწმებულია და რეგისტრირებულია მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში. საქმე ისაა, რომ სარგებლობის წესით სახლის გაყოფა არ სძობს სახლზე საერთო საკუთრებას. ასეთი გაყოფა არ არის საერთო საკუთრების ლიკ-

⁶ საბინაო კანონმდებლობის კრებული, თბილისი, 1966, გვ. 133.

ვიდაცია იმ გაგებით, რასაც გულისხმობს „ნაგებობაზე პირადი საკუთრების უფლების საქმეთა გამო სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილების მე-8 მუხლი, რომლის თანახმად საერთო საკუთრება ისპობა მხოლოდ სახლის ნატურით გაყოფის დროს. ასეთ ვითარებაში კომუნალური ორგანოები სახლის ნაწილს ატარებენ დამოუკიდებელ რეგისტრაციაში. მაგრამ, თუ სახლი თანამესაკუთრებებზე აღრიცხულია წილადობრივად, ხოლო საერთო საკუთრება სახლზე ლიკვიდირებული არ არის, ძალაში რჩება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მოქმედება უპირატესი უფლების შესახებ.

თუ რომელ მხარეს უნდა მიესაჯოს ფულადი კომპენსაცია სახლის ნატურით გაყოფლობის შემთხვევაში ან სასამართლო როდის უნდა გადავიდეს სახლის ნატურით გაყოფის, საკითხის განხილვიდან სახლის სარგებლობის წესით გაყოფაზე, ეს სამოქალაქო სამართლის ურთულესი საკითხებია, რომლებიც ამჟამად არ არის ჩვენი განხილვის საგანი.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სარგებლობის უფლება ჩვეულებრივი სარგებლობის უფლებისაგან იმით განსხვავდება, რომ მას სავალდებულო ძალა აქვს მესამე პირთა მიმართ; ამ მხრივ ეს უფლება საკუთრების უფლებას უახლოვდება, მაგრამ სამწუხაროდ, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში ასეთ ხელშეკრულებათა რეგისტრაცია არ წარმოებს.

უპირატესი უფლების განხორციელების პროცესუალური საკითხები მოცემულია თვით მატერიალური სამართლის ნორმაში, კერძოდ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლში. ამ ნორმის თანახმად წილის გაყიდვის განზრახვა გამყიდველმა თანამესაკუთრებს წერილობით უნდა შეატყობინოს. იგი არ შეიძლება შეცვლილ იქნეს სიტყვიერი გაფრთხილებით (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 46-ე მუხლი, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლი). მაგრამ წერილობითი შეტყობინების ფორმის დაუცველობა არ უსპობს მხარეს უფლებას ამ ფაქტის დასადაგენად გამოიყენოს სხვა წერილობითი საბუთი. რსფსრ სანოტარო პრაქტიკის მიხედვით, თუ მესაკუთრე თავის წილს იმავე სახლში მცხოვრებ ერთ-ერთ მესაკუთრეზე ასხვისებს, სხვა მესაკუთრეებისათვის ამის შეტყობინება სავალდებულო არ არის⁷.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით არ არის დადგენილი, თუ რომელ თანამესაკუთრეს შეუძლია განახორციელოს უპირატესი უფლება, როდესაც საერთო საკუთრების სახლს რამდენიმე თანამესაკუთრე ჰყავს.

ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ასეთ შემთხვევაში არცერთ საერთო წილადობრივ მესაკუთრეს არა აქვს პრიორიტეტი უპირატესი უფლების განხორციელებაში და რომ მყიდველის არჩევა დამოკიდებულია გამყიდველზე.⁸ ამგვარადვეა გადაწყვეტილი ეს საკითხი უკრაინის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით (114-ე მუხლი).

საკითხის ასეთ გადაწყვეტას ზოგჯერ უარყოფითი მხარეც აქვს.

თუ საერთო საკუთრების რომელიმე მონაწილე საცხოვრებელი ბინის ფართობის საჭიროების მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება, ხოლო

⁷ Справочник Государственного нотариуса, Москва, 1968, стр. 70.

⁸ Ю. Т. Басин. Лекция 16, Право общей собственности. Советское гражданское право Казахской ССР. Алма-Ата, 1970, стр. 170.

წილის გამსხვიებელს არ სურს მიჰყიდოს მას სახლის ნაწილი, ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, წილის ასეთ მესაკუთრეს უპირატესობა უნდა მიეცეს შეისყიდოს სახლის ნაწილი. წილის გამყიდველსა და ასეთ თანამესაკუთრეს შორის ამაზე წარმოშობილი დავა სათანადო სარჩელით შეუძლია გადაწყვიტოს სასამართლომ. ამით სრულიადაც არ შეილახება სახლის წილის გამყიდველის უფლებები; ამასთანავე დაცული იქნება იმ თანამესაკუთრის უპირატესი უფლება, რომელიც აშკარად საჭიროებს ბინის ფართობის მომატებას.

ისმება კითხვა: უნდა შეატყობინოს თუ არა სახლის თანემესაკუთრემ მეორე თანამესაკუთრეს სახლის წილის გაყიდვის განზრახვა, თუ სახლი მეორე თანამესაკუთრის სახელზე არ არის აღრიცხული? ვფიქრობთ, ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს იმ შემთხვევაში, თუ სახლის თანამესაკუთრე ფაქტობრივად ცხოვრობს ამ სახლში, განაგებს ან ფლობს მის ნაწილს, რაც არ შეიძლება ცნობილი არ იყოს სახლის წილის გამყიდველისათვის.

იურიდიულ ლიტერატურაში ეს საკითხი დამუშავებული არ არის. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 9 ნოემბერს განიხილა რა ნ. ფ-ს სარჩელი ჩ. ფ-ს და სხვებთან მოსარჩელის უპირატესი უფლების განხორციელების თაობაზე, სხვათა შორის, მიუთითა: „მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხოლოდ იმ პირს აქვს სახლზე თანასაკუთრების უფლება, ვიხეც სახლის ნაწილია აღრიცხული, არ არის სწორი. ქონების თანამესაკუთრედ იგულისხმება ისეთი პირი, რომელსაც ქონებაზე საკუთრების უფლება აქვს მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით და არა მარტო ქონების აღრიცხვის მიხედვით. კერძოდ, აღნიშნულ შემთხვევაში ქონება მემკვიდრეობის წესით მიღებული ჰქონდა იმ პირს, რომელიც ეძებდა მისი უპირატესი უფლების განხორციელებას. იმ შემთხვევაში, თუ მას მემკვიდრეობა მიღებული ჰქონდა მფლობელობაში შესვლის გზით, მაშინ სამკვიდრო ითვლება მემკვიდრის საკუთრებად მემკვიდრეობის გახსნის დღიდან (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლი). ვფიქრობთ, პრეზიდიუმის ეს მითითება თამამად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიური საქმეების გადაწყვეტისას.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ უპირატესი უფლების განხორციელებას იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძენი ფართობი აღემატება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ფართობის ზღვრულ ნორმას. „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულების მე-8 მუხლი⁹ ზემოთ მითითებულ ზღვრულ ნორმებს არ ავრცელებს სახლის იმ ნაწილზე, რომელიც აგებულია ან შექმნილია 1958 წლის 1 აგვისტომდე, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ სახლში თანამესაკუთრეს დიდ ფართობზე უპირატესი უფლება ჰქონდეს. აქაც საჭიროა გარკვეული ზღვარის დადგენა. საქმე ისაა, რომ 1958 წლის 28 ივლისამდე ასაშენებელი სახლის საცხოვრებელი ფართობი საბჭოთა კავშირში, მშენებლობის ტიპური პროექტების მიხედვით, 95 კვ. მეტრს არ აღემატებოდა. მაშასადამე, 1958 წლის 1 აგვისტომდე აგებული სახლების მიმართ უპირატესი უფლების განხორციელება შეიძლება 95 კვ. მეტრის ფარგლებში. როგორ უნდა

⁹ საბინაო კანონმდებლობის კრებული, თბილისი, 1966, გვ. 21.



გადაწყდეს საკითხი მაშინ, როდესაც უპირატესი უფლების მქონე პირი მოითხოვს უფლების რეალიზაციას დამატებითი ფართობის გათვალისწინებით, ხოლო ადგილობრივი აღმასკომი წინააღმდეგვია მისცეს მას დამატებითი ფართობის შესყიდვის უფლება.

როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლი იმის გადაწყვეტას, ააშენოს თუ არა მოქალაქემ 60 კვ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობის მქონე სახლი ან შეიძინოს მასზე მეტი საცხოვრებელი ფართობის მქონე სახლი, ანდობს აღმასრულებელ კომიტეტს. მაგრამ თუ უპირატესი უფლების განხორციელების შესახებ დავა სასამართლოში გადავა, სასამართლოს, საერთო წესის თანახმად, შეუძლია გადაწყვიტოს, რომ უპირატესი უფლების მქონე პირს მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მართლაც აქვს უფლება დამატებით ფართობზე და აღმასკომი ან მისი წარმომადგენელი უსაფუძვლოდ უარყოფენ ამ უფლებას.

ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ანალოგიას. აღმასკომის თანხმობაზე დამოკიდებული სახლის ფაქტობრივი თანამშენებლებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესაძლებლობა, ე. ი. ფაქტობრივი თანამშენებელი არ შეიძლება სახლის მესაკუთრედ იქნეს ცნობილი, თუ სხვა პირობების დაცვასთან ერთად არ არის აღმასკომის თანხმობა მიწის ნაკვეთის თანამშენებელზე გადაფორმების შესახებ (იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის № 13 დადგენილების მე-5 მუხლი), მაგრამ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე ბელორუსიის სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ერთ-ერთი საქმის გამო, რომელშიც დაყენებული იყო თანამშენებლებისათვის საკუთრებაში სახლის წილის გამოყოფა, მიუთითა შემდეგი: იმ გარემოებას, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომი წინააღმდეგვია მიწის ნაკვეთის გამოყოფის შეცვლისა, ამ შემთხვევაში არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სამოქალაქო სამართლებრივი დავის გადასაჭრელად.¹⁰

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უპირატესი უფლების რეალიზაციის ირგვლივ წარმოშობილ დავათა განხილვისას სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ ობიექტური მონაცემები და ისე გადაწყვიტონ ესა თუ ის დავა.

უპირატესი უფლების საკითხის გარკვევის დროს მნიშვნელოვანია ამ უფლების განხორციელების ვადის საკითხი. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად უპირატესი უფლების დარღვევით საერთო წილადი საკუთრების გაყიდვის დროს ამ საკუთრების ყოველ მონაწილეს უფლება აქვს სამი თვის ვადაში მოითხოვოს მყიდველის უფლება-მოვალეობის თავის თავზე გადატანა პირველად შეთავაზებული პირობით.

ამგვარად, ნასყიდობის ხელშეკრულება კი არ უქმდება, არამედ იცვლება ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე. სასამართლოს გადაწყვეტილებით სახლის მყიდველის მდგომარეობას იკავებს სახლის ერთ-ერთი თანამესაკუთრე.

ვადის მხრივ აქ საინტერესოა ორი საკითხი. სამოქალაქო სამართლისათვის ცნობილ რომელ ვადებს მიეკუთვნება ხსენებული სამთვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც საერთო წილადობრივი საკუთრების მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა?

იურიდიულ ლიტერატურაში დავას იწვევს განსხვავების დადგენა სასარ-

¹⁰ Журнал «Социалистическая законность», 1967, № 3, стр. 85.

ჩელო ხანდაზმულობის ვადებსა და სხვა ვადებს შორის, რომლებსაც სამოქალაქო სამართალი იცნობს. აქ საკითხი ეხება განსხვავებას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებსა და ამკრძალავ, ანუ პრეკლუზორულ ვადებს შორის.

არიან ავტორები, რომლებიც საერთოდ უარყოფენ სამოქალაქო სამართალში პრეკლუზორული ვადების არსებობას. მ. აგარკოვის აზრით, ხანდაზმულობისა და პრეკლუზორულ ვადებს შორის განსხვავების დადგენა საბჭოთა სამოქალაქო სამართლისათვის მიზანშეუწონელია.¹¹

პრეკლუზორული ვადების არსებობას აღიარებს აგრეთვე ი. ნოვიცკი. მაგრამ, მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში ხანდაზმულობის ვადებთან ერთად პრეკლუზორული ვადებიც არსებობს, ეს არ წარმოქმნის მათ შორის სხვაობის დადგენის აუცილებლობის საფუძველს. იგი ფიქრობს, რომ პრეკლუზორული ვადებიც სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტს უნდა დაემორჩილოს.¹²

ამ თვალსაზრისს იზიარებს ო. იოფე და ზოგიერთი სხვა ავტორიც.¹³

პრეკლუზორული ვადების შესახებ საყურადღებოა მ. კირილოვას მოსაზრება. ავტორი სრულიად დამაჯერებლად განასხვავებს აღმკვეთ, ანუ პრეკლუზორულ ვადებს შემოკლებული ხანდაზმულობის ვადებისაგან.¹⁴ იგი ცალკე განიხილავს პრეკლუზორული ვადების სახეებს, მაგრამ რატომღაც არ იხსენიებს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთთვიან ვადას პასუხის მიღებისათვის და სამთვიან ვადას სარჩელის წარდგენისათვის.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ვადები შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღმკვეთ, ანუ პრეკლუზორულ ვადებად, რომელთა ძირითადი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ მათი შეჩერება, შეწყვეტა ან აღდგენა შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში უპირატესი უფლების დამორჩილება ხანდაზმულობის საერთო კანონზომიერებისადმი არასწორად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მაშინ თვით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არც გარანტირებულია და არც სტაბილური, რასაც ზოგჯერ პრაქტიკულად მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

უპირატესი უფლება წარმოადგენს ვალდებულებითი უფლების ელემენტს საკუთრების უფლების მიმართ, რაც სახლის თანამესაკუთრეთა შორის შეიძლება დასაშვებად ჩაითვალოს. მაგრამ ამ უფლების გამოყენება ყველა სხვა შემთხვევაში არასწორი იქნებოდა სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის თვალსაზრისით.

ასევე საინტერესოა საკითხი, თუ რა მომენტიდან იწყება პრეკლუზორული ვადა: რამდენადაც სამოქალაქო სამართლის კოდექსის 85-ე მუხლი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის შესახებ არ შეიძლება გავრცელდეს პრეკლუზორულ ვადებზე, ეს ვადა იწყება ფაქტის მოხდენის მომენტიდან, ე. ი. როდესაც მოხდა უფლების დარღვევა, და არა იმ მომენტიდან, როდესაც უფლებამოსილმა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევა (მუხლი 80).

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ

¹¹ М. М. Агарков. Гражданское право, том I, М., 1944, стр. 115 — 116.

¹² И. Б. Новицкий. Сделка, исковая давность. Госюриздат, М., 1959, стр. 132 — 133.

¹³ О. С. Иоффе. Советское гражданское право, том I, курс лекции ЛГУ, 1958, стр. 256 — 258.

¹⁴ М. Я. Кирилова. Исковая давность, Москва, 1966, стр. 139, 140, 142.

მომენტთან (როდის შეიტყო ან უნდა შეეტყო პირს თავისი უფლების დარღვევა). პრეკლუზორული ვადის დასაწყისი კი დაკავშირებულია ობიექტურ მომენტთან — ფაქტის მოხდენასთან, დამოუკიდებლად იმისა, შეიტყო თუ არა სათანადო პირმა ფაქტის მოხდენის შესახებ. ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ იმ დებულებიდან, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-80 მუხლი არ გამოიყენება პრეკლუზორული ვადების მიმართ.

სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება სხვა დებულებაც. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 22 მარტის დადგენილების თანახმად „ზოგიერთი საკითხი, რომლებიც სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრება საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების მომწესრიგებელი სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმების გამოყენების დროს“, უპირატესი უფლების დარღვევის შემთხვევაში ხანდაზმულობის დენა იწყება იმ მომენტიდან, როცა თანამესაკუთრემ შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის ფაქტი.¹⁵

დარღვეული უპირატესი უფლების აღდგენა დარღვევის ფაქტიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, როგორც ვთქვით, პრაქტიკულად სერიოზულ უხერხულობას შექმნის და ზოგჯერ შეიძლება ზიანი მიაყენოს წილის კეთილსინდისიერ შემძენს. ამიტომ პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილების გამოყენება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

¹⁵ Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1966, № 6, стр. 3.

რკინიგზის ვიარაგების დაკარგვა და მისი გვინახვა

ლ. ჩოგოლაშვილი

სკკპ XXIV ყრილობამ ახალი დიდი ამოცანები დაუსახა რკინიგზის ტრანსპორტს, რომლის გამართულ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი მეურნეობაში დანაკარგების შემცირება. ტვირთის დანიშნულებისამებრ, დანაკლისისა და გაფუჭების გარეშე გადაზიდვა დანაკარგების შემცირების გარანტიაა.

რკინიგზის სამოქალაქო უფლებრივი პასუხისმგებლობა ტვირთის დაკარგვის, დანაკლისისა და დაზიანებისათვის ამ უკანასკნელს აკისრებს დაიცვას გადაზიდვის ყველა წესი, იზრუნოს ტვირთის დაცულობისათვის.

რკინიგზით გადასაზიდი ტვირთის დაუცველობა შეიძლება გამოიხატოს ტვირთის მთლიან დაკარგვაში (დაკარგვა), ნაწილობრივ დაკარგვაში (დანაკლისი), ან მის დაზიანებასა და გაფუჭებაში. ერთერთი ამ საფუძვლის არსებობის დროს შეიძლება დადგეს რკინიგზის პასუხისმგებლობის საკითხი.

ტვირთის დაკარგვად მიიჩნევა ისეთი შემთხვევა, როდესაც რკინიგზა მოკლებულია საშუალებას მისცეს ტვირთი მიმღებს.¹ ტვირთის დაკარგვად ითვლება არა მარტო გამაზიდავის მფლობელობიდან მისი გასვლა, (დატაცება, განადგურება, დაღუპვა და სხვა), არამედ ისეთი შემთხვევაც, როდესაც იგი ფაქტიურად განადგურებული არ არის, მაგრამ მიმღებს დროულად არ ჩაბარდა. უფრო მეტიც, ტვირთს შეიძლება რკინიგზა ფლობდეს, მაგრამ წესდებაში აღნიშნულ ვადაში მისი გაცემა ვერ მოხერხდეს. სხვანაირად რომ ვთქვათ ტვირთის დაკარგვა იურიდიული ცნებაა და უფრო ფართოა, ვიდრე „ტვირთის ფაქტიური დაკარგვის“ ცნება. იგი მოიცავს არა მარტო ტვირთის ფიზიკურ დაღუპვას, არამედ სხვადასხვა მიზეზით მისი გაცემის შეუძლებლობასაც თუნდაც ტვირთი დაღუპული არ იყოს.“²

რკინიგზის წესდების 154 მუხლი, აქედან გამომდინარე, ტვირთის გამომგზავნის ან მიმღებს უფლებას აძლევს ტვირთი დაკარგულად ჩათვალოს და შიითხოვონ აუნაზღაურდეთ მისი ღირებულება ტვირთის მიტანის ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში (პირდაპირი გადაზიდვის დროს), ან 4 თვის განმავლობაში (პირდაპირი შერეული გადაზიდვისას).

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა ერთერთ კონკრეტულ საქმეზე 1970 წლის 20 აპრილის №0-7-22 65 წერილში მიუთითა, რომ რკინიგზის წესდების 154 მუხლით უფლება, რომ ტვირთი ჩაითვალოს დაკარგულად არ უკავშირდება ტვირთის ფაქტიურ დაკარგვას, ან ამ დაკარგვის ვარაუდს, იგი დამოკიდებულია მხოლოდ მისი მიტანის ვადის გასვლაზე.

¹ А. Г. Гусаков. Железнодорожное право по законодательству СССР, Транспечать, 1929 г., стр. 112.

² П. Крауз. Об ответственности железных дорог за утрату, недостачу и порчу грузов. «Транспорт и хозяйство». 1928 г., № 2, стр. 90.

ამიტომ უნდა დავეთანხმოთ ბ. ნ. ლუკიანოვს, რომელიც უსწოროდ თვლის ბ. ბ. ჩერეპახინის შემდეგ განმარტებას: „ტვირთის დაკარგვა სრულად ჩაითვლება, თუ გადაზიდავი მოკლებულია საშუალებას მისცეს მიმღებს მთელი ტვირთი, ერთი სატრანსპორტო დოკუმენტით და არა აქვს მონაცემები ტვირთის ადგილსამყოფელის შესახებ“. „ისმის კითხვა, აღნიშნავს ლუკიანოვი, თუ ეს მონაცემები გადაზიდავს აქვს, მაგრამ მაინც მოკლებულია საშუალებას ტვირთი დროულად გასცეს, განა არ არის საფუძველი რომ ტვირთი დაკარგულად ჩავთვალოთ. რა თქმა უნდა, არის“.³

სწორია გ. ნ. ლუკიანოვი, როდესაც არ ეთანხმება ვ. ნ. იზვოლენსკისა, რომელსაც მიაჩნია, რომ თუ პრეტენზიის წარდგენის დროს დადგინდება, რომ ტვირთი ფაქტიურად არ არის დაკარგული, არამედ გზაშია, ტვირთი დაკარგული არ არის, არამედ უნდა ჩავთვალოთ, რომ იგი მიტანილია არადროულად. ლუკიანოვი თვლის, რომ „ტვირთის გზაში ყოფნა ჭერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ტვირთი გაცემული იქნება უფლებამოსილ პირზე“.⁴

ისმის კითხვა, ხომ არ იცვლება ეს დებულება, როდესაც ტვირთი ფაქტიურად დაკარგული არ არის, არამედ გადაეცა სხვა ორგანიზაციას, ე. ი. არა უფლებამოსილ პირს. პრაქტიკაში დაკარგული ტვირთის ღირებულების ანაზღაურების საკითხის განხილვისას რკინიგზა უმრავლეს შემთხვევაში შუამდგომლობს საქმეში ტვირთის ფაქტიური მიმღების ჩაბმისა და პასუხისმგებლობის მისთვის დაკისრების შესახებ. სანამ რკინიგზა ცდილობს დაადგინოს ფაქტიური მიმღები, თხოულობს საქმის გადადებას და მამასადამე, ხელს უშლის დავის დროულად გადაწყვეტას.

ბ. ლ. ხასკელბერგს, სწორად მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში სახარბიტრაჟო ტვირთის ღირებულებას ახდევინებს ფაქტიურ მიმღებს, ვინაიდან საბოლოოდ პირი, რომელმაც უსაფუძვლოდ მიიღო ტვირთი, ვალდებულია გადაიხადოს მისი ღირებულება ან დააბრუნოს იგი“.⁵

მართალია, ეს იწვევს საქმის განხილვის გაჭიანურებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არაუფლებამოსილ პირს ტვირთი გადაეცა დანაკლისით ან დაზიანებით, მაგრამ ტვირთის ფაქტიური მიმღების ჩაბმა და დავის გადაწყვეტა ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით მაინც უფრო სწორად უნდა იქნას მიჩნეული. ამ შემთხვევაშიც თუმცა ტვირთი ფაქტიურად დაკარგული არ არის, მაგრამ ვინაიდან რკინიგზა მოკლებულია საშუალებას გასცეს იგი, ტვირთი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს და უნდა დავეთანხმოთ ბ. ლ. ხასკელბერგს, როდესაც იგი აღნიშნავს, რომ „სწორედ ტვირთის დაკარგულად აღიარებით შეგვიძლია დავასაბუთოთ ძიება რკინიგზისა და ფაქტიური მიმღების მიმართ“.⁶

პირდაპირი და შერეული გადაზიდვის დროს დადგენილია ტვირთის დაკარგულად ჩათვლის ვადების გამოანგარიშების სხვადასხვა წესი, პირველ შემთხვევაში ეს ვადა იანგარიშება მიტანის ვადის გასვლიდან, ხოლო მეორე შემთხვევაში — ტვირთის გადასაზიდავად მიღების დღიდან. ეს იმით აიხსნება, რომ შერეული გადაზიდვის დროს მიტანის ვადები დადგენილი არ არის.

³ Б. Н. Лукьянов. Несохранность груза как основание ответственности железной дороги, Ученые записки Саратовского юридического института, вып. 15, 1967 г., стр. 152.

⁴ Там же, стр. 152.

⁵ Б. Л. Хаскельберг. «Ответственность ж/д за несохранность груза», 1966 г. стр. 8.

⁶ იქვე, გვ. 8.



ასეთი მყარი ვადების დადგენა, რომლის შემდეგ მიმღებს ან გამგზავნს უფლება აქვს ტვირთი დაკარგულად ჩათვალოს და პრეტენზია წარუდგინოს გადაშიდავს, სწორია. არ შეიძლება დავეთანხმოთ ბ. ლუკიანოვს, რომელიც თვლის, რომ ეს ვადები ხელოვნურად აღიდებენ რკინიგზის მიმართ პრეტენზიის და ძიების წარდგენის ვადებს, მას მიზანშეწონილად მიაჩნია ვადები გამოითვალოს მოტანის ვადის გასვლის მომენტიდან.⁷

ეს ვადები საჭიროა, პირველყოვლისა, თვით რკინიგზისათვის, რომელიც ვალდებულია დაძებნოს ტვირთი, რაც დიდი მანძილებისა და მთელი რიგი სხვა ფაქტორების გამო ძნელია. ეს არ ამცირებს არბიტრაჟის უფლებას აიძულოს მოპასუხე რეალურად შეასრულოს გადაზიდვის ხელშეკრულება. პირიქით, შემცირებული ვადებით რკინიგზას ნაკლები შესაძლებლობა აქვს დაადგინოს ტვირთის ადგილსამყოფელი და მაშასადამე, ნაკლებია შესაძლებლობაც, რომ ხელშეკრულება რეალურად შესრულდეს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რკინიგზა უმრავლეს შემთხვევაში ვერ ეტევა საპრეტენზიო ვადებში. ამ დავების განხილვის დროს, როგორც წესი, იგი უშუამდგომლობს ძებნასთან დაკავშირებით საქმის გადადებას, ან წარმოადგენს ცნობას, რომ ტვირთი გაეგზავნა მიმღებს დამატებითი ზედდებულით საქმის განხილვის პერიოდში, ხოლო სახელმწიფო არბიტრაჟში ასეთი დავები უმეტეს შემთხვევაში აღიძვრება საპრეტენზიო და სასარჩელო ვადების კრებადობით თითქმის 9—10 თვის შემდეგ. ამ ვადების დადგენისას წესდება გამოდიოდა რკინიგზის ინტერესებიდან და მისი უარყოფა ამ ინტერესების შელახვა იქნებოდა.

კონკრეტული ვადის დადგენა არ ეწინააღმდეგება მიმღების ინტერესებსაც, რადგან მან იცის სახელდობრ, რა ვადის განმავლობაში უნდა ელოდოს ტვირთს და როდის წარმოეშვება საპრეტენზიო ვადა. ამით თავიდან იქნება აცილებული გაურკვევლობა ტვირთის მიმღებისათვის, რომელიც დაინტერესებულია მიიღოს თავისი ტვირთი, და არა ფულადი კომპენსაცია.

წესდების 154-ე მუხლი ითვალისწინებს ტვირთის მიმღების ვალდებულებას მიიღოს რკინიგზის მიერ დაძებნილი ტვირთი და დაუბრუნოს ამ უკანასკნელს ტვირთის ღირებულება. წესდებით რკინიგზა არ არის შეზღუდული ამ უფლების განხორციელების რაიმე ვადით. მას ყოველთვის შეუძლია დაუბრუნოს მიმღებს დავიანებით მოსული ტვირთი. უნდა დავეთანხმოთ ავტორებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ რკინიგზის ვადით შეუზღუდველი ეს უფლება მთლიანად გამართლებული როდია. მიმღებისათვის დიდი დროის გასვლის შემდეგ ტვირთი შეიძლება აღარც იყოს საჭირო. არ არის გამორიცხული, რომ დავიანების გამო მიმღებმა შეიძინა სხვა ასეთივე პროდუქცია. არ შეიძლება მიმღები დიდი ხნის განმავლობაში იყოს იმის შიშის ქვეშ, რომ მას დაუბრუნებენ ტვირთს, რომელიც უკვე აღარ სჭირდება.

მაგრამ პრაქტიკულად თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ დავა ტვირთის უკან დაბრუნებასა და მისი ღირებულების ანაზღაურებაზე სახელმწიფო არბიტრაჟამდე მოსულიყოს (მხედველობაში გვაქვს საქართველოს სსრ არბიტრაჟის პრაქტიკა ლ. ჩ). როგორც ჩანს, ეს დავა საპრეტენზიო წესით გვარდება.

7 ბ. ნ. ლუკიანოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

ტვირთის დაუცველობის ფაქტი უნდა დამტკიცდეს. კანონი ითვალისწინებს ამ მტკიცებათა გარკვეულ საშუალებებს.

რკინიგზასთან ტვირთის გადაზიდვაზე ხელშეკრულების დადების მტკიცებად ითვლება რკინიგზის ზედდებულო, რომელიც ტვირთს მიყვება და ეძლევა მიმღებს ტვირთთან ერთად. მაგრამ ტვირთის დაკარგვის დროს, ზედდებული როგორც წესი არ გაიცემა მიმღებზე. ასეთ ვითარებაში ხელშეკრულების დადების მტკიცებად ითვლება სატვირთო ქვითარი, რომელიც ეძლევა გამგზავნის გაგზავნის სადგურის მიერ.

წესდების 169-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ ტვირთის დაკარგვის მტკიცებად მიიჩნევა სატვირთო ქვითარი დანიშნულების სადგურის აღნიშვნით ტვირთის მიუღებლობის შესახებ, აქედან დასკვნა, რომ ამ შემთხვევაში თვით სატვირთო ქვითარი თავისთავად არ ითვლება ტვირთის დაკარგვის მტკიცებად თუ არ იქნა დანიშნულების სადგურის აღნიშვნა.

წესდების ეს მუხლი სატვირთო ქვითრის გარდა ითვალისწინებს ტვირთის დაკარგვის სხვა მტკიცებასაც. თუ ქვითრის წარმოდგენა შეუძლებელია, მიმღებს უფლება აქვს წარადგინოს ტვირთის ღირებულების გადახდის საბუთი და რკინიგზის ცნობა მისი გაგზავნის შესახებ დანიშნულების სადგურის აღნიშვნით ტვირთის მიუღებლობაზე.

განსხვავებული წესია დადგენილი ტვირთის მიმღებისათვის, როდესაც იგი წარადგენს სატვირთო ქვითარს და ტვირთის გაგზავნის შესახებ რკინიგზის ცნობას. თუ პირველ შემთხვევაში სავალდებულო არ არის ტვირთის ღირებულების გადახდის მტკიცების წარდგენა, მეორე შემთხვევაში იგი აუცილებლად ითვლება.


რკინიგზის წესდების იგივე მუხლი ადგენს ტვირთის დაკარგვის მტკიცების კიდევ ერთ შემთხვევას, როდესაც პრეტენზიას ადგენს არა ტვირთის მიმღები, არამედ ტვირთის გამგზავნი. ასეთ ვითარებაში, გამგზავნისათვის საკმარისია მხოლოდ სატვირთო ქვითრის წარდგენა, დანიშნულების სადგურის აღნიშვნის გარეშე. ე. ი. ტვირთის დაკარგვის მტკიცებას წარმოადგენს თვით სატვირთო ქვითარი და ამდენად სწორად არ შეიძლება ჩაითვალოს ბ. ლ. ხასკელბერგის აზრი, რომელიც საერთოდ აღნიშნავს, რომ სატვირთო ქვითარი, ასრულებს რა გადაზიდვის ხელშეკრულების დადების მტკიცების ფუნქციას, არ წარმოადგენს ტვირთის დაკარგვის მტკიცებას. ეს ფაქტი მტკიცდება მხოლოდ დანიშნულების სადგურის აღნიშვნით ტვირთის მიუღებლობის შესახებ⁸.

ტვირთის გამგზავნის მიერ დაკარგული ტვირთის ღირებულების ანაზღაურებაზე პრეტენზიის წარდგენისათვის, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული⁹, კანონმდებელმა სწორად გაითვალისწინა, რომ ქვითარზე არ არის საჭირო დანიშნულების სადგურის აღნიშვნა, ვინაიდან ასეთი აღნიშვნის მიღება მისთვის მთელ რიგ სიძნელებთან არის დაკავშირებული.

როგორც ვხედავთ, 169-ე მუხლის მიხედვით სატვირთო ქვითარის შეცვლა რკინიგზის სადგურისა და ტვირთის ღირებულების გადახდის შესახებ ცნობებით შეუძლია მხოლოდ ტვირთის მიმღებს. ასევე, მხოლოდ

⁸ Б. Л. Хаскельберг. «Ответственность ж/д за несохранность груза», Москва, 1966 г., стр. 29—30.

⁹ К. К. Яичков. «Договор железнодорожной перевозки грузов по Советскому праву», стр. 108.



ტვირთის გამგზავნს აქვს უფლება წარადგინოს სატვირთო ქვითარი დანიშნულების სადგურის სათანადო აღნიშვნის გარეშე ტვირთის მოუსვლელობის შესახებ. ისმის კითხვა — შეიძლება თუ არა წესდების 172-ე მუხლით გათვალისწინებული პრეტენზიისა და სარჩელის უფლების გადაცემის წესით ტვირთის მიმღებისათვის დადგენილი საბუთები, მათზე გადაცემის შესახებ სათანადო აღნიშვნით, წარადგინოს ტვირთის გამგზავნმა და პირიქით.

წესდების ამ მუხლით პრეტენზიის და სარჩელის წარდგენის უფლების სხვა ორგანიზაციებზე გადაცემა არ დაიშვება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთ უფლებას გადასცემს ტვირთის მიმღები ტვირთის გამგზავნს და პირიქით, ან ტვირთის მიმღები და გამგზავნი გადასცემს უფლებას ზემდგომ ორგანიზაციებს ან სატრანსპორტო საექსპედიციო ორგანიზაციებს. ეს მუხლი არ უშვებს რაიმე შეზღუდვას. თუ გავითვალისწინებთ, რომ არც თუ ისე იშვიათად ადგილი აქვს სატვირთო ქვითრის დაკარგვას ან ზოგჯერ ძნელდება ქვითარზე სათანადო აღნიშვნის მიღება, ამ წესის გამოყენებას უეჭველად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

პრაქტიკაში ხშირია, როცა დანიშნულების სადგურზე აღმოჩნდება მხოლოდ ზედდებული და რკინიგზაც პრეტენზიის ტვირთის დაკარგვის შესახებ განიხილავს არსებითად, თუმცა მას ერთვის არა წესდების 169-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები, არამედ რკინიგზის ზედდებული და კომერციული აქტი, რომელიც წესდების 168 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად დგება, მაშინ როდესაც ტვირთი აღმოჩნდება უდოკუმენტოდ, ან დოკუმენტი უტვირთოდ. მოვიდა რა დანიშნულების სადგურზე დოკუმენტი, ე. ი. რკინიგზის ზედდებული ტვირთის გარეშე, ამ გარემოების ფიქსაციისათვის რკინიგზა ადგენს კომერციულ აქტს, რომელიც მის შინაგან დოკუმენტად ითვლება და მისი მიმღებზე ვაცემა გათვალისწინებული არ არის. არ უნდა იქნეს ვაცემული მიმღებზე არც უტვირთოდ მოსული რკინიგზის ზედდებული და მამასადამე, დოკუმენტები, რომელიც მიმღებზე ვაცემული იქნა შემთხვევით, არ შეიძლება გამოდგეს ტვირთის დაკარგვის მტკიცებად, მით უფრო, როდესაც წესდების 169 მუხლი კატეგორიულად ჩამოთვლის იმ დოკუმენტებს, რომელიც ტვირთის დაკარგვის მტკიცებად ჩაითვლება და არავითარ გამონაკლისს არ უშვებს. ვფიქრობთ უსწორია ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პრაქტიკა, როდესაც ასეთ პრეტენზიას არსებითად განიხილავს, თუმცა მას არ ერთვის კანონით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტები.

გადაზიდვის წესების მე-7 პარაგრაფი ჩამოთვლის თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს რკინიგზის ცნობა. ესაა: ზედდებულის და ვაგონის ნომერი, დანიშნულების სადგური და გზა, ტვირთის გამგზავნისა და მიმღების დასახელება, ტვირთის დასახელება, რაოდენობა და წონა, ასევე, ტვირთის მიღებისა და გაგზავნის თარიღები. ცნობა მოწმდება კალენდარული შტემპელით. ამავე პარაგრაფით ამ ცნობაზე დანიშნულების სადგურის აღნიშვნა ტვირთის მიუღებლობის შესახებ უნდა ვაკეთდეს პრეტენზიის წარდგენამდე არა უგვიანეს 10 დღისა. ტვირთის მიმღების შეზღუდვა ამ ვადით იმით არის გა-

მოწვეული, რომ გავანთავისუფლოთ სატრანსპორტო ორგანოები უსაფუძვლო პრეტენზიების განხილვისაგან.

ეს პარაგრაფი 10 დღის ვადას აწესებს მაშინ, როდესაც დანიშნულების სადგურის აღნიშვნა გაკეთებულია გაგზავნის სადგურის მიერ გაცემულ ცნობაზე და არაფერს არ ამბობს თუ ასეთი აღნიშვნა გაკეთებულია სატვირთო ქვითარზე. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ათდღიანი ვადით შეზღუდვა ვრცელდება სატვირთო ქვითარზე გაკეთებულ აღნიშვნაზეც. ამავე აზრს იზიარებს რკინიგზის წესდების პრაქტიკული კომენტარებიც.¹⁰

იმის გამო, რომ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს რკინიგზა ხშირად თავს არიდებს ვასცეს ტვირთის გაგზავნის შესახებ ცნობა ან არ აკეთებს სათანადო აღნიშვნას ასეთ ცნობასა თუ სატვირთო ქვითარზე ტვირთის მოუსვლელობის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა, 1971 წლის 12/V-ს №ი-1-14 ინსტრუქციულ წერილში დაახუსტა და განმარტა ასეთ ვითარებაში მტკიცებულობისა და რკინიგზის პასუხისმგებლობის საკითხი. სახელდობრ, ცნობის გაცემისაგან თავის არიდების მტკიცებად გამოდგება ცნობის გამოგზავნის შესახებ შეკითხვის ასლი და საფოსტო ქვითარი მისი გაგზავნის შესახებ. ხოლო ტვირთის მოუსვლელობის შესახებ აღნიშვნის გაკეთებაზე უარის თქმის მტკიცებად ჩაითვლება რკინიგზის განყოფილების უფროსის სახელზე გაგზავნილი საჩივრის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საჩივრის გაგზავნას. ინსტრუქციულ წერილში აღნიშნულია, რომ ეს მტკიცებანი უნდა დაერთოს არამარტო სასარჩელო მასალებს, არამედ პრეტენზიასაც, წინააღმდეგ შემთხვევაში რკინიგზის მიმართ საპრეტენზიო წესი დარღვეულად ჩაითვლება, რასაც მოყვება საქმის წარმოებით მოსპობა ან საარჩევნო უარის თქმა.

ამ წერილამდე ტვირთის დაკარგვიდან გამომდინარე ერთ-ერთი კატეგორიის დავის საარბიტრაჟო პრაქტიკა აშკარად არამყარია იყო.


ინსტრუქციულმა წერილმა გაითვალისწინა და განმარტა, რომ ცნობის გამოთხოვის უფლება აქვს ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარეს, ე. ი. ტვირთის მიმღებსაც. იგულისხმება, რომ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია ამ ცნობის მიუღებლობისას დადგენილ ვადებში რკინიგზის მიმართ აღძრას პრეტენზია, რომელსაც დაურთავს ცნობის გამოთხოვის შესახებ წერილის ასლს და საფოსტო ქვითარს მისი გაგზავნის შესახებ, რაც მას პრეტენზიის წარდგენის უფლებას აძლევს. თუ მყიდველი არ შეასრულებს ამ მოთხოვნას და გაუშვებს რკინიგზის მიმართ საპრეტენზიო ვადას, მისი ძიება მიმწოდებლის მიმართ დაკმაყოფილებული არ იქნება.

საკითხის ასე გადაწყვეტა აიძულებს ტვირთის მიმღებს დროულად მოკითხოს მის სახელზე გამოგზავნილი ტვირთი, რომლის ღირებულებაც მას გადახდილი აქვს და შეასრულოს კანონის მოთხოვნა, რომ მიიღოს ტვირთი ან მისი ღირებულება.

მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში მაინც აქვს ადგილი აზრთა სხვადასხვაობას და დავის არაერთგვაროვნად გადაწყვეტის შემთხვევებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა რამდენიმე დავა გადაწყვიტა შერეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, ისელებდვანელა

¹⁰ В. И. Орлов, В. Ф. Васильев, Ю. А. Толоров. «Устав ж/д Союза ССР, Москва, изд. «Транспорт», 1968 г., стр. 295.



რა იმით, რომ ტვირთის გამგზავნა მიუხედავად მოთხოვნისა, არ გაუგზავნა მიმღებს სატვირთო ქვითარი.

„უკროპხოზტორგის“ დნებროპეტროვსკის ბაზამ აღძრა სარჩელი თბილისის საცდელი ქარხნის მიმართ ტვირთის მიუღებლობის გამო მისი ღირებულების დაბრუნების შესახებ. საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ მაძიებლის მოთხოვნა, სატვირთო ქვითრის გამოგზავნის შესახებ, რომელიც გაეგზავნა ქარხანას რკინიგზის მიმართ. საპრეტენზიო ვადის ფარგლებში, უკანასკნელმა შეასრულა ამ ვადების გასვლის შემდეგ, ხოლო იმის გამო, რომ თვით მაძიებელმაც არ გამოიყენა უფლება მიეღო გამოგზავნის სადგურიდან ცნობა, რომელიც ცვლის სატვირთო ქვითარს, ორივე მხარის ბრალის გათვალისწინებით, დავა გადაწყდა შერეული პრინციპის მიხედვით და ძიება ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული.¹¹

ასეთი პრაქტიკა სწორი არ არის და არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან, რომელიც ტვირთის მიმღებისაგან მოითხოვს შეასრულოს ყველა მოქმედება და მიიღოს ზომები დაკარგული ტვირთის მისაღებად ან არ გაუშვას მისი ღირებულების მისაღებად საჭირო საპრეტენზიო ვადები და დაიცვას ყველა წესი.

ზოგჯერ დავის ხასიათის მიხედვით ძნელი გასარკვევია ტვირთის დაკარგვასთან გვაქვს საქმე, თუ დანაკლისთან. ზოგჯერ ტვირთი იგზავნება მარშრუტით ან ვაგონების ჯგუფით ერთი ზედღებულთ, ხოლო დანიშნულების სადგურზე ტვირთი მიღებულია ერთი, ორი ან მეტი ვაგონების დანაკლისით. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ვინაიდან დანიშნულების სადგურზე არ მოვიდა მთელი ვაგონი — სახეზეა ტვირთის დაკარგვა. მაგრამ, მეორეს მხრივ, მარშრუტზე ან ვაგონების ჯგუფზე გამოწერილია ერთი ზედღებული და ვინაიდან ადგილი აქვს ტვირთის ნაწილის დაკარგვას ერთი ვაგონის ან ცისტერნის სახით, უნდა ჩავთვალოთ, რომ აქ ადგილი აქვს დანაკლისს. პრაქტიკაში ზოგიერთი მიმღები ორგანიზაცია ამასთან დაკავშირებით ადგენს უსწორო ძიებას.


ბათუმის ცენტრალურმა ნავთვადსატვირთის ბაზამ აღძრა რამდენიმე საქმე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან ცისტერნა მანუთის ღირებულების ანაზღაურების შესახებ, რომელიც გავგზავნილი იყო ცისტერნების ჯგუფთან ერთად. კომერციული აქტი არ შედგენილა. სახელმწიფო არბიტრაჟმა, გამოდიოდა რა იქედან, რომ ცისტერნების ჯგუფიდან ერთი ცისტერნის დაკარგვა განხილულ უნდა იქნას როგორც დანაკლისი და ეს ფაქტი უნდა დამოწმებულიყო კომერციული აქტით, რაც არ შესრულებულა, საქმე წარმოებით მოსპო.

ამყამად ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ინსტრუქციული წერილით, რომელშიც პირდაპირ მითითებულია, რომ რკინიგზას ასეთ ვითარებაში უნდა წარედგინოს მოთხოვნა არა დაკარგული ტვირთის, არამედ დანაკლისის ღირებულების ანაზღაურებაზე...¹²

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია არარატის საკონსერვო ქარხნის საქმე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მიმართ ერთი ვაგონი სათბობის ღირებულების ანაზღაურებაზე. საკონსერვო ქარხანამ გამოისყიდა მის სახელზე

¹¹ საქართველოს სსრ არბიტრაჟის საქმე № 8/279—72 წ.

¹² Инструктивное письмо Госарбитража Союза ССР от 12/V-71 г. за № 4-1-14, п. 7.



მისული ტვირთი. ვაგონი რკინიგზამ ჩააყენა მის ჩიხში, დღის მეორე ნახევარში. მეორე დღით ვაგონი არ აღმოჩნდა. სადგურ აიგავანის მუშაკებმა სავესტე ვაგონი განტვირთვის გარეშე შეცდომით წაიღეს სხვა ცარიელ ვაგონებთან ერთად. ფაქტზე კომერციული ან საერთო ფორმის აქტი არ შეუდგენიათ. პრეტენზიის და ძიების საფუძვლად მიმღებმა წარადგინა სადგურის ცნობა მისი მუშაკების მიერ დაშვებული შეცდომის შესახებ. ტვირთის დაქვინამ შედეგი ვერ გამოიღო. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ პრეტენზია განუხილველად დატოვა იმ მოტივით, რომ სახეზეა ტვირთის დაკარგვა და მიმღები ვალდებული იყო წარედგინა პრეტენზია წესდების 169-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული წესით.

სახელმწიფო არბიტრაჟმა დააკმაყოფილა ძიება იმ მოტივით, რომ ტვირთი ფაქტიურად გაცემული იყო მიმღებზე, რაზეც მან ხელი მოაწერა და რკინიგზის მოთხოვნა ქვირთის წარდგენის შესახებ ტვირთის მიუღებლობაზე სადგურის სათანადო აღნიშვნით არ შეესაბამება ფაქტიურ მასალებს.

ჩვენი აზრით რკინიგზის სამმართველო მართალი არ არის, როდესაც თვლის, რომ ადგილი აქვს ტვირთის დაკარგვას, ვინაიდან ტვირთი ფაქტიურად ჩავიდა დანიშნულების სადგურზე და გაიცა მიმღებზე, ჩაყენებულ იქნა მიმღების ჩიხში. ტვირთის მიღებაზე არის მიმღების ხელისმოწერა და მასთანადამე, ამ მომენტიდან გადაზიდვის ხელშეკრულება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს რკინიგზის სამმართველოზე პასუხისმგებლობის დაკისრებაც, ვინაიდან რკინიგზის ურთიერთობა კლიენტთან, რომელსაც მისასვლელი გზა აქვს, რეგულირდება მისასვლელი გზების ექსპლუატაციის ხელშეკრულებით, რომელიც აწესრიგებს ვაგონების ჩაყენების, გაყვანის და სხვა მომსახურების საკითხებს. ვინაიდან შეცდომა დაშვებულია სწორედ ამ მომსახურების დროს, ჩვენი აზრით, პრეტენზია და ძიება უნდა წარდგენილიყო თვით სადგურს, რომელიც უშუალოდ დებს ამ ხელშეკრულებებს და რომელიც დამოუკიდებელი იურიდიული პირია. რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში გადასაწყვეტი იქნებოდა ის საკითხიც, წარმოადგენს თუ არა საკმარის მტკიცებას სადგურის მიერ გაცემული ცნობა, თუ კლიენტი ვალდებული იყო მოეთხოვა კომერციული აქტის შედგენა და მოეხდინა ფაქტის სათანადო ფიქსაცია, მით უფრო, როგორც რკინიგზის სამმართველო აღნიშნავს, არსებობს მაძიებლის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მწონავის სამასხოვრო განტვირთვის დამთავრების შესახებ და მასთანადამე მისასვლელი გზების ექსპლუატაციის ტიპური ხელშეკრულების მე-4 პარაგრაფის თანახმად, რკინიგზას უფლება ჰქონდა გაეტანა ვაგონი.

პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ზრანსპორტის მართვისათვის

ჟ. ბაბილაშვილი

ავტომობილიზაციასთან დაკავშირებული მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემა საზოგადოებას აიძულებს არ დასჯერდეს მოძრაობის წესების მხოლოდ იმ დარღვევათა კრიმინალიზაციას, რომლებიც რეალურად აზიანებენ კანონით დაცულ ობიექტებს. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იქმნება სპეციალური შემადგენლობანი, სადაც კანონმდებელს დასჯადობა უფრო წინა სტადიაზე გადმოაქვს და დანაშაულად აცხადებს თავისთავად წინდახედულების ნორმის დარღვევის ფაქტს. ეს შესაძლებლობას იძლევა სასჯელის მუქარით თავიდანვე აღიკვეთოს დარღვევა, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. ერთ-ერთი ასეთი სერიოზული დარღვევის აღკვეთას ისახავს მიზნად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულება — „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც სხვა შემთხვევებთან ერთად ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სატრანსპორტო საშუალებათა სიმთვრალეში მართვისათვის¹.

ბრძანებულების მე-14 პუნქტით სიმთვრალეში ტრანსპორტის მართვის პირველი შემთხვევა ადმინისტრაციული წესით ისჯება. სახელდობრ, მძღოლი, რომელიც მთვრალი მართავს ტრანსპორტს, სიმთვრალის ხარისხის მიუხედავად, დაჯარიმდება ათიდან ოცდაათ მანეთამდე, ორ წლამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით. ამ პუნქტის მეორე ნაწილით გაზრდილია იმ მძღოლის პასუხისმგებლობა, რომელიც მართვის უფლების ჩამორთმევის ვადის გასვლიდან ხუთი წლის განმავლობაში კვლავ მთვრალი აღმოჩნდება საჭესთან. იგი ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდება ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე. ორიდან ხუთ წლამდე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით.

ბრძანებულება ითვალისწინებს აგრეთვე იმ პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება და სიმთვრალეში მართავს ტრანსპორტს. ბრძანებულების მე-16 პუნქტის თანახმად, ასეთი პირი, მიუხედავად სიმთვრალის ხარისხისა, 50 მანეთით დაჯარიმდება.

თუ ჩამოთვლილი ადმინისტრაციული ღონისძიებების შემდეგ მძღოლი ან მართვის უფლების არამქონე პირი არ გამოიტანს შესაბამის დასკვნებს და კვლავ მთვრალი მიუჯდება საჭეს, მაშინ მის მიმართ გამოიყენება სისხლისსამართლებრივი სასჯელი.

მოქმედი კანონმდებლობა დანაშაულად აცხადებს და მკაცრად სჯის იმას, ვინც უხეშად არღვევს ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოების წესებს. ასეთ დარღვევად კანონი თვლის იმ შემთხვევასაც, როცა

* იბეჭდება განხილვის წესით.

¹ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1972, № 9 (380), გვ. 497—502.

მძღოლი ან მართვის უფლების არამქონე პირი განმეორებით მართავს მანქანას სიმთვრალეში.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრანსპორტის სიმთვრალეში მართვისათვის გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-1 მუხლში².

განსახილველი ქმედობა ე. წ. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტია. 241-ე მუხლის შემადგენლობისაგან განსხვავებით, იგი დამთავრებულად ითვლება მოქმედების ჩადენისთანავე. რაიმე მავნე შედეგის დადგომა ან სამართლით დაცული სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნა ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის საჭირო არ არის³.

აღნიშნული დანაშაულის ობიექტი, ისე როგორც ყველა ავტოსატრანსპორტო დანაშაულსა, არის ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის უსაფრთხოება. სიმთვრალეში მანქანის მართვა თავისთავად წარმოადგენს მართლწესრიგით დაცული ობიექტის დაზიანების საშიშროებას.

პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელი სატრანსპორტო საშუალების მართვისას იქნება შემჩნეული პირი დანაშაულის ჩადენაში, ეს ავტომობილტრანსპორტი იქნება, ქალაქის ელექტროტრანსპორტი, ტრაქტორი თუ სხვა თვითმავალი მანქანა.

სიმთვრალედ ჩაითვლება ალკოჰოლური სასმელის ან ნარკოტიკული ნივთიერების მიღება. სიმთვრალის ხარისხს პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

სრული სიმთვრალე, რომლის დროსაც სუბიექტს არ შეუძლია შეიგნოს საკუთარი მოქმედების შედეგები ან უხელმძღვანელოს ამ მოქმედებას, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი ფსიქიკური მდგომარეობა მისი ბრალითაა გამოწვეული⁴.

სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლში აღწერილი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, დამნაშავემ იცის, რომ ადრე ანალოგიური ქმედობისათვის დასჯილი იყო ადმინისტრაციული წესით და მაინც კვლავ იმეორებს მას — მთვრალი მართავს მანქანას.


განსახილველი დანაშაულის სუბიექტებს კანონმდებელი ორად აჯგუფებს: მძღოლი, რომელსაც წინათ მსგავსი დარღვევისათვის ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება და პირი, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება და რომლის მიმართ ერთი წლის განმავლობაში გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სასჯელი ასეთივე დარღვევისათვის.

მართვის უფლების არამქონედ ჩაითვლება ის პირი, რომელსაც საერთოდ არა აქვს მართვის უფლება ან არა აქვს იმ სახის ტრანსპორტის მართვის უფლება, რომელსაც ის მართავს. ვთქვათ, კაცს აქვს მოტოციკლის მართვის უფ-

² ვფიქრობთ უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ აქ სიტყვა „ნასვამის“ მაგიერ კანონმდებელი „სიმთვრალე“ იხმარდა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ეს ნორმა ვრცელდება ნარკოტიკული ნივთიერებით დამთვრალ პირებზეც, ხოლო ამ ნივთიერებათა მიღება დალევის გარდა სხვა ხერხებსაც გულისხმობს (მოწვევა, ნემსის გაკეთება და სხვა).

³ **Т. В. Церетели.** Деликты создания опасности. «Советское государство и право», 1970, стр. 56.

⁴ დაწვრილებით იხ. **А. Габияни.** Уголовная ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения, Тбилиси, 1968, стр. 61—109.



ლება და მართავს ტრაქტორს ან ავტომანქანას და სხვა. კანონმდებელი ამ შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ არ დაუშვას საჭესთან მანქანის მართვის უცოდინარი პირი.

241-ე მუხლი არ განსაზღვრავს იმ დროის შუალედს, რომელიც შეიძლება არსებობდეს მართვის უფლებაჩამორთმეული პირის მიერ ჩადენილ დარღვევებს შორის. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ხნით აუკრძალა მას მართვა შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ პირველი დარღვევისათვის.⁵

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ განმეორებით დარღვევა იმ ხნის განმავლობაში მოხდა, რა ხნითაც მძღოლს ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება, ხოლო თუ სამართალდამრღვევს მართვის უფლება არ ჰქონდა, მაშინ ერთი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული სასჯელის დადების დღიდან.

შეიძლება თუ არა 241-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტად ჩაითვალოს პირი, რომელსაც ადრე სიმთვრალეში ჩადენილი ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის (მუხ. 241, 241-1, 243) სასამართლო განაჩენის საფუძველზე ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება და კვლავ შეეცდება სიმთვრალეში მანქანის მართვას?

ამ საკითხზე პასუხს იძლევა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება „ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, რომლის მიხედვით ასეთ შემთხვევებში ქმედობას მოჰყვება მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოძრაობის წესებისა და სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის.⁶

ამ შეხედულებას იზიარებენ იურიდიულ ლიტერატურაში პროფ. მ. ეფიმოვი⁷, დოც. ი. ლიპაუნოვი⁸ და სხვები⁹.

ეს არ უნდა შეესაბამებოდეს კანონის სულისკვეთებას. ჩვენი აზრით, იმ პირმა, ვისაც წინათ ჩამორთმეული ჰქონდა მართვის უფლება და მთვრალი მართავს მანქანას პასუხი უნდა აგოს 241-1 მუხლით, იმისდამიუხედავად, ადმინისტრაციული წესით ჩამოერთვა მას მართვის უფლება ანალოგიური ქმედობისათვის თუ სიმთვრალეში სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენის გამო. (მუხ. 241, 241-1, 243), როდესაც სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა მას დამატებით სასჯელად მიესაჯა სხვა სასჯელთან ერთად.

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საკითხი იმ პირთა მიმართ, რომელთაც არა აქვთ მართვის უფლება და სიმთვრალეში მართავენ სატრანსპორტო სა-

⁵ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების მე-14 პუნქტი.

⁶ Бюллетень Верховного Суда СССР, 1970 г., № 6, стр. 22.

⁷ М. А. Ефимов. Борьба с преступлениями против общественного порядка, общественной безопасности и здоровья населения, Минск, 1971, стр. 81.

⁸ Ю. И. Ляпунов, в книге — Преступления против общественной безопасности, общественного порядка и здоровья населения, М., 1970, стр. 79.

⁹ А. Н. Игнатов, в книге — «Курс Советского уголовного права», М., 1971, стр. 417, С. Улицкий, Уголовная ответственность за управление транспортными средствами в состоянии опьянения, «Советская Юстиция», 1972, № 6, стр. 11.



შუალეხას.¹⁰ საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოხსენებული დადგენილებისა და მის მომხრე ავტორთა პოზიციის შეუსაბამობის ნათელსაყოფად ავიღოთ ასეთი მაგალითი. ვთქვათ, მთვრალი მძღოლი, რომელიც ადრე არ ყოფილა შემჩნეული სიმთვრალეში მანქანის მართვაში, იტაცებს სატრანსპორტო საშუალებას დროებითი გამოყენების მიზნით. სასამართლო სსკ-ს 29-ე მუხლის ძალით, სხვა სასჯელთან ერთად უკრძალავს მას სატრანსპორტო საშუალებათა მართვას გარკვეული ვადით.

თუ დამნაშავე ცოტა ხნის შემდეგ კვლავ აღმოჩნდება საჭესთან მთვრალი, სადავო შეხედულების თანახმად, იგი პასუხს არ აგებს 241-1 მუხლით და დაისჯება მხოლოდ ადმინისტრაციული წესით.

ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა მიეცეს ასეთ პირს უპირატესობა იმასთან შედარებით, ვისაც არ ჩაუდენია სხვა რაიმე დანაშაული და მხოლოდ ორჯერ იქნა ფიქსირებული მის მიერ ტრანსპორტის სიმთვრალეში მართვა.

გამოდის, რომ პირველ შემთხვევაში მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელ პიროვნებას, რომელზეც არ იმოქმედა სისხლის სამართლის სასჯელმა, საშუალებას ვაძლევთ მესამედაც სცადოს სიმთვრალეში მანქანის მართვა და მხოლოდ ამის შემდეგ ვსჯით მას სისხლის სამართლის კოდექსის 241-1 მუხლით. ვფიქრობთ, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ შეესაბამება ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებს.

ჩვენი აზრით, საჭიროა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1970 წლის 6 ოქტომბრის დადგენილების მე-12 პუნქტის პირველი ნაწილი ჩასწორდეს და სასამართლოებს მიეთითოს, რომ 241-1 მუხლით (მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შესაბამისი მუხლებით) პირი პასუხს აგებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას მართვის უფლება ჩამორთმეული აქვს სიმთვრალეში ავტოსატრანსპორტო დანაშაულის ჩადენისათვის (მუხ. 241, 241-1, 243) და იგი კვლავ მართავს მანქანას სიმთვრალეში.

ინტერესს იწვევს იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც ადრე მიცემული იყო ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მანქანის სიმთვრალეში მართვისას კონკრეტული საფრთხის შექმნისათვის (241-ე მუხლის პირველი ნაწილი) და ერთი წლის განმავლობაში მთვრალმა ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევით ისევ შექმნა ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზული საფრთხე. ცხადია, ამ შემთხვევაში დამნაშავე ერთდროულად არღვევს სისხლის სამართლის ორ ნორმას, გათვალისწინებულს სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 241-1 მუხლით.

აქ ჩვენი აზრით, პასუხისმგებლობა უნდა განისაზღვროს 241-ე მუხლის პირველი ნაწილით, ვინაიდან ტრანსპორტის სიმთვრალეში მართვა წარმოადგენს წინდახედულების იმ ნორმათა დარღვევის კერძო შემთხვევას, რაზედაც აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილშია მითითებული. მაგრამ მდგომარეობას ართულებს ის, რომ აქ გათვალისწინებული სანქცია უფრო მსუბუქია ვიდრე სან-

¹⁰ დარღვევათა შორის არსებული დროის შუალედის გამოთვლა ამ შემთხვევებში უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე, 49-ე და 57-ე მუხლების შესაბამისად. სახელდობრ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სიმთვრალეში ჩადენილი ავტოსატრანსპორტო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემის ხანდაზმულობა და ნასამართლობა.

ქცია, მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის 241-1 მუხლში, კერძოდ, თუ 241-ე მუხლის პირველი ნაწილით დამნაშავე შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე ან ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ორ წლამდე, სისხლის სამართლის კოდექსის 241-1 მუხლის მიხედვით იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე, ხოლო თუ დამნაშავე მძღოლია სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ხუთ წლამდე.

ზემოაღნიშნულის გამო, ჩვენი აზრით, საკმარისი იქნება დამნაშავეს პასუხი მოვთხოვოთ იმ კანონით, რომელიც უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს, ე. ი. 241-1 მუხლით (ტრანსპორტის სიმთვრალეში მართვისათვის), რაც საშუალებას მოგვცემს ჯეროვნად დავსაჯოთ იგი.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ 241-1 მუხლით სასჯელის ღონისძიებათა განსაზღვრისას კანონმდებელს მხედველობაში უნდა მიედო ის, რომ აღნიშნული დანაშაული წარმოადგენს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს, რომელიც შესაბამისად უფრო მსუბუქად (ყოველშემთხვევაში, არა უფრო მძიმედ) უნდა დაისაჯოს, ვიდრე იმავე ტიპის კონკრეტული საფრთხის შემქმნელი ქმედობა, გათვალისწინებული 241-ე მუხლის პირველ ნაწილში.

სისხლის სამართლის თეორიაში აღიარებულია კონკრეტული საფრთხის დელიქტთა მეტი საზოგადოებრივი საშიშროება, რამდენადაც ამ დროს ქმედობა ძალიან ახლოსაა მძიმე შედეგის განხორციელებასთან და ეს შედეგი მხოლოდ „ბედნიერი“ შემთხვევის გამო არ დგება. აბსტრაქტული საფრთხის შექმნისას კი საკმაოდ დიდი მანძილია მოქმედებიდან (უმოქმედებიდან) საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელებამდე.

აგტოტრანსპორტის სიმთვრალეში მართვისათვის დადგენილი სასჯელები მისაღებია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ფეალოთხედვით, რადგან ეს ქმედობა საკმაოდ გავრცელებულია პრაქტიკაში და ხშირად მძიმე შედეგებით მთავრდება. სასჯელის ზოგად პრევენციული მნიშვნელობა აქ აშკარაა და დიდად უწყობს ხელს უდისციპლინო მძღოლთა პასუხისმგებლობის ამაღლებას. მაგრამ არა სწორი იქნებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლის პირველ ნაწილში მოთავსებული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების უგულვებლყოფაც. ჩვენი აზრით, ზემოხსენებული ქმედობისათვის დადგენილი სანქციები უნდა გადაისინჯოს და შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი 241-1 მუხლის სანქციებთან. ყოველ შემთხვევაში ისინი უნდა გათანაბრდეს მაინც.

საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ტრანსპორტის სიმთვრალეში მართვისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევით გამოწვეული მძიმე შედეგების თავიდან აცილების საქმეში, მისი სწორი გამოყენება დიდ პერსპექტივებს ჰქმნის ამ დარღვევათა პროფილაქტიკისათვის.


ჩვენი აზრით, სასურველია ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების ასეთი დიფერენციაცია კვლავაც გაგრძელდეს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია de lege ferenda შეიქმნას კიდევ ერთი აბსტრაქტული საფრთხის შემადგენლობა, სახელდობრ სატრანსპორტო საშუალების მართვის უკანონოდ გადაადგილება.



ასეთი კანონის მიღება გაადიდებს საჭის გადამცემთა პასუხისმგებლობას და გზას გადაუღობავს მანქანის მართვისაკენ იმ პირებს, რომელთაც თავიანთი მომზადებით (არა აქვთ მართვის უფლება) და მდგომარეობით (მთვრალია, ავადაა ან გადაღლილია) არ შეუძლიათ უზრუნველყონ ტრანსპორტის უსაფრთხო მართვა.

აღნიშნული ნორმა შეიძლება ჩაემატოს სისხლის სამართლის კოდექსის 241-1 მუხლს და ჩამოყალიბდეს ასე:

ავტომობილსატრანსპორტო ან ქალაქის ელექტროსატრანსპორტო საშუალებების, ტრაქტორის ან სხვა თვითმავალი მანქანის მართვის უკანონო გადაცემა ან მისი სიმთვრალეში მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც ასეთივე დარღვევისათვის ჩამორთმეული აქვს მართვის უფლება, ან აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების სიმთვრალეში მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს მართვის უფლება...¹¹ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ხუთ წლამდე (თუ მძღოლია დამნაშავე).



¹¹ დანარჩენი ისე როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 241¹ მუხლის ტექსტში.

აპაპალოოთ კვაპის მკანალოპის სანაკოოპოპი სამართლებრივი მუშაოპის ღონე

პ. ცაპიტოპილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა შე-
საბამისად იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას
შეადგენს სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახურისადმი მეთოდური ხელ-
მძღვანელობის გაწევა და სამართლებრივი საქმიანობის კოორდინაცია.

ეკონომიური რეფორმის განხორციელების, სამინისტროებისა და უწყებე-
ბის უფლებათა გაფართოების, სამეურნეო ხელშეკრულებათა როლის ზრდის,
სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყო-
ფის პირობებში სულ უფრო იზრდება სახალხო მეურნეობაში იურიდიული
სამსახურის მნიშვნელობა.

ამ საქმიანობის შემდგომ სრულყოფას ემსახურება სკკპ ცენტრალური
კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 დეკემბრის
დადგენილება „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობე-
სების შესახებ“.

ამ დადგენილებით განსაზღვრულია სამინისტროებისა და უწყებების, სა-
წარმოებისა და დაწესებულებების იურიდიული სამსახურის მუშაკთა, აგრეთ-
ვე სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანები სოციალისტური კანონიერების
შემდგომი ამოღების, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და ეკონომიური
მაჩვენებლების გაუმჯობესების, სამართლებრივ საშუალებათა აქტიური გამო-
ყენებისათვის. იურიდიული სამსახური მოწოდებულია ყოველმხრივ შეუწყონ
ხელი სოციალისტური საკუთრების განმტკიცებას. საწარმოთა, ორგანიზაცია-
თა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესე-
ბის დაცვას.

სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახურისადმი მეთოდური ხელმძღ-
ვანელობის ერთ-ერთი ფორმაა სამართლებრივი მუშაობის შესწავლა-განზო-
გადება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საქართ-
ველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარე-
ბულ საწარმოებში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობა.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის ბრძანებაში, რომე-
ლიც პარტიისა და მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად
გამოიკა, დასახულია სისტემაში სამართლებრივი სამსახურის ორგანიზაციუ-
ლი განმტკიცების ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს სო-
ციალისტური კანონიერების განუხრელ დაცვას, იურიდიული სამსახურის მუ-
შაკთა შრომის პირობების გაუმჯობესებას, სამართლებრივი მუშაობის მოცუ-
ლობის გათვალისწინებით იურისკონსულტების შტატების დაწესებასა და სხვა
ღონისძიებებს.

მაგრამ ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ერთი ნაწილი დღემდე განუხორციელებელია.

კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, მის ტრესტებში, სამმართველოებსა და 325 საწარმოში, რომლებიც იურიდიული პირის უფლებით სარგებლობენ, შტატში 28 იურისკონსულტია, ხოლო შეთავსებით და ხელშეკრულებით 11 იურისკონსულტი მუშაობს.

სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, № 1 ლუდის ქარხანაში, „საქმინ-ხილწყლების“ ტრესტის სარემონტო-მექანიკურ კომბინატში, ზუგდიდ-აფხაზე-თის ზონის ჩაის ფაბრიკებში იურისკონსულტთა თითო შტატია გათვალისწინებული, მაგრამ ამჟამად ისინი დაკომპლექტებული არ არის.

იურიდიულ მომსახურების თვალსაზრისით „საქართველოს ჩაის“ საწარმოები გაყოფილია სამ ზონად: მახარაძის ზონა 28 ჩაის ფაბრიკით, ზუგდიდ-აფხაზეთის ზონა 26 ჩაის ფაბრიკითა და აჭარის ზონა 27 ჩაის ფაბრიკით, თითოეულ ზონაზე ერთი იურისკონსულტია გათვალისწინებული.

იმის გამო, რომ ასეთი დიდი ოდენობის საწარმოთა სათანადო მომსახურებას ერთი იურისკონსულტი ვერ უზრუნველყოფს, იურიდიული სამსახური ამ ზონებში არ არის დამაკმაყოფილებელი, მსხვილ საწარმოებშიც კი, მაგალითად, ბორჯომის № 1 და № 2 ჩამომსხმელ ქარხნებში, იურისკონსულტებად მუშაობენ ისეთი პირები, რომლებსაც არა აქვთ იურიდიული განათლება და მუშაობის გამოცდილება. ეს რასაკვირველია, უარყოფითად მოქმედებს სამართლებრივი მუშაობის ხარისხზე.

სამინისტროს ცენტრალურ აპარატშიც კი შექმნილი არ არის იურიდიული განყოფილება, ხოლო სამინისტროს უფროს იურისკონსულტს დაკისრებული აქვს არბიტრის მოვალეობაც. მას ისეთ პირობებში უხდება მუშაობა, რომ იურიდიული ლიტერატურის შესანახავი ადგილიც კი არა აქვს.

ანალოგიური ან უარესი მდგომარეობაა სამინისტროს ზოგიერთ სხვა საწარმოშიც, სადაც იურისკონსულტებს არა აქვთ მუდმივი სამუშაო ადგილიც კი.

კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და ტრესტების იურიდიული სამსახურის მუშაკები, ზედმეტად დატვირთვის გამო, იშვიათად ამოწმებენ სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობას დაქვემდებარებულ საწარმოებში, ხოლო შემოწმების შემთხვევაში არ ადგენენ შესაბამის დოკუმენტს, არ ადგენენ ანგარიშს დაქვემდებარებული საწარმოების იურიდიულ მომსახურებაზე, არ ანალიზებენ და ანზოგადებენ სამართლებრივ საქმიანობას, მუშაობის მდიდარი გამოცდილება არ ინერგება სხვა ობიექტებში.

იმის გამო, რომ ზოგიერთ საწარმოში ადმინისტრაციის ბრძანებებზე არა აქვს იურისკონსულტთა ვიზა, არის შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევის ფაქტები.

მაგალითად, ღვინის № 3 ქარხანაში, აფხაზეთის ღვინის კომბინატში, სოხუმის თამბაქოს კომბინატში და ზოგიერთ სხვა საწარმოში პროფკავშირის ადგილკომთან წინასწარ შეუთანხმებლად მუშაკები გათავისუფლებული არიან სამუშაოდან, დასვენებისა და უქმე დღეები გამოცხადებულია სამუშაო დღედ და სხვ.

თუმცა კვების მრეწველობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილება იურისკონსულტების მონაწილეობით სათანადო მუშაობას ეწევა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-გატაცების წინააღმდეგ

საბრძოლველად, ზოგიერთ საწარმოში მაინც არის ამ მანენ მოვლენის ფაქტები. ზოგიერთ საწარმოში გვხვდება სახელმწიფო საკუთრების წვრილმანი დატაცების ფაქტები, ამასთან დამტაცებელთა მიმართ დროულად არ იდებენ ქმედითს ზომებს, ხოლო ამხანაგური სასამართლოები მასალებს დიდი დაგვიანებით განიხილავენ.

არსებობს სახელმძღვანელო მითითება, რომ კანონიერი პრეტენზიები საარბიტრაჟო წესით განხილვამდე უნდა დაკმაყოფილდეს. ფაქტიურად კი, კვების მრეწველობის სამინისტროს ზოგი საწარმო აგვიანებს აღნიშნულ საკითხთა გადაწყვეტას, რითაც გაუმართლებლად ზრდის საუწყებო არბიტრაჟში შესულ სარჩელთა რაოდენობას.

მართალია, სამინისტროს საუწყებო არბიტრაჟი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დამრღვევთა მიმართ იყენებს კანონით დადგენილ სანქციებს, მაგრამ არ ახდენს საარბიტრაჟო პრაქტიკის განზოგადების, მიმოხილვას. საქმეთა განხილვის დროს გამოვლინებულ ნაკლოვანებებს კი არ აცნობოს ტრესტების, სამმართველოებისა და საწარმოების ხელმძღვანელობას.

იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით კვების მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობას რეკომენდაცია მიეცა აღკვეთოს იურიდიულ სამსახურში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები, განახორციელოს ზომები ცენტრალურ აპარატში იურიდიული ჯგუფის შესაქმნელად, იმ საწარმოებში კი, სადაც იურიდიული სამსახური სრულიად არ არის, სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით დააწესეს იურისკონსულტთა შტატი, დააკომპლექტოს იურისკონსულტთა ვაკანტური თანამდებობები, გააუმჯობესოს იურიდიული სამსახურის მუშაკთა შრომის პირობები, უზრუნველყოს ისინი ნორმატიული აქტებით და სხვა იურიდიული ლიტერატურით.

კვების მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე მისი ტრესტებისა და სამმართველოების იურიდიული სამსახურის მუშაკებს რჩევა მიეცათ დაგვემონ სამართლებრივი მუშაობა, საქვეუწყებო საწარმოებში რეგულარულად შეამოწმონ სამართლებრივი მუშაობის მიმდინარეობა, სამართლებრივი სამსახურის საკითხებზე შეიმუშაონ საანგარიშგებო ფორმები, გააანალიზონ და ხელმძღვანელობას აცნობონ შრომის კანონმდებლობის დარღვევის ყველა ფაქტი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ვაფლანგვა-გატაცების აღკვეთისა და უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ შემუშავებულ ღონისძიებათა რეალიზაციაში, სისტემატურად იზრუნონ იურიდიული სამსახურის მუშაკთა კვალიფიკაციის სრულყოფისათვის და სხვა.

ამ ამოცანათა დროული და სწორი გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის განმტკიცებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, არასამეურნეო ხარჯების შემცირებას, საწარმოთა და მუშა-მოსამსახურეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

პროფ. გ. ეკემოვის იუბილე



მიმდინარე წელს 60 წელი შეუსრულდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს პროფ. გრიგოლ არტემის ძე ერემოვს.

გ. ა. ერემოვმა შრომითი საქმიანობა დაიწყო 1930 წელს სურამის თემში შემავალ ქემფრის კოლმეურნეობაში. იმავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს სსრ ცაკთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში, ხოლო 1933 წელს ჩაირიცხა თსუ შესაბამის ასპირანტურაში. 1936 წელს დაასრულა ასპირანტურის კურსი და მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის ასისტენტად. 1940 წლის თებერვალში იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

გ. ა. ერემოვი დიდი სამამულო ომის


მონაწილეა. მიღებული აქვს ჯილდოები საბრძოლო დამსახურებისათვის. არმიაში ეწეოდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას და აქვე მიიღეს იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ლექციების კითხვა დაიწყო თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე საბჭოთა სახელმწიფო სამართლისა და საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მას მიენიჭა 1963 წელს, ხოლო პროფესორის წოდება — 1965 წელს.

წლების მანძილზე პროფ. გ. ერემოვი განაგრძობდა სახელმწიფო სამართლის კათედრას თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე. კითხულობს ლექციების კურსს საბჭოთა სახელმწიფო სამართალში, საბჭოთა ადმინისტრაციულ სამართალსა და საბჭოთა აღმშენებლობაში.

გ. ერემოვი ავტორია საინტერესო მონოგრაფიებისა: „საბჭოთა კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“, „საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“. გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის გარდა გ. ერემოვი ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას. ხშირად გამოდის ლექციებით მოსახლეობაში, არის პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ლექტორი. საზოგადოება „ცოდნის“ აქტიური წევრი.

ყველაფერ ამაზე და გ. ერემოვის ცხოვრების კიდევ მრავალ საინტერესო საკითხებზე ილაპარაკებს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომა-



ზე, რომელიც მიეძღვნა მისი დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავს.

სხდომა გახსნა სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა პროფ. ს. ჯორბენაძემ.

მოხსენებით გამოვიდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, დოც. ვ. ლორია.

იუბილარს გულთბილი სიტყვებით მიესალმნენ საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე გრ. ბიწაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფ-

როსი მეცნიერ-თანამშრომელი ა. მენაბდე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსი მ. გიორგობიანი, ქ. ქუთაისის პროკურორი ა. ჟღენტი, თანაკურსელები და სხვები.

იუბილარის სახელზე გამოგზავნილი მისალთცი დეპეშები წაიკითხა დოც. მ. ლეკვეიშვილმა.

დაბადების 60 წელთან დაკავშირებით სამეცნიერო საზოგადოება, მეგობრები და კოლეგები უსურვებდნენ გრიგოლ არტემის ძე ერემოვს ჯანმრთელობას, ახალ წარმატებებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.

ლ. ისაბაძე



საბჭოთავო ზღაპრის დღეა

მსი წელი უხილავი ზღონების მონინავე ხაზზე



მილიციის თადარიგის პოლკოვნიკი ვალერიან ვარლამის ძე თალაკვაძე 1934 წელს კომკავშირის საგზურით მოვიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ. ჯერ მილიციის სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივნად იმუშავა, შემდეგ კი — 1935—1951 წლებში — რწმუნებულის თანაშემწედ, საქალაქო განყოფილების უფროსად. 1951 წლიდან 1959 წლამდე ვ. თალაკვაძე რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილეა, ხოლო შემდეგ, პენსიაში გასვლამდე — ამ განყოფილების უფროსი.

მან 20 წელი უცვლელად იმუშავა სამძებროს აპარატში ხელმძღვანელ თანამდებობებზე და ბევრი რამ გააკეთა ამ მებრძოლი აპარატის რიგების განმტკიცებისათვის, უნარიანი მუშაკებით შევსებისათვის, მათთვის საბრძოლო ჩვევების მიცემისათვის.

ვ. თალაკვაძე ბევრ საშიშ დამნაშავეს შებრძოლებია პირისპირ, ზოგჯერ გასაგები

მოსაზრებების გამო ცალკეული შეხვედრებიც ჰქონია მათთან, რომ დაერწმუნებინა ისინი, რათა მონანიებით გამოცხადებულიყვნენ ხელისუფლების ორგანოებში. ამ დაძაბულ ცხოვრებასა და საქმიანობაში მან ბევრი ნახა და განიცადა, დიდი პრაქტიკული გამოცდილება დააგროვა დამნაშავეობასთან ბრძოლაში და ნამდვილი აღიარება პოვა შინაგან საქმეთა დიდი კოლექტივისა, როგორც შეუპოვარმა მებრძოლმა ამ საქმეში. ის თავისი საქმის ნამდვილი ხელოვანი და ჭეშმარიტი პატრიოტი იყო. ვინ მოსთვლის რამდენი გარეწარი უგნებელყო ამ მამაცმა ადამიანმა, რამდენის სიცოცხლე იხსნა...

ვ. თალაკვაძის უმწიკვლო და ნაყოფიერი მუშაობა აღნიშნულია მთავრობის ჯილდოებით — ორდენებით, მედლებით, გამოცხადებული აქვს მრავალი მაღლობა და მიღებული აქვს ფასიანი საჩუქრები სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ შსს ხელმძღვანელობისაგან. ის ორჯერ დააჯილდოვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკის საპატიო ნიშნით, შეტანილია სსრკ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების საპატიო წიგნებში.

საქართველოს სსრ შს მინისტრის ბრძანებაში, რომელიც სპეციალურად გამოიცა მილიციის პოლკოვნიკ ვ. ვ. თალაკვაძის პენსიაში გასვლის გამო, ვკითხულობთ: „მილიციის პოლკოვნიკმა ვ. ვ. თალაკვაძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა მილიციის ორგანოებში მუშაობას. მან შრომითი საქმიანობა 1934 წელს დაიწყო და თავისი მუშაობის პერიოდში დაწინაურდა რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის თანამდებობამდე.

ამხ. ვ. თალაკვაძემ 25 წელზე მეტი იმუ-



შავა საქართველოს შსს ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე და ამ პერიოდში ბევრი რამ გააკეთა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. მას პირადად ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა პასუხსაგებ ოპერაციებში განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა შეპყრობისას, სადაც ყოველთვის გამოუჩენია გმირობა და თავდადება. მან ბევრი ოპერატიული მუშაკი აღზარდა, რომელთაგან ზოგს ამჟამად პასუხსაგები პოსტები უჭირავს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. სამსახურებრივი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის და დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ვ. თალაკვაძე მრავალჯერ არის წახალისებული სახელმწიფო და საუწყებო ჯილდოებით, ორგზის აქვს მიღებული შსს დამსახურებული მუშაკის საპატიო ნიშანი. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვ. თალაკვაძე ამჟამად პენსიაზე გადის. ამის გამო, ვითვალისწინებ შსს ორგანოებში მის ხანგრძლივ და უმწიკვლო სამსახურს და ვბრძანებ:

1. მილიციის პოლკოვნიკი ვ. თალაკვაძე შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შსს საპატიო წიგნში და დაჯილდოვდეს სახელობითი ოქროს მაჯის საათით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ შსს კადრების სამმართველოს გაუფორმოს შესაბამისი მასალები და აღძრას შუამდგომლობა მილიციის პოლკოვნიკ ვ. ვ. თალაკვაძის საკავშირო შსს საპატიო წიგნში შეტანისათვის.

3. ბრძანება გამოეცხადოს საქართველოს სსრ შსს ორგანოთა მთელ პირად შემადგენლობას“.


ამას წინათ ვ. თალაკვაძეს თავისმა კოლეგებმა გაცვილება მოუწყვეს პენსიაზე გასვლის გამო. აქ მოვიდნენ ისინი, ვინც მასთან მუშაობდნენ და დღესაც აგრძელებენ სამსახურს — ვეტერანები, ახალგაზრდა მუშაკები, ადმინისტრაციული ორგანოების სხვა წარმომადგენლები.

შეკრებაზე ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა, ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენეს ვ. თალაკვაძის ცხოვრებისა და სამსახურებრივი საქმიანობისა. აღნიშნეს, რომ ის დაუზოგავად ხარჯავდა ენერჯიას სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად, რომ მისი ხელქვეითები, როგორც აპარატში, ისე ადგილებზე იმდენად პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი ამ ადამიანისადმი, რომ ქედს არ იხრიდნენ არავითარი დაბრკოლებების წინაშე. ვ. თალაკვაძე მეგობრებს მუდამ მართალ, უნარიან ხელმძღვანელად მიაჩნდათ, რომელიც მათს გვერდით იყო ყოველ დროს, გასაჭირსა თუ დალხინებაში. მასთან მუშაობისას შსს მუშაკები რაღაც გამამხნეველ ძალას გრძნობდნენ, მათს ფეხქვეშ თითქოს ნიადაგი უფრო მტკიცე ხდებოდა.

ვალერიან ვარლამის ძე თალაკვაძე თადარიგშია, მაგრამ მას არ გაუწყვეტია კავშირი შსს ორგანოებთან. ის ვეტერანთა საბჭოს წევრია, საჭიროების მიხედვით პერიოდულად იმყოფება კოლეგებთან და მათთან ერთად კვლავ იბრძვის დანაშაულებათა აღსაკვეთად.

კ. გაბუნია,

საქართველოს სსრ შსს სისხლის სამართლის სამმებრო სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი.



პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების ერთი განსაკუთრებული შემთხვევის შესახებ პასუხისმგებლის სამართლის ნიშნის მიხედვით

8. ნაღარეიშვილი

პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების საზღვრები ისტორიულად იცვლებოდა სახელმწიფოში პიროვნების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ამ წერილში ჩვენ ვესურს გავამახვილოთ ყურადღება ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლში ჩამოთვლილი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ შემთხვევაზე.

ვახტანგის სამართლის წიგნი არ შეიცავს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების ზოგად ცნებას. ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა ფეოდალურ-კაზუსტური კანონმდებლობისათვის.

ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლი ჩამოთვლის! პირის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს;

ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლი ამბობს: „ამათი სისხლი არ ითხოვების და არც გაჩნდების: ერთი ეს, რომე ოშში კაცს შემოაკვდეს მეპირისპირეს მემომრისა, მეორე, რომ კიდემ კაცი თავისის დრომისა უცნობლად შემოაკვდეს, უმტერო და უქიშპარი; და თუ ქიშპნი და ნამტერალნი ყოფილან და მკვდრის პატრონი შესწამებს განზრახვით მოკლაო, იმას, ან ჯერი და ან სისხლი უნდა. მესამე, მიმხდომის კაცის სისხლი არ არის, რომ დამხედურმან მოკლას. მაგრამე ბატონი რომ თავის ყმას მიუხდეს, იმისი არ გვითქვამს. მეოთხე, ყმა არ იყოს მისი და ერთმან კაცმან კაცს საკვდავად შეუტოს, და იმ უმცროსმა კაცმა გარიდოს და უფროსმან ხმალი შემოჰკრას, მეორე კიდემ შემოსაკრავად მოინდომოს, და ახლა იმ უმცროსმა დაასწრა და მოკლა, თუ დაჭრა, არც მისი სისხლი ითხოვების, ამიტომ რომე თავის სიკვდილის შიშს უქნეინებია. დათმობად ისიც კმარა, რაც პირველზე


დაუთმია. და თუ იმ ერთს შემოკვრას გარეთად იმ უფროსს მეორე ხმლის შემოკვრა აღარ მოუნდომებია, და უმცროსს შემოუკრავს და მოუკლავს, თუ დაუჭრია, უმცროსმა სისხლი მისცეს, მაგრამე მის უწინდელი ჭრილობაც უანგარიშეთ. მეცხუთე, თუ სწორმან სწორს შეუტია და ხმალს ხელი გაიკრა, და იმ მეორემ ამ შემტევებელს უწინ შემოჰკრა, დაჭრა, და უნდა მოკლას, ვერას შეუა. მეექვსე, თუ ან ცოლზე და ან შვილზე, — ვაჟი იყოს თუ ქალი, — სხვა კაცი დაახელოს და მოკლას, სისხლი არ ეთხოვების. მეშვიდე, თუ მოახლეზე დაახელოს და მოკლას, მაგრამ ამას ცოტა რამე კი გაუჩნდების სამარხით. მერვე, თუ ბატონმა ყმის ცოლს უამიყოს, ან დამით და ან დღისით და ცოლთან საწოლად დაახელოს და მოკლას, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდების. მეცხრე, თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზე დაახელოს და მოკლას, არა ძმისაგან, არა ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვების. მეათე, რომ კაცს ქურდი შეეპაროს და ის ქურდი მოკლას თავის სახლში, არც მისი სისხლი ითხოვების“.

სანამ ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის ჩვენთვის საინტერესო ერთი აბაღილის განხილვას შევუდგებოდეთ, და მას სხენებელი ნაკანონმდებლო ძეგლის სხვა — 259 მუხლს შევუპირისპირებდეთ, საჭიროა გავისხენოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება.

სამართლის წიგნი შედგენილი იყო საკანონმდებლო მასალის გარკვეული სისტემატიზაციით. ამასთანავე, დღემდე ჩვენამდე მოღწეული სახით ვახტანგის სამართლის წიგნი — „სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა“ — ორი ძირითადი ნაწილი საგან შედგება. ალ. ხახანაშვილის აზრით, „ვახტანგ მეფის კანონები თავის თავად ორს ნაწილად განიყოფება: პირველი მიდის 204-ე მუხლამდე და შემდეგ იწყება მეორე ნაწილი, რომელსაც წინ უძღ-

1 ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თ. ენუქიძის გამ. თბილისი, 1955. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1963, გვ. 492—493.

ალ. ვაჩიეშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. 1, თბილისი, 1946, გვ. 217.



ვის ახალი შესავალი². ვახტანგის კრებულის გამოცემით აღნიშნული აქვთ ის გარემოება, რომ ხელნაწერებში ვახტანგის სამართლის წიგნის თავდაპირველი ტექსტი 204 მუხლს შეიცავს და მთავრდება ბოლოსიტყვაობით. 205-ე მუხლით იწყება საკანონმდებლო ძეგლის მეორე ნაწილი. 204-ე და 205-ე მუხლებს შუა ჩართული ტექსტის შინაარსიდან ცხადად ჩანს, რომ იგი წარმოადგენს არა სამართლის წიგნის მეორე ნაწილის „ახალ შესავალს“, როგორც პროფ. ალ. ხახანაშვილი ფიქრობდა, არამედ პირველი ნაწილის ბოლოსიტყვაობას, რომლითაც მთავრდება კანონთა თავდაპირველი ტექსტი³. თ. ენუქიძემ მართებულიად შენიშნა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის და საერთოდ კრებულის დაწერილობის ტექსტის ძირითადი ხელი წყდება 204-ე მუხლზე. აქვე წყდება კრებულის ძირითადი ტექსტის პაგინაცია. 205-ე მუხლის შემდეგ ირდევს ტექნიკური გაფორმება. თვითეული მუხლი იწყება „ქ“-თი. 204-ე მუხლის მომდევნო 66 მუხლი დაწერილია სამი სხვადასხვა ხელით. მუხლების უმეტესობა ვახტანგის დროსვეა მომხდარი. მაგრამ უდავოა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის პირველი რედაქცია 204 მუხლისაგან შესდგებოდა⁴. სამართლის წიგნის სწორედ პირველი ნაწილის (204-ე მუხლამდე ჩათვლით) ნორმატიული მასალა რედაქციულად და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით კარგად დამუშავებული. „იგი განზოგადებულია და მთავრდება ნაკლებად არის კაზუსტური ხასიათისა; ანალოგიური შინაარსის მუხლები თითქმის არ გვხვდება. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ საკანონმდებლო კომისიამ გულმოდგინედ დაამუშავა სამართლის წიგნის პირველი ნაწილი“⁵.

შემოთქმულიდან, ვფიქრობ, თავისთავად ცხადი უნდა იყოს დასკვნა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის პირველი ნაწილი უფრო ჩამოყალიბებულად და ნათლად ასახავს კანონმდებლის ნებას და უფრო ზუსტად გამოხატავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას, ვიდრე საკანონმდებლო ძეგლის მეორე ნაწილი, თუმცა ამ უკანასკნელის უსისტემოდ გაბნეული მუხლებიც მრავალ საყურადღებო მასალას შეიცავს.

ყოველ შემთხვევაში, სამართლის წიგნის 42-ე

მუხლის მსგავსად მაღალი იურიდიული ტექნიკით შესრულებულ და რედაქციულად გამართულ მუხლს საკანონმდებლო ძეგლის მეორე ნაწილში (მუხ. 205-270) ვერ ვხვდებით. აქ მითაგებელი ნორმატიული მასალა დამუშავებულია და უფრო აღმოსავლეთ საქართველოს შედარებით ჩამორჩენილი კუთხეთა ჩვეულებით სამართლის ან სასამართლო პრეცედენტის ამსახველი უნდა იყოს.

როგორც ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლიდან ჩანს, კანონმდებელი ითვალისწინებს ათ სხვადასხვა შემთხვევას, როდესაც პირთაგანზე და მის ქონებაზე ხელის აღმართვას და აგრეთვე პირის საოჯახო-ზნეობრივი პატივის აშკარა ხელყოფას კანონმდებელი პასუხისმგებლობის გამოზომისხველი გარემოების ბერკეტით იცავს.

თში მეპირისპირე მეომრის მოკვლა, თავისი დროშის მეომრის „უცნობლად“ შემოკვდომა, სასლში მიმდომის მოკვლა და მრავალი სხვა, პასუხისმგებლობის გამოზომისხველი გარემოებები ითვლება კანონმდებლობით. ჩვენ ამჟამად სამართლის წიგნის 42-ე მუხლში დადგენილი პასუხისმგებლობის გამოზომისხველი გარემოების ყველა შემთხვევა თანაბრად არ გვაინტერესებს. მრავალი მათგანი თითქმის საერთოა ყველა ქვეყნის ფეოდალური კოლექტივისათვის. ისინი გაუღწეობილი არიან წოდებულობის პრინციპით და ფეოდალური საზოგადოების მოსასლეობის სხვადასხვა ფენების აშკარა უთანასწორობაზე მიუთითებენ. მაგალითად ვახტანგის სამართლის წიგნის 42 მუხლის მესამე პუნქტის საერთო დებულების მიხედვით „მომხდომის კაცის სისხლი არ არის, რომ დამხდურმან მოკლას“, მაგრამ აქვეა დათქმული ისეთი გამოწვევის, რომელიც ამიშვლებს ფეოდალური კოლექტივის აშკარა კლასობრივ ხასიათს. კანონმდებელი ამბობს: „ბატონი რომ თავის ყმას მიუხდეს, იმისი არ გვეთქვამს-ო. 42-ე მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით „უფროსმა“ კაცმა ისეთს „უმცროსს“, რომელიც „ყმა არ იყოს მისი“, სასიკვდილოდ შეუტოს, მაშინ „უმცროსი“ ვალდებულია, რომ უფროსის პირველი შემოტევა დათმოს და სხვა. კანონმდებლის აზრით მაღალი წოდების წარმომადგენელს უნდა დაუთმოს უფრო ნაკლები ღირსებისა და პატივის მიქონე „უმცროსმა“ კაცმა. და-


² ალ. ხახანაშვილი, ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის. ქუთაისი, 1910, გვ. 116—117.

³ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I, ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული. თბ., 1963, ი. დოლიძის გამოცემა, გვ. 662—663.

⁴ ვახტანგ VI სამართლის წიგნი, 1955, თბილისი, გვ. 20, თ. ენუქიძის გამ.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 665—666.

⁶ დოც. მ. კეკელიას აზრით 204 მუხლის შემდგომი მუხლებიც ვახტანგის სამართლის წიგნის განუყოფელი ნაწილი იყო თვით სჯულმდებელი მეფის სიცოცხლეშივე და თუ სამართლის წიგნის არქიტექტონიკა შეუსაბამობას ამჟღავნებს, ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ. იხ. თბილისის უნივერსიტ. იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიის თეზისები. თბ., 1971, გვ. 26. იმ გარემოებას, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი თავდაპირველად 204-ე მუხლით თავდებოდა, არც მ. კეკელია არ უარყოფს.



ბალი წოდების კაცი შეზღუდულია თავდაცვის, აუცილებელი მოგერიების უფლებაში. შუა-საუკუნეების კანონმდებელი იმ აზრისაა, რომ დაბალი წოდების წარმომადგენლებს (გლეხებს, ხელოსნებს და ვაჭრებს) ადვილად შეუძლიათ გადაიტანონ ფეოდალის მხრივ შურაცხყოფა, შემოტევა და სხვა ისე, რომ ამით მისი პატივი და ღირსება არ შეილახოს. ჩვენ აქ ვაგვისსენებ ანალოგიისათვის შუა-საუკუნეების ერთ-ერთ სამართლის ძეგლს (რუპრეტის სამართლის წიგნი), რომლის მიხედვითაც, თუ სასულიერო წოდების პირი იქნება თავდამსხმელი, თავდასხმის მსხვერპლი ვალდებულია გაქცევით უშეგლოს თავს⁷. კანონმდებელი მას აძლევდა არა თავდაცვის, არა აუცილებელი მოგერიების, არამედ გაქცევის უფლებას. მაგრამ ვახტანგის სამართლის მიხედვით როგორც კი დანაშაულებრივი ხელი აღიმართება პირის საოჯახო ზნეობრივი პატივისა და ღირსების და ცოლ-ქმრული ურთიერთობის სიწმინდის წინააღმდეგ, კანონმდებელი თითქოს უცებ იფიქრებს, რომ იგი ფეოდალთა კლასის ნების გამომატველი და წარმომადგენელია.

ჩვენ აქ პირველყოფლისა მხედველობაში გვაქვს ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მერვე პუნქტი, სადაც კანონმდებელი სიტყვა-სიტყვით ასე ამბობს: „თუ ბატონმა ყმის ცოლს უაშეიყოს, ან ღამით ან დღისით და ცოლთან საწოლად დაეახლოს, და მან კაცმან „მოკლას“, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ გაუჩნდება“.

42-ე მუხლის მეექვსე პუნქტში, ნათქვამია, რომ კაცმა „თუ ან ცოლზე და ან შვილზე, — ვაჟი იყოს თუ ქალი, სხვა კაცი დაახლოს და მოკლას — სისხლი არ ეთხოვების“.

42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით „თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზე დაახლოს და მოკლას, არა ძმისაგან, არა ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვების“.

42-ე მუხლის მე-9 პუნქტის დანაწესი ჩვენს გაცემას ვერ გამოიწვევს. იგი წარმოადგენს მონათმფლობელური, ფეოდალური და ასე გასინჯეთ ბურჟუაზიული კოდექსების ერთერთ მეტად დამახასიათებელ მოვლენას. მას ვხვდებით ძველი აღმოსავლეთის კლასიკური სამართლის მონუმენტურ ძეგლში — ჰამურაბის კანონებში (ძველი ველთაღრიცხვის მე-18 საუკუნე), ვხვდებით ფეოდალური კოდექსებში და ბოლოს ნაპოლეონის კოდექსშიაც.

მონათმფლობელი, ფეოდალური და ბურჟუაზიული კანონმდებლობა თანაბრად აძლევენ მესაკუთრე-ქმარს უფლებას სიცოცხლის ფასად დაუსვან მეუღლური დღატი ცოლს.

ძველი რომაული კანონებით, თავისუფალი რომელი, რომელიც აშკარა ცოლქმრულ დღატში დაი-

ჭერდა ცოლს და ცოლის საყვარელს მშვიდობიანად გაისტუმრებდა, ისჯებოდა როგორც ცოლის დანაშაულისათვის ხელის შემწყობი, „მაჭანკალობისათვის“. ამრიგად, რომაული სამართლის მიხედვით „მაჭანკლობის“ როგორც დანაშაულის შემადგენლობისათვის სრულიად არ იყო საჭირო რაიმე მატერიალური სარგებლობის მიღება ქმრის მიერ ცოლის ადიულტერისაგან. ქმარი, ცხადია, პასუხს არ აგებდა, თუ ცოლის საყვარელს ზემოსხენებულ სიტუაციაში დაჭრიდა ან მოკლავდა. ბიზანტიურ სამართალში სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად წყდებოდა ეს საკითხი, მაგრამ ცოლის საყვარლის მოკვლა თუ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება არა, სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება მაინც იყო.


ქართული სამართალიც იცავდა ადრეული რომაული სამართლის მიმართულებას. ასე თუ ისე ვახტანგის სამართლის 42-ე მუხლის მეექვსე პუნქტის მეტ-ნაკლებად ანალოგიური ნორმები მკვლევარმა შეიძლება იპოვოს ფეოდალურ სამართლის წიგნებში. მაგრამ კანონიერ გაცემას იწვევს ვახტანგის სამართლის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ყმას უფლება აქვს მოკლას თავისი ბატონი, თუ ეს უკანასკნელი მისი ოჯახის ცოლ-ქმრული სიწმინდეს შელახავს.

როგორც ჩანს, კანონმდებელი წოდებრივი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, მაღლა აყენებდა ცოლქმრული ურთიერთობის ზნეობრივ მხარეს და პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებად მიიჩნევდა ყმის მიერ მისი ცოლის პატივისა და ღირსების შემლახავი მოქალაქე ბატონისათვის სიცოცხლის მოსპობას.

ფეოდალურ სამართლის წიგნებში ყმის ოჯახურ-ზნეობრივი პატივის ასეთი დაცვა მეტისმეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ანალოგიური სამართლებრივი ნორმის მინახვა ფეოდალური საზოგადოების სამართლის წიგნებში ჭირს. იგი მცირე გამოწაკლისთა რიგს მიეკუთვნება. ამიტომაც მკვლევართა მხრივ სპეციალური კვლევა-ძიების ღირსია საკითხი: რეალურად ხორციელდებოდა თუ არა ცხოვრებაში ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი სამართლებრივი ნორმა, თუ იგი სამართლის წიგნის ე. წ. „მკვდარ ნორმას“ წარმოადგენდა?

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფეოდალური კოდექსები როგორც წესი სახეებით აშკარად აღიარებენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების უთანასწორობას და არ მიმართავენ რაიმე ნიღაბს ამ თვალსაზრისით. ცხადია, ფეოდალიზმის დროს, სამართლის წიგნში

⁷ Г. С. Фельдштейн. О необходимости обороне и ее отношении к так называемому «правомерному самоуправству». Журнал Министерства Юстиции, 1899, № 5, стр. 61 — 62.



პროპაგანდისტული ხასიათის მკვდარი ნორმის შეტანა გამოირცხვლია.

XVIII საუკუნის დასავლეთ ევროპის ფეოდალურ სამართლის წიგნებშიც კი სავსებით აშკარად ხაზგასმულია ცხოვრების ყველა სფეროში ფეოდალის და ყმა გლეხის აშკარა უთანასწორობა. ისინი არ იძლევიან ამ თვალსაზრისით რაიმე ქვე-ტექსტს საკანონმდებლო ძეგლებში. სამართლის წიგნებს ასევე აშკარად თან ერთვის იმ სატანჯველი იარაღების აღწერა, რომლითაც ბრალდებულები უნდა ეწამებინათ — მათი გამოტყვევის მიზნით. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ შეუძლებელია, ვახტანგის სამართლის წიგნი შეიცავდეს, რაიმე „მკვდარ ნორმას“.

სხენებელი საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებას სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს. სამართლის ისტორია ისეთი მეცნიერებაა, სადაც ცხოვრების თვალსაზრისი, პრაქტიკის თვალსაზრისი ისტორიული მოვლენების შემცნებების პირველ და უმთავრეს თვალსაზრისს წარმოადგენს.

ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების ყველა დანარჩენი ცხრა შემთხვევა, როგორც დღემდე ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტალური და სხვა მასალებით ჩანს, ცხოვრებაში, სასამართლო პრაქტიკაში ხორციელდებოდა.

სასამართლო დოკუმენტებს არ შემოუნახავს და არ აღუნუსსავს XVIII საუკუნის მანძილზე ისეთი შემთხვევა, რომ ყმას თავის ცოლთან „საწოლად“ დაეხლებინოს ბატონი, მოეკლას იგი და ამასთან დაკავშირებით ყმა სასამართლოს პასუხისმგებლობისაგან გაეთავისუფლებინოს. ამის მიზეზი ის არის, რომ თუ ასეთი რამ მოხდებოდა, იგი სასამართლოს მსჯელობის საგანი არც ვახდებოდა, რადგანაც ის მართლწიმიერი მოქმედება იყო და საქმე სასამართლოზე არც მივიდოდა. მეორე, შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ ყმა საერთოდ არც ქონოდა ადგილი და მაშინ სასამართლო პრაქტიკის დუმილი სხენებელ საკითხზე თავისთავად გასავეტი ხდება.

საერთოდ არა ვ ი თ ა რ ი ს ა ფ უ ძ ე ვ ე ლ ი ა რ ა გ ვ ა ქ ე ს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი კოდექსის „მკვდარ ნორმად“ მივიჩნიოთ.

ვახტანგის სამართლის წიგნის პირვანდელ ვარიანტს, თანდათან, დროთა განმავლობაში უსისტემოდ დამატა კიდევ 66 მუხლი. ამ დროს გაჩნდა სამართლის წიგნის 259-ე მუხლი, რომელიც თითქოს რამდენადმე არბილებს 42-ე მუხლის მე-8 პუნქტის დანაწილ ფეოდალთა კლასის სასარგებლოდ.


სამართლის წიგნის 259-ე მუხლში ნათქვამია: „ესეც იქნება, რომ ყმამ ბატონი ან ცოლზე დაიჭიროს“, თუ ყმას არა შეეკადრებინოს რა, მოსამართლომ ან კარგად დააურევინოს და ან გაათავისუფლოს. თუ ყმამ ამისთანას საქმისათვის ან აგინოს, ან ჯოხი სცეს, ან ცოტათაც დასჭრას, ბატონმან შეუნდოს, სიკვდილს მაშინაც ნუ შეკადრებს“.

როგორც ვხედავთ, 259 მუხლით კანონმდებელი ყმისათვის მინიჭებული უფლებების საზღვრებს ზღუდავს. 42 მუხლის მე-8 პუნქტით თუ ყმა ბატონს თავის ცოლთან საწოლად დაახლებებს მისი (ბატონის) მოველის ნებართვა აქვს, 259-ე მუხლით კი ყმას ანალოგიურ შემთხვევაში მხოლოდ ბატონის ჯოხით ცემის და „ცოტათი დაჭრის“ უფლება ეძლევა.

ძნელია ითქვას, რეალურ ცხოვრებაში 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი მოქმედებდა თუ 259-ე მუხლი. ჩვენი აზრით, 42-ე მუხლს მთლიანად ისეთი მწყობრი და ჩამოყალიბებული სახე აქვს, რომ იგი წარმოადგენდა უთუოდ დიდი ხნის განმავლობაში მოქმედი დაწერილი სამართლიდან მომდინარე ნორმას და ამ უკანასკნელიდან არის შესული ვახტანგის სჯულში. ნაკლებ მოსალოდნელია, რომ 42-ე მუხლი, სადაც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების ათი სხვადასხვა საფუძველია თანმიმდევრობით ჩამოთვლილი, ადათობრივი სამართლის ნორმა იყოს. ჩვეულებითი სამართლის ნორმებს არა აქვთ ხოლმე ასე მწყობრი და ჩამოყალიბებული სახე. XVIII საუკუნისათვის იგი აღუდგენია კანონმდებელს და თავის სამართლის წიგნში შეუტანია. 42-ე მუხლში საერთოდ და განსაკუთრებით მის მის-8 პუნქტში აღნუსხული ყმის პიროვნების და მისი ოჯახის წევრთბრივი ბატონის დაცვა, საქართველოს სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების ისეთ ხანას გულისხმობს, რაც ვახტანგის სამართლის შედგენის დროს — XVIII საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა. მონღოლების, ყიზილბაშების, თურქების და სხვ. შემოსევების შემდეგ საქართველოს სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების დონე დაეცა და IX—XII საუკუნეებთან შედარებით საერთოდ პიროვნების და განსაკუთრებით ყმის პიროვნების დაცვა შესუსტდა. 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი მაინც ტრადიციის ძალით ადღენილ ნორმას უნდა წარმოადგენდეს.

ცხადია, IX—XIII საუკუნეების საქართველოში აღმავალი ფეოდალიზმის ქვეყანაში, სადაც საგლეხო თემი ჯერ კიდევ ძლიერი იყო და უშუალო მწარმოებელი საზოგადოება ისე არ იყო შეზღუდული თავის უფლებებში, როგორც XVI—XVII საუკუნეებში, გაცილებით მეტი საფუძველი არსებობდა ისეთი საკანონმდებლო ნორმის დაწესებისათვის, რაც ვახტანგის სამართლის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტშია აღნუსხული. ზოგჯერ გარდასულ თაობათა ცუდი ტრადიცია კომპარად აწვეს ხოლმე მომდევნო თაობებს. კარგი ტრადიციაც არ კარგავს ხოლმე გაგლეხის ძალას და უფლებას სიცოცხლის უნარიანობაზე აცხადებს იქაც კი, სადაც სოციალ-ეკონომიური კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით იგი მითოლოგიურ ლეგას — დაიწყების მდინარეს, უნდა გააყოლოდა.

ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი, როგორც ნორმა, თავის ზურგს უკან სხვა-



თა შორის, ისეთ გონივრულ სახელმწიფო ხელისუფლებასაც გულისხმობს, როგორც არსებობდა XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში. მხოლოდ ძლიერი, მტკიცე სახელმწიფო მექანიზმი შეძლებდა ამ ნორმის სახელმწიფოს მეშვეობით დაცვას. ჩვენ გვეჩვენება, რომ თორიულად 259-ე მუხლით დაწესებული ნორმა შეეფერება ფეოდალური ურთიერთობის მიმწესრე მეთერთაგან ილაჟგაწყვეტილ ქართულ სახელმწიფოებრიობას. მგარამ იმ სახითაც კი, როგორც იგი 259-ე მუხლშია ჩამოყალიბებული, ყმა მანც აქვს, თუმცა შესუდუღლი, მაგრამ მანც რეალურად ემსახორციელებული უფლება ცოლთან საწოლად „დაჭერილა“ ბატონის ჟოხით ცემისა და დაჭრისა. ზოგჯერ ყმა ასეთი უფლებაც არ გააჩნდა. მაგალითად, რუსეთში ორენბურგის გუბერნიის მემამულე ლევაშოვი 1861 წლის რეფორმამდე ყმა გურიანოვის ცოლს ფიზიკური ძალდატანების გზით, ცემით და წკებლით აიძულებდა დაეჭირა მასთან სქესობრივი კავშირი. ყმა ქალის ქმარმა მოუწური მოძალადე ბატონს, ძირს დასცა იგი და ფსებით ცემა. ფეოდალურმა სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ყმა ქალის ქმარს ჰქონდა აუცილებელი მოვერიების უფლება და ბრალი დასდო რა მას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებაში, ყმა მათრახით ცემა, დადაღვით კატორდა და უფლებების აყრა მიუსაჯა⁸. ვახტანგის სამართლის მიხედვით ყმის ასეთი მოქმედება სავსებით მართლზომიერად ითვლებოდა.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, 42-ე მუხლის მე-8 პუნქტს ეძლეოდა უპირატესობა ცხოვრებაში თუ 259-ეს, ჩვენ გგონია, რომ 42-ე მუხლის სასარგებლოდ ლაპარაკობს ერთი გარემოება. საქმე იმაშია, რომ მოსამართლეს რეალურ სინამდვილეში უპირატესობა 42-ე მუხლისათვის უნდა მიეცა, სადაც ერთიმეორის გვერდით სისტემატურადაა ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ყველა გარემოების საფუძვლები. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონმდებელი 42-ე მუხლის მეშვე პუნქტის რედაქციას მანც შესცვლიდა და მას შესაბამისობაში მოიყვანდა 259 მუხლთან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კავკასიის ხალხებში შუა საუკუნეებში მრუში ცოლის და მისი თანამონაწილის მოკვლის უფლება თითქმის ყველგან იყო აღიარებული. კავკასიელ მთიელთა შორის, სადაც ბატონყმობა ან სუსტად იყო განვითარებული ან და სულაც არ არსებულა, თავისთავად იგულისხმებოდა,


რომ ყოველ მთიელს გააჩნდა უფლება დაუსჯელად მოეკლა მრუში ცოლი და მისი საყვარელი ან ცოლის თუ ქალიშვილის გამაუბატურებელი პირი, მიუხედავად, ამ უკანასკნელის საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტის ანალოგიურ ნორმას შეიცავდა უნერატლ ჩამალის სანაიბოს ადათები (თავი 1, § 4) დაღესტანში⁹. XVI—XVIII საუკუნეებში ჩაწერილი კვლების სოფლების ადათების მიხედვითად პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად ითვლებოდა, თუ ქმარი მრუშობაზე ცოლს მოკლავდა ან ძმა დას ან ბიძაშვილს¹⁰. პოლკოვნიკ ა. გველესიანის მიერ ჩაწერილი ანდიის ოლქის (დასავლეთ დაღესტანი) ადათების მიხედვითაც ქმარს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად ეთვლება, თუ მოკლავს მრუშ ცოლს და მის შემცდენელს (თავი II, §1, თავი V, § 1).

ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუხლში ჩამოთვლილი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, როგორც ვხედავთ, ასე თუ ისე, საერთო კავკასიური მოვლენა იყო. იგი მოქმედებდა როგორც მუსლიმანთა, ასევე ქრისტიანთა შორის. ტორნაუ, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხთა ყოფის საუკეთესო მცოდნე, აღნიშნავს, რომ ჩერქეზები მეტისმეტად მგრძობიარენი ქალის სათნოების მიმართ და ქალის მიმართ მოძალადეს, ვინც არ უნდა იყოს იგი, საშინლად სჯიან. როგორც ჩანს, ჩერქეზებშიც მოქმედებდა ვახტანგის სამართლის წიგნის მუხლის მე-8 პუნქტში ასახული ნორმის ანალოგიური ჩვეულებრივ-სამართლებრივი დანაწესი. ასევე იყო აფხაზეთის ჩვეულებათა სამართლის მიხედვითაც¹¹. ხ. მ. ხაშაევის ცნობით უკვე მთელ დაღესტანში ადათის და შარიათის მიხედვით თუ მამაკაცი ცოლს და მის საყვარელს ერთად მოკლავდა ეს მას პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად ითვლებოდა. მამაკაცი ასევე არ აგებდა პასუხს, თუ დას და დის შემცდენელს, დანაშაულზე წასწრების შემთხვევის დროს მოკლავდა. დაახლოებით ანალოგიურ დებულებებს შეიცავდა ოსური ჩვეულებითი სამართალიც¹².

ქართული ფეოდალური სამართლის წიგნების მიხედვით პიროვნების ცნების შინაარსი ერთი და იგივე არ იყო ყოველთვის. წოდება, ქონებრივი მდგომარეობა, თანამდებობა, სარწმუნოება, ასაკი და სქესი წარმოიშობა ღრმა, აშკარა უთანასწორობას

⁸ В. Кириченко. Основные вопросы учения о необходимой обороне в Советском уголовном праве, М. Л. 1948, стр. 8.
⁹ Памятники обычного права Дагестана XVII—XIX вв. Архивные материалы, составление, предисловие и примечание Х. М. Хашаева, М., 1965, стр. 152.
¹⁰ იქვე, 83, 72.
¹¹ ივ. შ. ინალ-იპა. Очерки по истории брака и семьи у абхазов, 1954, Издание Абгиза, стр. 164.
 Х. М. Хашаев. Пережитки шариата и вредных адатов, Махачкала, 1963, стр. 20.
¹² Ф. И. Леонтович. Адаты кавказских горцев, вып. II, 1883, стр. 41.



პირთა შორის უფლებებში. პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა დაწესების შემთხვევაშიაც თავდაცვის უფლებას ფეოდალური სამართალი ყველას თანაბრად როდი ანიჭებდა. პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას კანონმდებელი განიხილავდა, როგორც სახელმწიფოს მხრივ ბოძებულ თავისებურ პრივილეგიას. წოდებათა მიხედვით პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების ცნების მოცულობა სხვადასხვა იყო.

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: კანონმდებელი გლეხის საოჯახო ზნეობრივ პატივს ყოველ შემთხვევაში უფრო მეტად იცავდა, ვიდრე საერთოდ გლეხის პიროვნებას. ეს გარემოება ნაწილობრივად იმიტაც შეიძლება აიხსნას, რომ ფეოდალურ საქართველოში გლეხობამ შესძლო (ალბათ საგლეხო თემების მეშვეობით) მებატონეთა განუსაზღვრელი თვითნებობის აღაგმვა. დღეს სავსებით გარკვეულად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ფეოდალურ საქართველოში ალბათ ამიტომაც, არ არსებულა ე. წ. პირველი დამის უფლება¹³. ქართველმა გლეხმა მემამულეებთან ბრძოლაში შესძლო მიეღწია თავისი

საოჯახო-ზნეობრივი პატივის საკანონმდებლო წესით დაცვისათვის.

ამგვარად, ვახტანგის სამართლის წიგნის 42-ე მუსლის მე-8 პუნქტის თანახმად ყმას უფლება ჰქონდა მოეკლა თავისი ბატონი, უკეთუ უკანასკნელი შელასავდა მისი ოჯახის ღირსების სიწმინდეს. აქ უკვე კანონმდებელი ბატონს არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს: „დიდი იყოს თუ მცირე სისხლს არ გაუჩნდების“. ცხადია, ამ შემთხვევაში ყმა არ იხდიდა სისხლს ბატონის მკვლელობისათვის. პროფ. ალ. ვაჩიეშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „ესა ერთად ერთი მუსლი, როცა კანონი არავითარ დაურევებს არ აწესებს ისეთი დანაშაულისათვის, რაც ფეოდალური ბატონ-ყმური სისტემის თვალსაზრისით უმიძიმეს ბოროტმოქმედებას უნდა წარმოადგენდეს“¹⁴.

ფეოდალური სამართლის წიგნებისათვის ამგვარი ნორმა, ცხადია, მეტად იშვიათი მოვლენაა, მაგრამ თუ გავეთვალისწინებთ ვახტანგის სამართლის წიგნის კავკასიურ გარემოს, იგი უფრო გასავები ხდება¹⁵.

¹³ დაწვ. იხ. ჩვენი სტატია: არსებობდა თუ არა ფეოდალურ საქართველოში ე. წ. პირველი დამის უფლება? „საბჭოთა სამართალი“, 1958 წ., № 3, გვ. 29—35, აგრეთვე, სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI—XII სს. საქართველოში, თბ., 1959, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, გვ. 119—130.

¹⁴ ალ. ვაჩიეშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. 1, თბ., 1946, გვ. 217. კავკასიის მთიელთა ადათების მიხედვით პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების შესახებ იხ. Н. С. Таганцев. Русское уголовное право. Часть общая. т. I, Спб. 1902, стр. 136.

¹⁵ დასავლეთ დაღესტნის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით (მოგვაქვს რუსული თარგმანის ტექსტით) «Если муж застанет у жены любовника и убьет их обоих вместе, то он ничем ни перед кем не отвечает; если же муж убьет одного из них — или жену, или любовника, то он является кровником родственников убитого и отвечает как убийца» (гл. V).

დასავლეთ დაღესტნის სხვა თემის ჩვეულების მიხედვით «Если муж застанет жену с любовником, убьет их обоих или жену только и ранит любовника, то он не отвечает».

გუმბერტის სანაიბოს ჩვეულებითი სამართლის ნორმების მიხედვით თუ ვინმე სხვის ცოლს აკოცებს და მას მოკლავენ, მისი სისხლი გაცუდდება. მკვლეელი პასუხს არ აგებს.

იხ. აგრეთვე Памятники обычного права Дагестана XVII—XIX вв. Архивные материалы. Составление, предисловие и примечания Х. М. Хашаева, М., 1965, Изд. «Наука», стр. 120, 122, 197 § 97.

ღამოქდას გახვილი*

პროფ. მ. კვიციანი

ნიურნბერგის პროცესის მონაწილის შთაბეჭდილებანი

კესელრინგს „არ ასოს“ ასეთი ბრძანება თუ იყო, თუმცა დოკუმენტი მის შტაბში იქნა აღმოჩენილი. კარგი, ბატონო, ეუბნება მას მაქსუელ-ფაიფი, ვთქვათ, ეს „არ გასსოვთ“, მაშინ, იქნებ, თქვენს მიერ გამოცემული ბრძანება გაიხსენოთ და წინ დაუდო დოკუმენტი, სადაც ეწერა, რომ იგი მოითხოვს უმკაცრესი ზომების მიღებას პარტიზანების წინააღმდეგ, რის შესახებაც დეტალურად უნდა აცნობონ პირადად მას. კესელრინგს ეს კი ასსოვდა, მაგრამ თავი იმით „იმართლა“, თითქოს პარტიზანების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება აუცილებლობით იყო ნაკარანაკევი. მას უხსნიან, რომ ბრალად იმას კი არ. სდებენ, ასე სასტიკად რატომ უსწორდებოდნენ თვითონ პარტიზანებს, არამედ იმას, ასობით უდანაშაულო მძევლებს რომ ხერხდნენ, რაც საერთაშორისო ხელშეკრულებებით სასტიკადაა აკრძალული.

ფელდმარშალს გაახსენეს, თუ რა-მოხდა სოფელ ჩივიცილოში მისი ზემოხსენებული ბრძანების შესასრულებლად. აჰ, პარტიზანებთან შეტაკების დროს, მოკლეს ორი გერმანელი ჯარისკაცი და ერთი დაჭრეს. ამის პასუხად, კესელრინგის ჯარისკაცებმა მოუსყეს ხელი 212 კაცს — ქალსა თუ ბავშვს და ყველანი დახვრიტეს. „დახვრიტითა ასაკი — ერთი წლიდან 84 წლამდე“, — ეწერა შემსრულებლის მოხსენებით ბარათში.

ერთი წლის ბავშვი და 84 წლის დედაბერი — პარტიზანი?!

— თქვენ ნამდვილად ფიქრობთ, რომ ეს სამხედრო აუცილებლობით იყო გამოწვეული? — ეკითხება მას მაქსუელ-ფაიფი.

— არა, მე არ ფიქრობ ამას, — ძლივს გამოსცრა კბილებიდან ქედმაღალმა, მაგრამ სულმდაბალმა ფელდმარშალმა.

მერე კესელრინგს ისიც ჩამოუმარცვლეს, ჩივიტელის გარდა სად რამდენი ქალი და ბავშვი დახვრიტეს მისი ბრძანებით. ისევ ძუძუმწოვარ ბავშვები და ღრმად მოხუცი ქალები!...

... თითქოს ყველაფერი გაირკვა, მაგრამ მაქსუელ-

ფაიფი მაინც არ მოეშვა კესელრინგს: ბრალდებულებიც დღეაღმდეგ, განსაკუთრებით სამხედროები. გერინგი ამბობდა, მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდით; რედერი — მე აღმირალი ვიყავი და ამგვარ საქმეებთან რა კავშირი მქონდაო; კესელრინგიც ცას აბჯენდა ცხვირს: მფრინავი ვარ და სახმელეთო ჯარებში რა წდებოდა, საიდან უნდა მცოდნოდაო. მერე ყველა მათგანს დაუდეს წინ მათ მიერვე შედგენილი ბრძანებები და „გაახსენეს“, რომ ყოველივე ეს მათი ხელმძღვანელობით ხდებოდა. ფაქტები კი, მოგესხენებათ, ჯიუტია და ყველაფრის უარყოფა არც ბრალდებულებს შეუძლიათ. ამიტომ იყო, რომ ზოგიერთმა მათგანმა ამჯობინა თავისი სისხლიანი ხელები ისევ იმ შეკადრი ფიურერისთვის შეეხრია, მაგრამ არც ეს გამოვიდა. მაქსუელ-ფაიფი ისევ კბილის მატლივით შეუჩნდა კესელრინგს. ჯერ „გაახსენა“ რაღაც „ინციდენტი“ იტალიელ პარტიზანებთან, რომლებმაც სადაც ყუმბარა ააფეთქეს. ეს მოახსენეს კესელრინგს; კესელრინგმა დაურეკა იოდლს; იოდლმა აცნობა კაიტელს; კაიტელმა — ჰიტლერს და... მოვიდა განკარგულება: დახვრიტეთ ათი ან ოცი იტალიელი მძვევალიო.

ამის შემდეგ დაიწყო დავა, ათი იყო თუ ოცი. იდავეს, იდავიდარბებს და „შეთანხმდნენ“: საქმე ის კი არ არის, მართლა ათი კაცის დახვრეტის განკარგულება გასცა ჰიტლერმა თუ ოცის, სინამდვილეში კესელრინგის ქვეშევრდომებმა ეს „გეგმა“, თავიანთი ინიციატივით, დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და 382 კაცი დახვრიტეს...


— ასეა, არა? — ჰკითხეს კესელრინგს.

— დიას, ეს მართალია, თუ მხედველობაში მივიღებთ და სხვა ასეთი... მაგრამ, რაც არ უნდა მიიღო მხედველობაში, ფაქტია: ათის თუ ოცის ნაცვლად დახვრიტეს 382!... ვთქვათ, ჰიტლერის სინდისზე 20 კაცია, დანარჩენი?

კესელრინგი რომ დარბაზიდან გაჰყავდათ, „მხედრული გამართულობა“ კი არა, ფეხს ძლივს მიათრევდა იატაკზე...

შემდეგში ამერიკულმა ტრიბუნალმა კესელრინგს

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1972 წ., № 3, გვ. 58—67, № 5, გვ. 68—71.



სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ ჯერ შეიწყნარეს და მერე სულაც გაათავისუფლეს...

მურმან ყრუს ჩვენება...

თურმე ნუ იკითხავთ, მართო კესელრინგს კი არა, სხვა ფელდმარშლებსა და გენერლებსაც არ სცოდნიათ, ჰიტლერი თუ აგრესიულ ომს ამზადებდა. არც ის, როგორ წარმოებდა ომი. ეს ბრალდებულთა თავდაცვის საერთო ტაქტიკა იყო და მათი დამცველების მიერ წინასწარ მომზადებული მოწვევებიც ასეთივე „ხაზს“ მიჰყვებოდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო იყო ფელდმარშალ მილჰის ჩვენება.

ვიდრე გერმანელები იუგოსლავიას შეესოდნენ, ჰიტლერმა ბრძანება გასცა, ბომბდამშენების ტალღისებური თავდასხმებით, ყოველგვარი წინასწარი ულტიმატუმის, დიპლომატიური დემარშებისა და მოლაპარაკების გარეშე დაეწერათ ქალაქი ბელგრადი. ვის უნდა მიეღო, დაემუშავებინა და განეხორციელებინა ეს ბრძანება, თუ არა გერმანიის სამხედრო საპაერო ძალების შტაბის უფროსს ფელდმარშალ გერჰარტ მილჰს. ეს ისე ნათელი და ბუნებრივი იყო, რომ მტკიცებასაც არ საჭიროებდა, მაგრამ „ყალბი კარტების ოსტატმა“ მილჰმა მაინც შესაძლებლად ცნო მიხვეულ-მოხვეული პასუხი გაეცა ინგლისელი ბრალმდებლის რობერტის კითხვებისათვის:

რობერტსი: თქვენ იცით, რომ ბელგრადი დაბომბილ იქნა, რამდენადაც მახსოვს, 1941 წლის აპრილში?

მილჰმა, რა თქმა უნდა, მაშინვე იგრძნო, ეს კარგს რომ არაფერს უქაღდა და სულ განზე გადავა:

მილჰი: მე ეს გერმანიის შეიარაღებული ძალების ოფიციალური ცნობის მიხედვით გავიგე თავის დროზე.

რობერტსი: ომის ყოველგვარი გამოცხადებისა და სამოქალაქო მოსახლეობის წინასწარი ვაფრთხილების გარეშე, თქვენ იცოდით ეს?

მილჰი: ეს მე არ ვიცოდი.

რობერტსი: ნუთუ ეს საკითხი არ გაეჩინაოთ გერიგთან?

ბრალდების ხელში ამ განხილვის ოქმიც იყო, მაგრამ მილჰმა მაინც გაოცებული სახე მიიღო.

მილჰი: ბელგრადზე თავდასხმა? არა, ეს მე არ მახსოვს.

რობერტსი: (ირონიულად) ნუთუ, არც გერინგმა გამოთქვა მწუხარება დედაქალაქის სამოქალაქო მოსახლეობის თუნდაც ერთი საათით აღრე გაფრთხილების გარეშე დაბომბვის გამო?

მილჰი: ეს მე არ ვიცი და არც მახსოვს, ასეთი საუბარი თუ იყო.

რობერტსი: ეს ხომ მკვლელობაა, ასეა, არა? მილჰი: (დუმბილი)

რობერტსი: თქვენ გირჩევენიათ, პასუხი არ გაცეთ ჩემს ამ კითხვას?

მილჰი: მე არ შემიძლია გიპასუხოთ „პო“ ან „არა“, რადგან მე არაფერი ვიცი დაწერილობით ამ თავდასხმის შესახებ. მე არ ვიცი, იყო თუ არა გამოცხადებული ომი. მე არ ვიცი, წინასწარ გაფრთხილებულ იქნა თუ არა მოსახლეობა. მე არც ის ვიცი, ბელგრადი წარმოადგენდა თუ არა ციხე-სიმაგრეს. მე არ ვიცი, რა ობიექტებზე იქნა მითანი იერიში. მე არ ვიცი, საპაერო თავდასხმების რაოდენობის შესახებ და სხვა...

ძველი ლათინური ანდაზაა, არცოდნა საბუთი არ არისო. ეს უბრალო ჭეშმარიტება ყველას კარგად ესმოდა, მაგრამ:

...მოწმე ცრუ არა უტანჯველ იყოს, და რომელმაც აღატყინოს ბოროტი, წარწყმედეს მისგანო, — უთქვამს სოლომონ ბრძენს...

მოულოდნელი გამოცხადება...

თუმცა, ყველა კესელრინგისა და მილჰის მსგავსად „წინასწამედი“ როდი იყო. პროცესის ერთ-ერთ დღეს საბჭოთა ბრალმდებელმა ფელდმარშალ პაულუსის რომელიმე განცხადება ასცენა. დამცველმა ნელტემ გააპროტესტა ეს: ამ განცხადებას მტკიცების ძალა არა აქვს, თუ თვითონ პაულუსი არ იქნა მოწმე გამოძახებული.

დამცველს ეს საქმის გასაჭიანურებლად უნდოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ პაულუსის ნიურნბერგში ჩამოყვანას დიდი დრო დასჭირდებოდა. როგორც ჩანს, ასე ფიქრობდა ლოურენსიც, მაგრამ იგი მაინც დაეთანხმა დამცველს და საბჭოთა ბრალმდებელს ჰკითხა: რამდენი ხანი დასჭირდეს ფელდმარშალ პაულუსის ნიურნბერგში ჩამოყვანასო.


— ხუთი წუთი, მილორდ, — უპასუხა ყველასათვის მოულოდნელად რუდენკომ.

საქმე ის არის, რომ ჩვენებს პაულუსი იქვე ჰყვება, ნიურნბერგში...

...პაულუსის გამოჩენამ დიდი სენსაცია გამოიწვია. დამცველები დაიბნენ. ასე უცებ, მზად არ ვართ დაკითხვის ჩასატარებლადო. ისინი ელოდნენ, რომ პაულუსი იტყოდა ყველაფერს, როგორ დაიწყო ჰიტლერმა ომი საბჭოთა კავშირთან. ის სომ გვემს, „ბარბაროსას“ ერთ-ერთი ავტორთაგანი იყო. თუ კიდევ, მიუხედავად თავდაუსხმელობის პაქტისა, ჩვენ ვადგენდით ამ გვემასო. მერე ისიც დაუმატა, ჰიტლერმა თვითონ გაგზავნა ჰესი ინგლისში, რათა რუსეთზე თავდასხმამდე შეავისთავის მიეღწიაო.

— ტყუილია! — იყვირა იოდლმა, — მე ვხარო როგორც გააცოფა ჰიტლერი ამ ცნობამ.

არა, ეს ტყუილი არ იყო. ნიურნბერგში თვითონ



ჰესმაც აღიარა, ინგლისში ჰიტლერის დავალებით გაფფრინდით.

შემდეგ პაულუსმა განაცხადა, ამ პაქტის დარღვევა და რუსეთზე თავდასხმა ჰიტლერის უპასუხის-მგებლო სამხედრო პოლიტიკის შედეგი იყო...

რუდენკომ ჰკითხა მას:

— ვის თვლით ამ თავდასხმაში დამნაშავედ?

ამაზე დამცველი ლატერნევი წამოხტა. ლოურენსი მაშინვე მიხვდა, რა უნდა ეთქვა მას და სიტყვა ჩამოართვა:

— გენერალ რუდენკო, ეს ის მთავარი საკითხია, რაც სამსჯავრომ უნდა დაადგინოს, ამიტომ მოწმის აზრის გამოთქმა საჭირო არ არის.

შემდეგ ლატერნევი მიუბრუნდა.

— ეს გინდოდან გეთქვით, არა?

ლატერნევი უპასუხა:

— დიახ!

რუდენკომ მაშინვე შეცვალა კითხვა:

— ბრალდებულთაგან ვის თვლით თავდასხმის მომზადების აქტიურ მონაწილედ?

— ჰიტლერის უახლოეს სამხედრო მრჩეველთ: კაიტელს, იოდლს, გერინგს...

გერინგი გაცოფდა და დამცველს მოსთხოვა:

— ჰკითხეთ მაგ ჭკუციან ღორს, იცის თუ არა, რომ მოლაღატა. ისიც ჰკითხეთ, რუსეთის ქვე-შეერთების ხომ არ მიუღია. ჩვენ უნდა ხახვივით გავფქვენათ ეს გამყიდველი...

დამცველმა თავი შეიკავა საქმის გამწვავებისაგან, ვაი თუ, პაულუსმა უარესი თქვასო...

...სამხედროები „მოლაღატესა“ და „ფიცის გამტებს“ უწოდებდნენ პაულუსს, ნორბრტი, ზეის-ისკვარტი და შახტი კი თანაგრძობას უცხადებდნენ მას.

— რა ქნას, იგი თავის ტყავს უფრთხილდებაო, — თქვა ბოლოს იოდლმა.

— მისი გეგმა რომ არ ჩამოლიოყო, იოდლის თანამდებობას დაიკავებდა და ახლა ჩვენთან იქნებოდა საბრალდებო სკამზეო, — დავესლა კაიტელმა.

თვით რიზენტროპიც კი გაემიჯნა პაულუსს: მან დაასამარა თავისი თავიო. მერე ისე შეტობა, რომ გასაოცარი რამ თქვა, მე მინდოდა, საბჭოთა კავშირი სამთა ანტიკომინტერნურ პაქტში შემეყვანათ (!!!)...

— საბჭოთა კავშირი ანტიკომინტერნულ პაქტში!.. — გაოცდა ჯილბერტი.

— დიახ, დიახ, პო, არა, — დაიბნა რიზენტროპი, — ეს იქნებოდა კონტრალანსი ინგლისის წინააღმდეგ. ის ერთი ნაჭერი მიწა (დანცივი) რომ მოეცათ, ომი არც დაწყებოდა.

ჯილბერტმა ახლა მიუნქენი ახსენა და ჰკითხა, ეს ხელშეკრულება მაინც რატომ დაარღვიეთო.

— ჰიტლერს არ დაურღვევია მიუნქენის ხელშეკრულება, — წარბუხურულად უპასუხა მას კაიტელმა.

— როგორ?! — კიდევ უფრო გაოცდა ჯილბერტი, განა სუდეტის ნაცვლად მთელი ჩეხოსლოვაკია არ გადაეცაბათ?

— კი, მაგრამ ჩეხოსლოვაკია ვერსალის ნადაგზე წრმოშობილი სახელმწიფო იყო, — არ შედრება შუბლმაგარი კაიტელი...

ლაქამბი მუნდირზე...

ყოველივე ამის მიუხედავად, პაულუსის ჩვენებას ისე არ შეუფოთებია ბრალდებულები, როგორც გენერალ ლახუნენის გამოჩენას მოწმის პულტთან მან, როგორც დაზვერვის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ცხადია, ყველაფერი იცოდა, რაც გერმანიაში ხდებოდა. გარდა ამისა, იგი 20 ივლისის შეთქმულების მონაწილე იყო, ე. წ. „შინაგანი თაოზიციის“ წარმომადგენელი და არც არაფერს ფარავდა.

— ახ, ის მოლაღატე, გამყიდველი, — აღრიღლა საკანში გერინგი, — როგორ დაგვეციწყდა იგი და არ მოვსებთ 20 ივლისს! მე ასლა მივხვდი, თუ რატომ წავაგეთ ომი. აბა, რა იქნებოდა, როცა სამხედრო დაზვერვის უფროსები მტერზე გვეიდდნენ.

გერინგს უნდოდა, როგორმე გაენელებინა ლახუნენის ჩვენების შთაბეჭდილება.

— იგი მოლაღატა და რა ფასი აქვს მის ჩვენებას! — უთხრა მან ჯილბერტს.

— მას ოფიცრის ღირსება დაკარგული აქვს, — დაუდასტურა კაიტელმა. იოდლიც თავის შეფს მიემხრო, ჯილბერტმა კი ყოველივე ეს ლახუნენს ჩაუმარცვლა.

— ახლა ლაპარაკობენ ღირსებაზე, როცა მილიონები დახოცეს?! — იწყინა მან.

ყველაზე უფრო „რატომღაც“ რიზენტროპი დელაგადა. იგი ესწვეებოდა ჯილბერტს:

— ნუ დაუჯერებ ლახუნენს. მართალია, ყველაფერს ფიცის ქვეშ ამბობს, მაგრამ ხომ გავიგონილოდომობროსოთ ექსპერიმენტებზე ფიცის არასამიულოზობის შესახებ? მან ერთი შემთხვევის გამო 12 სხვადასხვა ვერსია მიიღო 12 პიროვნებისაგან...


რიზენტროპს ამან ვერ უშველა, ლახუნენმა გაიხსენა:

— 1939 წლის 12 სექტემბერს ჰიტლერის ხალონ-გაგონში შევდა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ: რიზენტროპი, კაიტელი, იოდლი, კანარისი და მე.

თათბირის შემდეგ რიზენტროპმა უთხრა კანარისს:

—უნდა მომზადდეს ფიქტიური აჯანყება ან რამე მოძრაობა, რომ ამ საბაბით ყოველი პოლონელის სახლკარი გახვეულ იქნეს ცეცხლის ალში და მოისპოს ყველა ებრაელი...

ეიმენმა, რომელიც დაკითხავდა ლახუნენს, თითქოს საკუთარ ყურებს არ დაუჯერა და ჰკითხა:



— ვინა თქვა ეს?

— ეს თქვა საჯარო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა. მე იქვე ვიდექი, — მიუგო ლახუზენმა.

— თქვენ სრულიად არ გეპარებათ ეჭვი, სულ ცოტათი მაინც, რომ ეს სწორედ ასე ითქვა? — ჩაკითხა ისევ ეიმენი.

— არა. მე არავითარი ეჭვი არ მეპარება ამ მხრივ. განსაკუთრებით კარგად მახსოვს ფრაზა: „ცეცხლის ალი უნდა მოედოს ყველა პოლონელის სახლ-კარს“.

რიბენტროპმა ნელ-ნელა ასწია ქუთუთოები და ზიზღით შეხედა ლახუზენს...

ოლენდორფისა და ბახ-ზელევსკის ცინიკურმა გულახდილობამ სულ გააცოფა გერინგი. „ძალეები“, „ღორები“, „ძაღვ-ღორები“ და, ვინ იცის, კიდევ რა არ უწოდა მათ. არმიის წარმომადგენლები ამ შემთხვევაშიც ცდილობდნენ, ესესელები-სათვის გადაებრალდებინათ ყველაფერი. ამის პასუხად ოლენდორფმა განაცხადა, მე სულ ფელდმარშალ მანშტაინის მითითებებს ვასრულებდი. ბახ-ზელევსკიმ კი დაუმატა, ყველა ორდენი მე სწორედ არმიის სარდლობისაგან მაქვს მიღებული. როცა ზგი დაკითხვის შემდეგ გაჰყავდათ დარბაზიდან და გერინგის საბრალდებო სკამთან ჩაატარეს, ყოფილმა რაიხსმარშალმა უდრილა:

— შე ძაღვო, შე ღორო, გემყიდველო!

ბახ-ზელევსკი შეტორტმანდა. მცველებმა ხელი მოჰკიდეს მას და გაიყვანეს.

ამის გამო გერინგმა მორიგი სასჯელი მიიღო ენდრიუსისაგან...

... უფრო დიდი მორალური სასჯელი ბრალდებულებს შახტის მიერ მოწმედ გამოძახებულმა გიზევიუსმა მიაყენა. ლახუზენის მსგავსად, გიზევიუსმაც „ყველაფერი იცოდა“ და, როცა იგი დარბაზში შემოიყვანეს, ბრალდებულთა შორის უსიამოვნო ჩოჩქოლი ატყდა. გიზევიუსი კი ჯერ რაიხსტაგის დაწვისა და ამის შედეგად გამართულ ხოცვა-ჟლეტის საკითხს შეეხო. მან, როგორც ამ საქმის მონაწილემ, პირდაპირ განაცხადა, რომ ყოველივე ეს გერინგის უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო. მის ნათქვამს კი „ფაისი ჰქონდა“, რადგან ამ „გრანდიოზული პროოკაციის“ მონაწილეთაგან იგი ერთადერთი იყო, ვინც ცოცხალი გადარჩა. დანარჩენი თანამონაწილენი „კვალის დასაფარავად“ დახოცეს.

გიზევიუსის გამოსვლის შემდეგ ამ საკითხს არავინ დაბრუნებია. ისედაც აშკარა იყო, რომ რაიხსტაგის დაწვის პროოკაცია მოაწყვეს ჰიტლერმა, გერინგმა და გებელსმა, რათა ფიზიკურად გასწორებოდნენ ოპოზიციური პარტიის წევრებს...

გარდა ამისა, გიზევიუსმა სრულიად ნათლად აჩვენა, რომ ე. წ. „რემის პუტჩისა“ თუ „მეორე რევოლუციის“ ამბებიც, რასაც ამდენი მსხვერპლი მოჰყვა, ასევე „წინასწარ ჩაწყობილი“ პროოკაცია იყო. ეს იმდენად ცხადი გახდა, რომ თვით ბრალდებულმა ფრიკმაც კი თქვა:

— როგორც ჩანს, არავითარი პუტჩი არ ყოფილა. ეს, უბრალოდ, არასასურველი პირების მოსაპოხად იქნა მოგონილი.

გერინგი ახლაც ნანობდა, ლახუზენის მსგავსად ეს გიზევიუსიც რომ „გაუძვრა ხელიდან“, მაგრამ უკვე გვიან იყო. წინ კიდევ უფრო არასასიამოვნო „სიურპრიზები“ ელოდა. რაც ამდენ ხანს ითქვა, ასე თუ ისე, მაინც „სახელმწიფოებრივი დანაშაული“ იყო და, როგორც ჩანდა, გერინგს ეს არ მიაჩნდა თავისი ღირსების შელახვად. მას უფრო იმის ემინონდა, გიზევიუსს მისი ნამდვილად „ჭუჭყიანი საქმეები“ არ ემსილებინა. ამისთვის წინასწარი ზომებიც მიიღო. გერინგის დაკავებით შტამერი მივიდა შახტის დამცველთან და, რაკი გიზევიუსი მის მიერ იყო მოწმედ გამოძახებული, სთხოვა არ ეხსენებინათ „ბლომბერგის საქმე“. ამან გიზევიუსზე არ იმოქმედა და ბლომბერგის კი არა, ფრიხის საქმეც „გამოათრია“. გერინგმა მაშინ კი იგრძნო, „როგორ განჩნდა შავი ლაქები“ მის ცისფერ მუნდირზე. ამან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა „ჰარისკაცული დისკრების“ დამცველ ბრალდებულზე. იოდლი ისე გაცეცხლდა, რომ სიბრაზისაგან ცრემლები ღვარა. მერე კაიტელს მოუარა ისტერიამ, რადგან „იმ ჭუჭყიან საქმეებში“ მისი სახელიც ახსენეს. ეს მას სასადილოზიც შეახსენეს უფრო „რესპექტაბელურმა ბრალდებულებმა“. კაიტელმა ვერ მოითმინა და იყვირა:

— ჩემს სახელს ნუ შეურაცხყოფთ. ორმოცდათხუთსი წელია, რაც ჰარისკაცი ვარ და ახლა ნუ ცდილობთ ჩემს გამამიმუნებას!..


დასულილი ოცეული...

მერე ყველანი გერინგს მიეხივნენ.

— აპა, ხომ დამთავრდა ჰეროიზმის ლეგენდა, — ზემოთდა შახტი. მე ბედნიერი ვარ, რომ ის განგსტერი გამოაშჰარავეს. მადლობა დმერთს! ისე, დიდი სისულელე კია, ამერიკელები რომ მე მასამართლებენ. მე ხომ საუკეთესო მოწმე ვიქნებოდი მათთვის. გერინგის დამცველის სკანდალური ამბავი რომ გამოაშჰარავდა, ესეც კარგია. ახლა მაინც ხომ ხედავენ, რა ჩიტაცაა იგი.

უკვე აღარც გერინგი იდგა „აგრესიული ცინიზმის“ ძველებურ პოზიციაზე, მაგრამ თავს მაინც იცავდა, მე ჰუმანიტი ვარ, რომელსაც ვერ გამოიგესო. ამაზე რომ გაცენათ და პროცესზე ნაჩვენები „სამინელი ფილმიც“ შეახსენეს, გერინგმა ოღნავ შეცვალა ტონი:

— მართლა! თქვენ უნდა გაიგოთ, რომ მე არ ვარ სამინელი ურჩხული. ისე კი არ არის, თითქმის იმ ფილმში ნაჩვენები სამინელებანი არ მოქმედებს ჩემზე, მეც ძლიერ ბევრი განვიცადე. ვნახე ჩვენი დამგრეული ქალაქები, დამწვარი ბავშვები... ამისთვის მე ფილმის ნახვა არ მჭირდება. მე



ომი არ მინდოდა, არც ჰიტლერი დაიწყებდა ომს, ყველაფერი რომ მიეღო, რაც უნდოდა.

აი ლოგიკაც ეს არის! „ყველაფერი რომ მიეღო, რაც უნდოდაო“. მერედა, რატომ უნდა მიეღო? ხომ გასხოვთ, ჰიტლერი რომ ამ „ყველაფერს“ განზომილებებს არ უდგენდა? „მარადიულ მშვიდობაზე“ კი იმიტომ ლაპარაკობდა, რომ ძვლებიანად დაეხრა ევროპის სახელმწიფოები. ალბათ ამაზეა ნათქვამი, ვიდრე ძაღლი შენს უკანასკნელ ძვალს გამოხსრავდეს, მარადიულ მშვიდობაზეც თანახმააო...

ეს ნიურნბერგულ ბრალდებულებსაც ესმოდათ და ამიტომაც უსაყვედურეს გერინგს, რად გინდათ ეს პეროიკული აქტიურობაო. ამაზე გერინგი გაბრაზდა და ისევ ძველებური პოზა მიიღო:

— აა, ჩემო კარგო, ადრე თუ გვიან ყველა უნდა მოკვდეს, მაგრამ მე თუ მომეცემა საშუალება, მოგკვდე როგორც წამებული, განა ეს უკეთესი არ არის? თქვენ გგონიათ, ყველას აქვს ამის შანსი? თუ ჩემი ძვლები მარმარილოს ურნაში მოხვდება, ეს უფრო დიდი ბედნიერება იქნება, ვიდრე სხვებს შეუძლიათ მოიპოვონ. ეს ისეა, როგორც ფრიდრიხ დიდი და ნაპოლეონი, რომელთა ნეშტი თორმეტჯერ მოიპარეს ან „წმიდა სე“, რომლისგან შემდგე ჯვარცმის ნიშნის მთელი ტყე გაჩნდა!

გერინგი ისე გამოვიდა მოთმინებიდან, რომ თავის კოლეგებს მიმართა სასადილოში:

— სიმტიკე უნდა გამოვიჩინოთ და თავის დასაცავად გაიმეორებოთ ის, რაც უკვე თქვა სასამართლოში გოეთეს გოც ფონ ბერლინჰინგენმა...

იმ გოცმა კი ისეთი უცნაურობა რადაც თქვა, რომ, მიუხედავად გოეთესადმი ღრმა პატივისცემისა, აქ ვერც ვებედავ მის განმეორებას.

გერინგმა კი მთელი სცენა გაითამაშა, თუ როგორ იტყოდა ამას გოც ფონ ბერლინჰინგენი, ან თვითონ როგორ გაიმეორებდა პროცესზე და რა სიცილი ატყდებოდა დარბაზში!

— მე უკვე ყელში ამომივიდა ეს გერმანელი მოლატაბები, — თქვა მან ბოლოს, — თვითონ ამდენი ხალხი დაუხსოციათ და ახლა ჩვენ გვაბრალბენ ყველაფერს... ო, ეს ღორები, გამყიდველები! ნეტავ, რას მოელიან ამგვარი ღალატის ფასად! სულერთია, იმათაც ჩამოახრჩობენ!.. — ბრდღენავდა იგი... მერე წერილი მისწერა თავის დამცველს — შტამერს: ასეთი და ასეთი კითხვები მიეცი მაგ ჭუჭყიან ღორებსო...

— არ გვინდა, თორემ უარეს ამბებს მოგვახლიან სახემოთ, — შემოუთვალა მან...

...მიუხედავად ამისა, გერინგმა მაინც სცადა თავისი „ოცეულის“ ერთ ხაზზე დაყენება; „ურჩებს“ კი დაემუქრა, ზედმეტს ნუ ლაყობთ, თორემ მეც ბევრი რამ შემიძლია ვთქვა თქვენს შესახებო. გერინგი ზოგჯერ ისე გაცეცხლდებოდა ხოლმე, რომ ხელკეტმომარჯვებული პოლიციელები ერედნენ საქმეში. ამან ისე დააშინა სხვები, რომ გაურბოდ-

ნენ მასთან ლაპარაკს. როცა ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და გერინგი გამოჩნდებოდა, რომელიმე მათგანი დაიძახებდა ხოლმე: ჩუმად, „სქელი ჰერმანი“ მოდისო. ყოველივე ამას ენდრიუსის ახალი რეპრესიები მოჰყვა. სასადილოს „სიმპოზიუმები“ დამთავრდა. ბრალდებულებს მოესპოთ ერთმანეთთან საუბრის საშუალება. გერინგი ცალკე გადატიხრულ ოთასში მოათავეს. სხვები საერთოში დატოვეს, მაგრამ ისევ უნდა მჯდარიყვნენ მაგიდებთან, რომ ყრუ კედლისთვის ეყურებინათ და არა ერთმანეთისათვის. გერინგს ესეც სანატრელი გაუხდა. იგი ისევ იმ „მეხანძრე ენდრიუსს“ ესხმოდა თავს, თვითნებობს, რასაც უნდა იმას გვიშვრებოთ, მაგრამ მის პროტესტებს კურს არავინ უდებდა.

ყველაზე უფრო გამაგებელი ამ შემთხვევაშიც, შახტი იყო. როცა ჯილბერტი შევიდა მის საკანში, ასეთი გრძელი მონოლოგის მოსმენა მოუხდა:


— რას გვიშვრებია! ასე რატომ განგვატაკევენს. იმ პოლოცენიკს რაც სურს იმას აკეთებს. აქედანაც ჩანს, ისეთი ხალხის წარმომადგენელი რომ არის, რომელსაც არც ტრადიციები გააჩნია და არც კულტურა. მე არც მინდა მაგ განსტერებთან — გერინგთან, როზენბერგთან, რიბენტროპთან, კაიტელთან, შტრაისნერთან, ფრანკთან ლაპარაკი, მაგრამ ჟენტლმენებიც ხომ არიან. მაგალითად, პაპენი, ნორიატი. მე მსიამოვნებს მათთან საუბარი. ამერიკელებს რატომ ავიწყდებათ, რომ ჩვენ კულტურული ხალხი ვიყავით! რაც ჰიტლერმა გააკეთა, ეს კულტურის წინააღმდეგ იყო.

აქ ჯილბერტმა შუაწყვეტინა და ისევ ის გაცვეთილი კითხვა ჩაურთო:

— კი, მაგრამ, ასეთი „კულტურული ხალხი“ როგორ აჰყვა ჰიტლერის დემაგოგიას?

ამ კითხვაზე შახტმა მეტად საყურადღებო პასუხი გასცა:

— ჰიტლერამდე ჩვენ მშვიდობიანი გზით გვინდოდა საარსებო წყაროების მიღება, მაგრამ მოკავშირეებმა ყველაფერზე უარი გვითხრეს: ბაზარი ვითხოვეთ, — არაო; ავსტრია — არაო; ჩეხოსლოვაკია — არაო. მერე მოვიდა ისეთი განსტერები, როგორც ჰიტლერია, და კი ბატონოო, უთხრეს. წაიდეთ, რაც გინდათო. რაინის რემილიტარიზაცია მოახდინეთო, ავსტრია შეერთეთო; სუდეტები და მიწები ჩეხოსლოვაკია მიირთეთო. მიუშვამდე „ჰიტლერი არც ოცნებობდა სუდეტის შემოერთებაზე. მას მხოლოდ ავტონომია უნდოდა, მაგრამ... ო, ის ჩერჩიტი დალაღიე და ჩემბერლენი! ყველაფერი ხელში ჩაუკარეს, გზა გაუხსნეს, მადა გაუღვიძეს. მე გეკითხებით თქვენ, რატომ არ მისცეს ეს ვაიმარის რესპუბლიკას?! რატომ მაშინ არ მოგვათქმევინეს სული? მე ვცადე, ვერსალის ფარდობში მომეწესრიგებინა გერმანული ეკონომიკა, ახლა კი მეუბნებიან, ომს აწვადებდითო. მე იმ მანიაკის მოკვლა მინდოდა და... ციხეში ჩამადგეთ, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე!



აქ შახტსაც ისეთმა ისტერიამ მოურა და ისე ფეროდა, რომ მთელ ციხეს ესმოდა:

— სირცხვილი თქვენ! მე საკონცენტრაციო ბანაკშიც კი არ ვყოფილვარ ცალკე ოთახში გამოკეტილი, იქ არ მეპყრობოდნენ ასე. ძილი მაინც შემიძლო. აქ კი!..

შახტს ცახცახი აუტყდა, მერე, როგორც იქნა, დაწყნარდა და ძლივს გასაგონად თქვა:

— კეთილი, ბოდვის ვიხდი, მაგრამ თუ თქვენ ღინღათ გაიგოთ ჩემი რეაქცია... აი, ეს არის. მეტი არა შემიძლია გავაწყო ამერიკის ხელისუფლებასთან! დღეის შემდეგ კრინტსაც არ დავძრავ!..

... ზოგიერთებს უხაროდათ კიდევ, ასე რომ გააცალკევებს. ისინი ვერ იტანდნენ გერინგის დარიგებასა და მუქარას. ამის შედეგი იყო, რომ ბრალდებულთა ერთი ჯგუფი გამოეყო გერინგის მსგავს „ნაციზმის ლიდერებს“. ზოგმა მათი მხილებაც შეცადა: ვინ იცის, გერინგის ნათქვამისა არ იყოს, შარტლაც „თავიანთი ტყავის გადასარჩენად“ თუ შემწარვეი სინანულის გამო; ყოველ შემთხვევაში ამ ორ ჯგუფს შორის ბზარი გაჩნდა. როცა ის შმაგლუგესკა უსაშინელეს ამბებს ყვებოდა, შახტმა ყურმილი ჩამოეღიჯა და თქვა:

— მე ზომ გუებნებოდი მაგ ღორებს, ეს ცუდ დღეში ჩავგავდებს-მეთქი.

ამით თავისი თავიც გასცა: თურმე სცოდნია, რა-საც „ის ღორები“ აკეთებდნენ.

იმ დღეს სასადილოში დენიცი ამბობდა:

— ჯერ ვეჭვობოდი, რომ უმჯობესი იყო გერმანულ სასამართლოს გაერჩია ეს საქმე. ახლა დავრწმუნდი, რომ ცდებოდით. უწინ აღშფოთებული ვიყავი ამ ტრიბუნალით, ახლა, პირიქით. სჯობს ძირაში ჩავყვით ამ საქმეს. გერინგმა საბრალდებო აქტზე რომ თქვა, ეს ტიპური ამერიკული სუბრობააო, ახლა რას იტყვის?!

— გერმანელმა ხალხმა უნდა დანიხსოს, როგორ ატყუებდნენ. ეს დაესმარება მას ნაციზმის ამოძიკვაში, — თქვა შირახმა.

— ჩვენ ეს უნდა ვთქვათ პროცესზე, — შეესხინა მას შახტი.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ყოფილი იუგენდფურერი, — გერმანელების მსჯავრი უფრო მკაცრი და სამართლიანი იქნება...

ჯოჯოხეთის აკრძილბები...

„მადალი რანგის“ ფელდმარშლებისა და გენერლების დაკითხვა რომ დაამთავრეს, მოწმის პულტთან „ის გოჭი, ვისლიცენი“ დააყენეს. იგი ებრაულთმეღეტი აიხმანის მარჯვენა ხელი იყო. ამიტომ წინ ჰიმლერის ბრძანება დაუდეს ებრაელთა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის (Endlösung) შეზახებ და პირდაპირ ჰკითხვეს:

— რას ნიშნავს ეს?

მისლიცენი: აიხმანმა ამიხსნა ეს ებრაელების ბი-

ოლოგიური მოსპობას ნიშნავსო. ისიც თქვა, რომ სწორედ მას დაეკისრა ამ ბრძანების შესრულების პასუხისმგებლობა. მე ვუთხარი, დმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენს მტრებს ოდესმე მიეცეთ საშუალება, იგივე გაუკეთონ გერმანელ ხალხს. ამაზე აიხმანმა მიპასუხა, ნუ ხარ სანტიმენტალური, ეს ფიურერის ბრძანებაა და უნდა შესრულდესო.

ეს ბრძანება ძალაში იყო 1944 წლის ოქტომბრამდე. შემდეგ თვითონ ჰიმლერმა შეაჩერა მისი ბოლომდე მიყვანა.

პითხვა: ვინ იყო მამინ უშიშროების სამსახურის უფროსი, როცა ეს ბრძანება გამოიცა?

მისლიცენი: ჰაიდრიხი.

პითხვა: კალტენბრუნერის დროსაც ძალაში იყო თუ არა ეს ბრძანება?

მისლიცენი: დიას, არავითარი შესუსტება ან გადახვევა.

პითხვა: რამდენი ებრაელი დასოცეთ ამ ბრძანების მიხედვით?

მისლიცენი: მე მგონი, ოთხი მილიონი, თუმცა აიხმანი ამბობდა, სუთი მილიონი...

მერე დადგინდა, რომ დასოცეს ექვსი მილიონი...

...ბავშვობიდან მახსოვს: ერთხელ, 20-იან წლებში, ფულის კურსი ისე დაეცა, რომ რამდენიმე მილიონ მანეთად ნაყინს ვყიდულობდით მუშტიადის ბაღში. მამინ ამ ფულებს „ბონებს“ უწოდებდნენ. იგავიც დადიოდა ასეთი:

— ამბობენ, ინდოეთში შიმშილით ორი მილიონი ხალხი დაიხოცაო, — ამბობს ვიდაც.

— დიდი ამბავი! — მიუგებს მეორე — ორი მილიონი რა არის ამ ბონების დროში!..

მე მგონი, ადამიანების სიცოცხლე ჰიტლერელებისთვისაც ამგვარ „ბონებად“ იქცა. ხომ გასოფთ, კაიტულმა რომ თქვა, გროშია ადამიანის ფასიო. ამას სხვებზე ამბობდნენ, თორემ საკუთარ თავს უფრო ძვირად აფასებდნენ. გამოირკვა, რომ ნაციზმის მეორეუბნს თავიანთი სიცოცხლე უცხოეთის ბანკებში ჰქონდათ დაზღვეული: გერინგს — 4.000.000 დოლარად; რიბენტროპს — 5.665.000 დოლარად; გებელს — 2.490.000 დოლარად. თვით ჰიმლერსაც კი, რომელზედაც ამბობდნენ, ისე ხელმოკლედ ცხოვრობდა, კაპიკს კაპიკზე აწებებდაო, უამრავი ვალუტა აღმოუჩინეს გადაამალული. ხალხებს კი „ბონებად“ თვლიდნენ და ისე გამზაგებით ჟღებდნენ „რასობრივად არასრულფასოვან“ ადამიანებს, რომ გონება უძლურია ახსნას ყოველივე ეს. აკი თვითონ ბრალდებულთა იკითხეს, „ვინ ოხერმა მოიგონა ეს რასობრივი თეორიაო“. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. დამცველები ერთხმად აცხადებდნენ, ფრანგმა გობინომო და მის მიერ ჯერ კიდევ 1853-55 წლებში ოთხ ტომად გამოკეწულ შრომას *L'inegalité des races humaines* (ნარკვევები ადამიანთა რასების უთანასწორობის შესახებ) ასახელებდნენ. ამის შესახებ ადრეც წერდნენ დაინტერესებული ისტორიკოსები. იყო დრო,

როცა სამი ქვეყანა — საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია დაობდნენ, ვის ეკუთვნოდა რასათა არათანასწორობის აღმოჩენის „პატივი“. ყველა თავისკენ მიიღობდა: ფრანგები, რა თქმა უნდა, ისევ გობინოს ასახელებდნენ, ინგლისელები — გაგერმანელებულ, მაგრამ მაინც თანამემამულე ჰიუსტონ ჩემბერლენს. ამაზე პიტლერელი რასისტები აღშფოთდნენ: როგორ გეკადრებათ, რასობრივი თეორია ჯერ კიდევ კანტმა და გერმანელმა რომანტიკოსებმა შექმნესო. ვინმე ჰერმან ბლომემ ასეთი შრომაც გამოაცხო: „Der Rassengedanke in der deutschen Romanties und seine Grundlagen in 18. Jahrhundert“ (გერმანული რომანტიკოსების რასობრივი თეორია და მისი საფუძვლები მე-18 საუკუნეში). ბლომე იმ ყალბ მოსაზრებას ეყრდნობა, რომ ვინც ბუნებისმეტყველების თვალსაზრისით სხვადასხვა რასების დამახასიათებელ ლინინზაბს სწავლობს, ყველა გომინოს წინამორბედად უნდა ჩაითვალოს. მას სურს, ამ „ჭუჭყიან საქმეში“ რაც შეიძლება მეტი გერმანელი მოაზროვნე გარიოს; თუმცა საქმე ეხება არა რასების დამახასიათებელი ნიშნების შესწავლას, არამედ მათ დაყოფას მძალად თუ დაბალ რასებად და მოთხოვნას, რათა რასობრივად რჩეულმა ძალებმა გაანადგურონ „არასრულფასოვანი ეთნიკური ელემენტები“. ისე, კაცმა რომ თქვას, ნიურნბერგში მოსამართლეებს არც აინტერესებდათ ამ საკითხის ისტორიული მხარე. ისინი უფრო მრავალი მილიონი „დაბალი რასის“ გაყვლების კრიმინალურ საფუძვლებს იკვლევდნენ. რაც შეეხება ანტისემიტისმის საკითხს, აქაც იგივე მდგომარეობაა. ანტისემიტისმიში, რა თქმა უნდა, ადრევე არსებობდა, მაგრამ ამახ უფრო რელიგიური საფუძვლები ჰქონდა, ვიდრე რასობრივი. პიტლერელებმა კი თავიანთ ერს „ზედადამიანები“ (Übermensch) უწოდეს, სხვებს, უწინარეს ყოვლისა კი სემიტებს, — „ქვეადამიანები“ (Untermensch) ან სულაც — „არადამიანები“ (Unmensch). ისტორიული და ფილოსოფიური დოქტრინების მოყვარული დამცველები კი გრძელ ექსპურსიებს აკეთებდნენ საუკუნეთა წიაღში, რათა ბრალდებულთა პასუხისმგებლობა შეესუსტებინათ. ეს დროის ამაოდ დაკარგვა იყო, რადგან როზენბერგის გარდა, თვითონ ბრალდებულებიც ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ ამ „თავსამტერევი საკითხის“ ისტორიული ასპექტისადმი. მხოლოდ ფრიხემ სცადა, აეხსნა რასობრივი თეორიის, განსაკუთრებით ანტისემიტისმის „ფსიქოლოგიური საფუძვლები“. თავის მემუარებში იგი წერს, რომ თვითონ პიტლერის ბაბუა დედის მხრივ ებრაელი იყო. ეს კი, მათი უარგონით, „მესამედ ებრაელობას“ (Dritteltjude) ნიშნავს. ფრიხე „ამხელს“, ჰაიდრიხიც მეოთხედად ებრაელი (Vierteltjude) იყო. იმასაც არ ფარავს, რომ

მუსოლინის ხასა — შარგარტა სარაფატიც ებრაელი იყო. ფრიხეს ცნობით, ესპანეთში 1497 წლიდან არც ერთი სინაგოგა არ ყოფილა; პირველად იგი ფრანკომ გახსნაო და ა. შ. ეს კიდევ არაფერი. როცა გერმანიაში უკვე გამოსული იყო პიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“, სადაც ებრაელთა რასის მოსპობა ნაციონალ-სოციალისტური პოლიტიკის ნაწილად იქნა გამოცხადებული, ებრაელმა ბანკირებმა (კორპორაციიდან „მენდელსონო და კომპანია“) სამჯერ უსარმაზარი თანხა გადაურიცეს პიტლერს, ჯერ მოთიერიშეების, ხოლო შემდეგ არმიის შესაიარაღებლად: თავდაპირველად პიტლერმა 10 მილიონი დოლარი მიიღო, 1931 წელს — 15 მილიონი დოლარი, ხოლო ძალაუფლების სვლში ჩაგდების შემდეგ — 126 მილიონი დოლარი. მოდით და, გაიგეთ ამ საქმის თავი და ბოლო! პიტლერელებმა 6 მილიონი ებრაელი გაჟლიტეს, ებრაელთა „მსოფლიო საზოგადოების“ მეთაურები კი მხარს უჭერდნენ მესამე იმპერიას. აქ ისიც შეიძლება გაიხსენოთ, რომ ომის უკანასკნელ პერიოდში მთავარი ებრაელთმთვლელი ჰამლერი და ებრაელთა ორგანიზაციის წარმომადგენელი მასური ერთად უსდნენ მრავალ შვიდას. შემდეგ ისიც ცნობილი გახდა, რომ პოლონელი ებრაელების გაჟლეტაში მონაწილეობას იღებდა ებრაელი ნოსინგი. ასეთივე მოვალეობას ასრულებდა კენსერი უნგრეთში. ამბობენ, ებრაელთა საკითხის „საბოლოო გადაწყვეტის“ პრაქტიკული ორგანიზატორი აიხმანიც ებრაელთა ორგანიზაციებთან იყო დაკავშირებულიო.

თქმა ბევრი რამისა შეიძლება, მაგრამ დაჯერება მაინც ძნელია. ამიტომაც, რომ დღემდე ამაოდ ცდილობენ გაერკვნენ ისტორიის ამ მართლაც პარადოქსულ თამაშში. ვინ რას არ ამბობს — როგორც „ჭუჭყასთან ახლოს“, ისე სრულიად დაუჯერებელსაც. ისიც თქვას, ყოველ ახალ რწმენას, რელიგიურს თუ პოლიტიკურს, ებრაელები ქმნიდნენო; გაიხსენეს, თვითონ პიტლერიც რომ ეტმასნებოდა ბიბლიურ მოსესა და მის თანამემამულეთა სვლას ადტიმული ქვეყნისკენ. მას არც არიულად გამოცხადებული „ებრაელი ღმერთის“ მომავიერობაზე უთქვამს უარი. პრესაში დღესაც გაცილებს გამოთქვამენ თანამედროვე სიონისმისა და ნაციზმის შორის „რაც კურიოზულ მსგავსებაზე“. ასეთ დროს მე, ძალაუნებურად, ისევ ის ბიბლიური მითები მაგონდება. წამიკითხავს კიდევ: მოსეს ამქვეყნიური „ადტიმული ქვეყანა“ ქრისტეს იმქვეყნიურმა „სამოთხემა“ შეცვალა; შემდეგ რწმენისა და პოლიტიკის ასიმილაცია მოხდა და სიმკაცრე იქცა ოსთოდოქსიის აუცილებელ ნიშნად. მათი აზრით, ასე წარმოიშვა პიტლერის „წმინდა იმპერია“, ახლა კი ისევ ებრაელები იყვენენ მოსეს ლეგენდის განამდვილებას და ახალი „ადტიმული ქვეყნისაკენ“ უხმობენ თავიანთ თანამემამულეებს...



ქვეყნის კაცია

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე უ ლ ე ბ ე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კრედიტის

საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობს რა ჰუმანურობის პრინციპებით და მისწრაფებით, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა აღმშენებლობით შრომაში აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს მოქალაქეებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით საზოგადოების წინაშე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შესაძლოდ მიაჩნია შეუფარდოს ამნისტია მსჯავრდებულთ, რომლებმაც თავიანთი სანდომუშო ყოფაქცევით და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დაამტკიცეს, რომ მტკიცედ დაადგინეს გამოსწორების გზა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან განთავისუფლდნენ ხუთ წლამდე ვადით (ჩათვლით) მსჯავრდებულნი, რომლებსაც წინათ არ მოუხდიათ სასჯელი შრომაგასწორებით დაწესებულებებში:

- ა) პირნი, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ საბრძოლო მოქმედებაში საბჭოთა სამშობლოს დაცვისათვის;
- ბ) პირნი, რომლებიც დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით;
- გ) ქალები, რომლებსაც ჰყავთ 17 წლამდე ასაკის ბავშვები და ორსული ქალები;
- დ) პირნი, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს 17 წლამდე ასაკში.

2. განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან: 60 წელზე უფროსი მამაკაცები, 55 წელზე უფროსი ქალები, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, რომლებსაც წინათ არ მოუხდიათ სასჯელი შრომაგასწორებით დაწესებულებებში.

3. განთავისუფლდნენ სასჯელისაგან პირნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღკვეთის გარეშე, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურენი, რომლებიც გავზავნილი არიან სადისციპლინო ბატალიონში.

4. განთავისუფლდნენ გადასახლებისა და გა-

სახლების სახის დამატებითი სასჯელის დონსიძიებისაგან პირნი, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ ბრძანებულების 1-ელ და მე-2 მუხლში.


5. წარმოებით შეწყდეს ყველა საგამოძიებო საქმე და სასამართლოების მიერ ჯერ განუხილავი საქმეები იმ დანაშაულობათა გამო, რომლებიც ჩაიდინეს ბრძანებულების 1-ელ მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე, თუ ამ დანაშაულობებისათვის კანონი ითვალისწინებს ხუთ წლამდე ვადით (ჩათვლით) თავისუფლების აღკვეთას ან სასჯელს, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე დანაშაულობათა ისეთი საქმეები, რომლებიც ჩაიდინილია ამ ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ბრძანებულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილი პირების მიერ.

თუ იმ დანაშაულობათა გამო, საქმეებში, რომლებსათვისაც კანონი ითვალისწინებს ხუთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის სასჯელს, და რომლებიც ჩადენილია ბრძანებულების ძალაში შესვლამდე ამ ბრძანებულების 1-ელ მუხლში ჩამოთვლილი პირების მიერ, სასამართლო, თუ საჭიროდ ცნობს მსჯავრდებულს დაუნიშნოს ხუთ წლამდე ვადით (ჩათვლით) თავისუფლების აღკვეთა ან სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, ათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელისაგან.

6. განთავისუფლდნენ შრომაგასწორების დაწესებულებებიდან პირობითად შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე (ჩათვლით) ვადით, გარდა მსჯავრდებულებისა, რომლებსაც ეხებათ ამ ბრძანებულების 1-ლი და მე-2 მუხლები.

7. ამნისტია არ შეუფარდდეთ პირებს, რომლებიც

- ა) მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულობებისათვის, აგრეთვე დანაშაულობებისათვის, რომლებსაც



ითვალისწინებენ „სახელმწიფო დანაშაულობებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-14, მე-14¹, მე-15, მე-16, მე-17, მე-20, 23-ე, 24-ე, და 25-ე მუხლები, „სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები, მე-4 მუხლი, მე-6 მუხლის „ა“ პუნქტი, მე-11 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტები, მე-13 მუხლის „ა“ პუნქტი, მე-19 მუხლის „ა“ პუნქტი, 21-ე მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტები;

ბ) მიჩნეული არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად;

გ) მსჯავრდებული არიან განზრახი მკვლელობისათვის, გარდა იმ მკვლელობისა, რომელიც ჩადენილია ძლიერი სულიერი მღელვარების მდგომარეობაში ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს; სხეულის განზრახვ მიმე დაშავებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დანაშაული ჩადენილია ძლიერი სულიერი მღელვარების მდგომარეობაში ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს;

მილიციის მუშაის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის; დამამძიმებელ გარემოებათა დროს გაუპატიურებისათვის; დამამძიმებელ გარემოებათა დროს ძარცვისათვის; ყაჩაღობისათვის; დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობისათვის, ცეცხლსასროლი იარაღის, ტყვია-წამლის ან ფეთქებადი ნივთიერების მტაცებლობისათვის; ქრთამის აღებისა და ან მექრთამეობის შუამავლობისათვის დამამძიმებელ გარემოებათა დროს; განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის; და-

ნაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანთა ჩათრევისათვის. გასაღების მიზნით ნარკოტიკულ ნივთიერებათა მტაცებლობისათვის, დამზადებისათვის, შექმნისა ან შენახვისათვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის; პირებს, რომლებიც მსჯავრდებული არიან რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსისა 142-ე, 190¹, 190², 190³, 209, 209¹ მუხლებით, 211 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 227 მუხლით და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით;

დ) პირებს, რომლებიც წინათ გაუთავისუფლებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სრულ მოხდამდე ამნისტიით, შეწყალების წესით, პირობით — ვადამდე ან სხვა საფუძველზე, პირობით ჰქონდათ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა შრომაში მსჯავრდებულის სავალდებულო ჩაბმით და კვლავ ჩაიღინეს განზრახი დანაშაული;

ე) პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და ვენერიული დაავადების მკურნალობის სრული კურსი;

ვ) პირებს, რომლებიც ბოროტად არღვევენ რეჟიმს სასჯელის მოხდის დროს.

8. ამ ბრძანებულების მე-6 მუხლის საფუძველზე არ უნდა გათავისუფლდნენ პირნი, რომლებიც ორზე მეტჯერ არიან ნასამართლევი ნებისმიერი დანაშაულისათვის, აგრეთვე გასამართლებული ყოფილან ამ ბრძანებულების მე-7 მუხლში ჩამოთვლილი დანაშაულობებისათვის.

9. ეს ბრძანებულება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კოლპოვნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1972 წლის 28 დეკემბერი.

ქიზიყა ვა მიპოოქრავა

ნაწილი I საქართველოს ნორმის შეფარდების შესახებ

სამართლის ნორმის შეფარდება სამართლის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამ პრობლემას ის მნიშვნელობა აქვს, რომ საზოგადოებრივ პრაქტიკაზე სამართლის შემოქმედება სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში ხორციელდება. უმეტესწილად, სამართლის ნორმის შეფარდებით დასტურდება და მოწმდება სამართლის შემოქმედების ძალა და ხარისხი.

ამ პრობლემის უცოდნელად შეუძლებელია სრულფასოვანი იურიტიკის მომზადება. აღნიშნული თვალსაზრისით უსათუოდ გამართლებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სპეცკურსის სახით სამართლის ნორმის შეფარდების საკითხების სწავლება. უპირატესად ალბათ ამას გულისხმობდა პროფ. ვ. აბაშმაძე, როდესაც თავისი ლექციების საფუძველზე სარეცენზიო ნაშრომი გამოაქვეყნა. მისი ამოცანის გადაწყვეტას ხელს ის უწყობდა, რომ „ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში სამართლის ნორმის შეფარდების პრობლემა, სამართლის ნორმის რეალიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით, სრულადაა დამუშავებული“ (გვ. 53). მართლაც, ამ ნაშრომში აღძრული საკითხები მეტ-ნაკლები სისრულით გაუქმებულია საბჭოთა სამართლისმცოდნეთა (პროფ. ს. ბრატუსი, პროფ. ს. ვილინანსკი, პროფ. პ. ნედაილო, პროფ. თ. იოფე, პროფ. მ. შარგორდსკი, პროფ. ი. სამოშჩენკო და სხვ.) მიერ.

ავტორს სარეცენზიო ნაშრომის გამოქვეყნება საბოლოოდ გადაუწყვეტია ვერმანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამეცნიერო მივლინების შემდეგ. „აქ, — წერს იგი წინასიტყვაობაში, — შესაძლებლობა მოგვეცა სამართლის თეორიის ამ პრობლემასთან დაკავშირებით გაცნობილი თანამედროვე საზღვარგარეთულ იურიდიულ ლიტერატურას, რომლის კრიტიკულმა შესწავლამ და დამუშავებამ ხელი შეუწყო ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი საკითხების გარკვევას“ (გვ. 10).

სამწუხაროდ, წინასიტყვაობაში ნათქვამი არ არის, თუ რა საკითხები იყო ავტორისათვის

„ნაკლებად ცნობილი“ და რა საკითხები გაარკვია. უამისოდ კი ძნელი ხდება იმის გამოყოფა და რეცენზიაში საგანგებოდ აღნიშვნა, რასაც ავტორი გულისხმობს „ნაკლებად ცნობილი საკითხების გარკვევაში“.

სარეცენზიო ნაშრომი აგებულია სპეცკურსის გათვალისწინებული პროგრამით. ამ პროგრამის შესაბამისად ავტორი გვიჩვენებს სოციალური და ტექნიკური ნორმების განსხვავებას, განსაზღვრავს სამართლის ნორმის ცნებას, მიუთითებს მის სპეციფიკაზე.

ნაშრომში დახასიათებულია სამართლის ნორმის სტრუქტურა, მოცემულია ჰიპოთეზის, დისპოზიციისა და სანქციის კლასიფიკაცია, გადმოცემულია სამართლის ნორმების ასახვის ფორმები, მიმოხილულია სამართლის ნორმის რეალიზაციის ფორმები. სამართლის ნორმის რეალიზაციის ფორმებიდან ავტორი განსაკუთრებით ვრცლად ეხება ნორმის შეფარდების სტადიებს, სამართლიანად მიუთითებს ამ სტადიების კავშირსა და განსხვავებაზე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ამა თუ იმ საკითხის განხილვისას გამოვლინებულია ბურჟუაზიულ იურიტიკა შეხედულებების რეაქციული არსი.

როგორც ნაშრომიდან ირკვევა, მისი ავტორი აპირებს კვლავ გააგრძელოს სამართლის ნორმისა და მისი შეფარდების საკითხების კვლევა. ამ გარემოების გამო, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება ნაშრომში შემჩნეული მცდარი ან უზუსტო დებულებების გარშემო მსჯელობა.

ნაშრომის საერთო სათაურია: „სამართლის ნორმის შეფარდება“. თავის მხრივ ნაშრომი ორი თავისაგან შედგება: პირველი — საბჭოთა სამართლის ნორმები (გვ. 11-51) და მეორე — საბჭოთა სამართლის ნორმების შეფარდება (გვ. 52-128). ამრიგად, ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია სამართლის ნორმისადმი და თანაც მისი საერთო სათაური და მეორე თავის სათაური ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ უმჯობესი იყო ნაშრომის სათაური ასეთი ყოფილიყო: „სამართლის ნორმა და მისი შეფარდება“.

ნაშრომის არცერთი თავი პარაგრაფებად არ

* ვ. აბაშმაძე, საბჭოთა სამართლის ნორმების შეფარდება. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1972 წ.

არის დაყოფილი. ეს ეჭვი არ არის, გაუძენ-
 ლებს სტუდენტს გაარკვიოს, სად მთავრდება
 ერთი საკითხისა და სად იწყება მეორე საკით-
 ხის სადმოცემა. საკითხების ასეთი ვაბმული,
 „შუქსევენებელი“ ვადმოცემა ხელოვნურ სირ-
 თულეს ქმნის ცალკეული საკითხების ვაგები-
 სათვის.

საზოგადოდ, ყოველგვარი იურიდიული ნა-
 წარმოები მოქმედ კანონმდებლობას ემყარება.
 ეს ელემენტარული და საყოველთაოდ აღიარე-
 ბული მოთხოვნა განსაკუთრებით შეეხება ისეთ
 ნაშრომს, რომელიც სამართლის ნორმისა და
 მისი შეფარდების საკითხებისადმი მიძღვნილი.
 სამართლის ნორმის სტრუქტურას, მის სახეებს,
 ნორმატიულ აქტებში მისი ასახვის ფორმებს,
 სამართლის ნორმის შეფარდების საკითხებს,
 განმარტების სახეებსა და სერებს, მათს კლასი-
 ფიკაციასა და ანალიზს განსაზღვრავს სწო-
 რედ მოქმედი კანონმდებლობა. მაგრამ ნაშრო-
 მში (არც თუ ისე იშვიათად) რაიმე დებულებ-
 ბის დასადასტურებლად დიდი ხნის წინათ ვა-
 უქმებელი კანონებია მოტანილი. თანაც ტექს-
 ტი ისეა აგებული, თითქოს ეს კანონი დღესაც
 მოქმედებდეს. ასეთი მცდარი თვალსაზრისი
 სტუდენტს შეიძლება იმანაც განუმტკიცოს,
 რომ ნაშრომის სხვა გვერდებზე მაგალითები
 უკვე ამჟამად მოქმედი კანონმდებლობიდან
 არის მოყვანილი. ასეთ ვითარებაში კითხველი
 შეიძლება დაეჭვდეს ავტორის იმ სა-
 ყოველთაოდ ცნობილი დებულების სისწორე-
 ში, რომლის თანახმადაც სამართლის ნორმის
 შემფარდებელმა წინასწარ უნდა დაადგინოს
 „...გააჩნია თუ არა შესაფარდებლად შერჩეულ
 სამართლებრივ ნორმას იურიდიული ძალა, ე. ი.
 ნორმა მოქმედებს თუ არა იმ მომენტში, რო-
 დესაც მას იყენებენ შესაფარდებლად“ (გვ. 67).


სივრცეში საბჭოთა სამართლის ნორმების
 მოქმედების საკითხის ნათელსაყოფად ნაშრო-
 მის ავტორი აღნიშნავს, რომ „მოკავშირე რეს-
 პუბლიკების შინაარსით განსხვავებული სამარ-
 თლებრივი ნორმების შეფარდების წესი ქო-
 ნებრივი ხასიათის ურთიერთობებისადმი დად-
 გენილია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართ-
 ლოს პლენუმის 1931 წლის 10 თებერვლის
 განმარტებაში“ (გვ. 76). ამის შემდეგ ვადმო-
 ცემულია ამ დადგენილების შინაარსი. ავტორს
 უნდა შევახსენოთ, რომ ეს დადგენილება ვა-
 უქმებელია სსრ კავშირის უმაღლესი სასამარ-
 თლოს პლენუმის 1963 წლის 28 ივნისის დად-
 გენილებით. რაც მთავარია, ერთი მოკავშირე
 რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კანონ-
 მდებლობის მეორე მოკავშირე რესპუბლიკაში
 ვამოყენება მოწესრიგებულია სსრ კავშირისა
 და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო
 სამართლის კანონმდებლობის 1961 წლის სა-

ფუძვლების მე-18 მუხლითა და მოკავშირე
 რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექ-
 სების შესაბამისი მუხლებით (იხ. მაგ., საქართვე-
 ლოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის
 მე-8 მუხლი). დასასრულ, პლენუმის 1931 წლის
 10 თებერვლის დადგენილება ტექსტუალურად
 კი არ ასახულა სამოქალაქო სამართლის კანონ-
 მდებლობაში, არამედ მასში მნიშვნელოვანი
 დამატებებია შეტანილი.

ნაშრომში აღწერილობითი დისპოზიციის მა-
 გალითად მოყვანილია საქართველოს სსრ
 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის
 177-ე მუხლით ვათვალისწინებული შემადგენ-
 ლობა. ამ მუხლით ქურდობა განსაზღვრული
 იყო როგორც სხვისი ქონების ფარული ვატა-
 ცება. ავტორი აქაც ისე მსჯელობს, თითქოს
 საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სა-
 მართლის კოდექსი დღესაც მოქმედებდეს (გვ.
 36). ჩვენთვის გაუგებარია, რად დასჭირდა ავ-
 ტორს აღწერილობითი დისპოზიციის მაგალი-
 თად ჯერ კიდევ 1947 წლის 4 ივნისს ვაუქმე-
 ბული კანონის მითითება, როდესაც საქართ-
 ველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის
 კოდექსის ორ მუხლში (91-ე და 150-ე) ქურ-
 დობის შემადგენლობა სწორედ აღწერილობი-
 თი დისპოზიციით არის ვადმოცემული.

მითითებით დისპოზიციად ავტორი თვლის
 საქართველოს სსრ 1923 წლის სამოქალაქო
 სამართლის კოდექსის 70-ე მუხლს, რომელშიც
 თუმცა მოხსენიებული იყო კონფისკაცია,
 მაგრამ არ შეიცავდა ამ ცნების განსაზღვრე-
 ბას. ასეთ შემთხვევაში, ავტორის აზრით, უნ-
 და ვიხელომდგანელოთ საქართველოს სსრ 1926
 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხ-
 ლით, რომელიც კონფისკაციის ცნებას განსაზ-
 ლრავდა (გვ. 36-37). ამ მაგალითით სპეცკურ-
 სის მსმენელმა სტუდენტმა შეიძლება დაასკ-
 ვნას, თითქოს დღეს მოქმედი სამოქალაქო სა-
 მართლის კოდექსი არ შეიცავდეს კონფისკა-
 ციის ცნების განსაზღვრებას. სინამდვილეში
 ახალი სამოქალაქო სამართლის კანონმდებლო-
 ბა (იხ. 1961 წ. საფუძვლების 31-ე მუხლი)
 უშუალოდ განმარტავს კონფისკაციის ცნებას.

60-იანი წლების დასაწყისში ახალი კანონ-
 მდებლობის მიღების შემდეგ სსრ კავშირის
 უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგე-
 ნილებები ზოგიერთი კანონის ავთენტური გან-
 მარტების შესახებ. მაგრამ ასეთი განმარტების
 მაგალითად ნაშრომში დასახელებულია სსრ
 კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944
 წლის 10 ნოემბრის დადგენილება, რომლითაც
 განმარტებულ იქნა 1944 წლის 8 ივნისის ბრძა-
 ნებულება. ამ დადგენილებით 1944 წლის 8



ივლისის ბრძანებულზე არ ვრცელდებოდა ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო არ არსებობდა ქორწინების რეგისტრაციის შესაძლებლობა. ასეთ ვარემოებათა არსებობისას პირს უფლება ჰქონდა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ მიემართა განცხადებით სათანადო ორგანოსათვის ადრე მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (გვ. 91). აქედ იგივე შეცდომაა. ეს საკითხები მოწესრიგებულა 1968 წელს მიღებული ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების მე-14 მუხლითა და მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კოდექსების შესაბამისი მუხლებით (იხ. მაგ., საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 31-ე მუხლი).

ზედმეტად მიგვაჩნია სხვა ანალოგიური მაგალითების მოყვანა. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორმა ამ შემთხვევაში ახალი კანონმდებლობის მიღებამდე გამოცემული ლიტერატურით ისარგებლა და გამოეპარა დროში კანონის მოქმედების პრინციპი.

წაშრომის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში სამართლის ნორმის შეფარდება განიხილება როგორც სილოგიზმი (დიდი წინამძღვარი, მცირე წინამძღვარი და დასკვნა). მისი შეხედულებით, ამით „ბურჟუაზიული მეცნიერები ცდილობენ მიჩქმალონ სამართლის კლასობრივი ხასიათი, რაც ყველაზე უფრო ნათლად იჩენს თავს სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში. თანამედროვე ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერების (ხაზი ჩვენია — გ. ტ.) მიზანია საქმე ისე წარმოგვიდგინოს, რომ სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი სამართლის ნორმის შემფარდებლის კლასობრივი მოსაზრებებით კი არ არის განსაზღვრული, არამედ თითქმის ეს გადაწყვეტილება ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი შესაბამისი სამართლებრივი ნორმის შეფარდებიდან“ (გვ. 9).


ამ საკითხს ისევ უბრუნდება ავტორი 93-ე გვერდზე. აქ იგი წერს: „სამარწველო კაპიტალიზმის ეპოქაში (ხაზი ჩვენია — გ. ტ.), როდესაც ბურჟუაზია თავისი მდგომარეობის განმტკიცებას ცდილობდა და მისი სამართლებრივი იდეოლოგია ჯერ კიდევ ბურჟუაზიული დემოკრატიის პრინციპებს ემყარებოდა, იურიდიული მეცნიერება სამართლის ნორმის შეფარდებას განიხილავდა როგორც ფორმალურ-

ლოგიკურ ოპერაციას, რომელიც ემყარება სასამართლო სილოგიზმის წესებს... სასამართლო სილოგიზმის თეორია, რომელიც სამარწველო კაპიტალიზმის ეპოქაში სამართლის ნორმის შეფარდების საფუძველს წარმოადგენდა, იმ მოსაზრებას ემყარება, რომ მოსამართლს პიროვნებას და მის მართლშეგნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქმის გადაწყვეტისას, მოქმედი სამართლის სისტემა სრულია, მასში მოიძებნება ყველა ნორმა, რომელიც საჭიროა იურიდიული მნიშვნელობის ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად და მოსამართლეს ისე დაარჩენია, კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას მექანიკურად შეუფარდოს სამართლის სისტემიდან შერჩეული ნორმა“ (გვ. 93).

ავტორის ამ ორ დებულებას შორის წინააღმდეგობა შეიმჩნევა. პირველი დებულებით თანამედროვე ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერება სილოგიზმის თეორიას იმ მიზნით იყენებს, რომ სამართლის ნორმის შეფარდება მკაცრ ლოგიკურ პროცესად წარმოადგინოს და ამით შენიღბოს სამართლის ნორმის შეფარდების კლასობრივი ხასიათი. მეორე დებულებით სილოგიზმის თეორია სწორედ სამარწველო კაპიტალიზმის ეპოქაში იყო სამართლის ნორმის შეფარდების საფუძველი. სტუდენტი შეიძლება დამოუკიდებლად ვერ გაერკვეს ამ წინააღმდეგობაში და მცდარი დასკვნები გამოიტანოს.

ავტორმა, არსებითად, მთელი ყურადღება სილოგიზმის თეორიის უარყოფით მხარეზე გადაიტანა. უდავოა, რომ ამ თეორიის გამოყენების დასაბუთებით ბურჟუაზიული თეორეტიკოსები ცდილობდნენ მოსამართლის მოღვაწეობის სოციალურ-კლასობრივი ხასიათის შენიღბვას. მათი მიზანია იყო ბურჟუაზიული კანონის ფეტიშიზაცია. მათთვის არ არსებობდა საკითხი — სამართლიანია თუ უსამართლო კანონი. ისინი კანონს კლასობრივი მოსაზრებების გამო მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით განიხილავდნენ.

ჩვენი აზრით, ავტორი სწორად არ მოიქცა, როდესაც არ აღნიშნა სილოგიზმის თეორიის დადებითი მხარეც. თავისთავად სასამართლოს გადაწყვეტილების სილოგიზმად წარმოადგენა არ შეიცავს რაიმე ოდიოზურს. სილოგიზმი ფორმალური ლოგიკის ერთ-ერთი წესია, რომელიც სასამართლოს მოღვაწეობაშიც გამოიყენება. მარქსიზმის კლასიკოსებს ბევრჯერ მიუთითებიათ, რომ ფორმალური ლოგიკა ლოგიკის დაბალი საფეხურია, რომ იგი სრულიადაც არ არის უაზრობა. ამიტომ სილოგიზმის ლოგიკური ფორმა, სასამართლოს მოღვაწეობასთან კავშირში, არ არის ისეთი დაბრ-



კოლება, რომელიც უსათუოდ უნდა უარყოფთ, რათა გამოვავლინოთ სასამართლოს მოღვაწეობის სოციალური შინაარსი, პოლიტიკასთან, იდეოლოგიასთან, სოციალურ ფსიქოლოგიასთან მისი კავშირი.

სილოგიზმის თეორია ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში XIX საუკუნის პოზიტივიზმის ნაყოფია. პოზიტივიზმა ხელი შეუწყო ბურჟუაზიული კანონიერების პრინციპის შემოღებასა და დამკვიდრებას. სამართლებრივი პოზიტივიზმი, რომელიც გარკვეული მოდიფიკაციებით დღესაც განაგრძობს არსებობას ბურჟუაზიულ სამართლებრივ იდეოლოგიაში, საერთო წესისამებრ, უფრო ხელსაყრელია კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებისათვის, ვიდრე თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერების უკიდურესად რეაქციული მიმდინარეობები — თავისუფალი სამართლის სკოლა, სოციოლოგიური და რეალისტური მიმართულებები. ეს მიმართულებები უარყოფს კანონის მნიშვნელობას და, მაშასადამე, კანონის ლოგიკური განმარტების აუცილებლობას და წინა პლანზე აყენებს მოსამართლის პიროვნებას, მის შეუზღუდავ მიხედვლებას, ე. წ. ცხოვრებისეულ სამართალს, როდესაც მოსამართლე თვითონ იქცევა კანონმდებლად.

თვით სარეცენზიო ნაშრომში საბჭოთა სამართლის ნორმის შეფარდების ზერხები ფორმალური ლოგიკის წესების მიხედვით არის კლასიფიცირებული. სტუდენტს, ბუნებრივია, დაებადება კითხვა: რა განსხვავებაა, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ სასამართლოსა და, მეორე მხრივ, საბჭოთა სასამართლოს მიერ ამ წესების გამოყენებაში? ამ საკითხზე ავტორს პირდაპირ უნდა გაეცა პასუხი. საქმეს ვერ შევლის მისი ასეთი დებულება: „მოსამართლე, ტრადიციული შეხედულებისაგან განსხვავებით, საქმეს წყვეტს იმის მიხედვით, თუ როგორ აქვს გაგებული აბსტრაქტული სამართლებრივი ნორმის მოთხოვნები კონკრეტული ფაქტების მიმართ“ (გვ. 94). საქმე ის არის, რომ საბჭოთა სასამართლო, ბურჟუაზიული სასამართლოსაგან განსხვავებით, არ იფარგლება მხოლოდ ფორმალური ლოგიკის წესების გამოყენებით. ფორმალური ლოგიკა სინამდვილის შეცნობის მხოლოდ განსაზღვრული ელემენტარული საფეხურია. სამართლის ნორმის ფორმისა და შინაარსის კავშირის პრობლემა არ შეიძლება გადაწყდეს ფორმალური ლოგიკის საშუალებებით. მისი გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიებით, რომელთა მიხედვითაც სამართლებრივი ურთიერთობის შეცნობა უნდა მოხდეს მის წარმოშობ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან კავშირში. ეს იმას ნიშნავს, რომ

სამართლის ნორმის განმარტებისა და საერთოდ შეფარდების დროს საბჭოთა სასამართლო მის პოლიტიკურ მნიშვნელობასა და სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში ადგენს. აქედან ნათელია, რომ საბჭოთა სასამართლოს მოღვაწეობა დაკავშირებულია ფორმალური ლოგიკისა და დიალექტიკური ლოგიკის ერთდროულ გამოყენებასთან.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებაში სამართლის ნორმის არსობისა თუ ჯერარსობის გამო აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. ამის მიზეზად ავტორი იმას თვლის, რომ ბურჟუაზიულმა იურიდიულმა მეცნიერებამ, მეთოდოლოგიური საფუძვლის უქონლობის გამო, ვერ შესძლო ამ პრობლემის გადაჭრა (გვ. 23-24). ავტორი აქ არაფერს ამბობს იმ დისკუსიის შესახებ, რომელიც საბჭოთა და ევროპის სოციალისტური ქვეყნების ფილოსოფიურ ლიტერატურაში მიმდინარეობს ნორმის არსობისა და ჯერარსობის საკითხებზე (სხვათაშორის, ამ დისკუსიაში ქართველი ფილოსოფოსებიც მონაწილეობენ).

31-ე და 32-ე გვერდებზე ავტორი სწორად ვერ გადმოცემს იმ მეცნიერთა შეხედულებას, რომლებიც მიუღებლად თვლიან განუსაზღვრელ ჰიპოთეზას. საქმე ეხება სქოლოში დამოწმებულ ნაშრომს საბჭოთა სამართლის ზოგადი თეორიის შესახებ («Общая теория советского права», под редакцией С. Н. Брагуса и И. С. Самошенко, 1966, стр. 198). ამ ნაშრომის ავტორთა აზრით, ყველა შემთხვევაში არ შეიძლება ვილაპარაკოთ განუსაზღვრელ ჰიპოთეზაზე, როდესაც კანონში ნათქვამია „აუცილებლობის შემთხვევაში“, „საჭიროების მიხედვით“ და ა. შ. საბჭოთა კანონმდებლობა, — აღნიშნავენ ისინი, — შეიცავს ასეთი ფორმულების მქონე ნორმებს და მათი არსებობა საესეებით გამართლებულია. აზრი საესეებით ნათელია. სარეცენზიო ნაშრომში მათი ეს აზრი შეცვლილია და ასეა წარმოდგენილი: „მიუხედავად ამისა, რაც შემთხვევებში, როცა ნორმა შეიცავს მითითებას „აუცილებლობის შემთხვევაში“, „საჭიროებისამებრ“, და ა. შ., შეიძლება მაინც ვილაპარაკოთ განუსაზღვრელი ჰიპოთეზის მქონე სამართლებრივი ნორმების შესახებ. საბჭოთა კანონმდებლობაში მოიპოვება ბევრი ასეთი ფორმულირების მქონე სამართლებრივი ნორმა და ამგვარი ნორმების არსებობა საესეებით გამართლებულია“ (გვ. 32).

როგორც დავინახეთ, პროფ. ბ. ბრატუნისა და პროფ. ი. სამოშენკოს რედაქციით გამოცემულ ნაშრომში სწორედ იმის საწინააღმდეგოა ნათქვამი, რასაც მათ პროფ. ვ. აბაშმაძე

მიაწერს. ისინი განუსაზღვრელი ჰიპოთეზების არსებობას კი არ თვლიან გამართლებულად, არამედ ისეთი ჰიპოთეზებისას, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად მიაგავს ასეთ ჰიპოთეზებს, ხოლო ფაქტურად კონკრეტული ჰიპოთეზებია.

ქვეყნის წესის მოცულობის მიხედვით ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი **კაზუალური** დისპოზიცია (გვ. 35). კაზუალური დისპოზიცია არ არსებობს. არსებობს **კაზუსტიკური** დისპოზიცია. კაზუალური შეიძლება იყოს სამართლის ნორმის განმარტება და არა დისპოზიცია.

ავტორი ზუსტად არ ჩამოთვლის სისხლის-სამართლებრივ სანქციებს. იგი წერს: „სისხლისსამართლებრივი სანქციებია: თავისუფლების აღკვეთა, უფლებების ჩამორთმევა, ქონების კონფისკაცია, სამუშაოდან განთავისუფლება, სისხლის სამართლებრივი სანქციის განსაკუთრებული სახეა სიკვდილით დასჯა“ (გვ. 40).

საკმარისი იყო ავტორი გაცნობოდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლს, რომ ასეთი შეცდომა თავიდან აეცდინა. მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობს უფლებების ჩამორთმევას (ასეთ სასჯელს ითვალისწინებდა საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი). „სამუშაოდან განთავისუფლების მაგიერ“ უნდა თქმულიყო: „თანამდებობიდან დათხოვნა“. სასჯელთა ავტორისეულ ნუსხაში, 23-ე მუხლის სააწინააღმდეგოდ, გამოტოვებულია სასჯელები: გადასახლება, გასახლება, გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა, საზოგადოებრივი გაიციხვა, სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა, მშობლის უფლებების ჩამორთმევა.

ნაშრომში სანქციები დაყოფილია ორ ჯგუფად: განსაზღვრულ და შედარებით განსაზღვრულ სანქციებად. ავტორს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი სანქციის ეს სახეები. მოკუსმინოთ მას: „განსაზღვრული სანქცია ზუსტად მიუთითებს იძულების იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს სამართლის ნორმის დამრღვევის მიმართ. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლით დადგენილი ნორმა შეიცავს განსაზღვრულ სანქციას: „ხუთდღიანობა, ე. ი. მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და საზოგადოების აშკარა უზატიკვემლობას გამოხატავს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ორმოცდაათ მანე-

თამდე, ან საზოგადოებრივი გაიციხვით“ (გვ. 41). დარებით განსაზღვრულ სანქციებში მითითებულია მხოლოდ საზღვრები, რომლის მიხედვითაც კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები განსაზღვრავენ იძულებითი ღონისძიების ზომას კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით“ (გვ. 41).

ესეც შეცდომაა. ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საერთო წესისამებრ, განსაზღვრულ სანქციებს კი არ ითვალისწინებს, არამედ შედარებით განსაზღვრულ სანქციებს, ან მინიმუმით ან მაქსიმუმით ან ერთდროულად მინიმუმისა და მაქსიმუმის მითითებით.

როგორც ჩანს, ავტორი იმან შეაცდინა, რომ საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილით ხუთდღიანობისათვის დაწესებულ სანქციაში მითითებულია შესაბამის სასჯელთა უმაღლესი ფარგალი (თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე, გამასწორებელი სამუშაოები ერთ წლამდე, ჯარიმა ორმოცდაათ მანეთამდე). აქედან მან დაასკვნა, რომ ხუთდღიანობისათვის მხოლოდ ამ სასჯელთა მაქსიმუმის დანიშვნა შეიძლება. ავტორს უნდა მოეგონოთ, რომ ასეთ შემთხვევებში, ე. ი. როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით გათვალისწინებული არ არის სასჯელის უდაბლესი ფარგალი (მინიმუმი), მაშინ ამ უკანასკნელის დასადგენად უნდა მივმართოთ იმავე სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს. მაშასადამე, 228-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის უდაბლესი ფარგალი არის სამი თვე (მუხ. 25-ე), გამასწორებელი სამუშაოებისა — ერთი თვე (მუხ. 28), ჯარიმისა — ათი მანეთი (მუხ. 30). სწორედ ამ ფარგლებში უნდა მოხდეს სასჯელის კონკრეტული ზომის შერჩევა და დანიშვნა.

ნაშრომის მეორე თავი შეიცავს სამართლის ნორმის შეფარდების ორ, სხვადასხვა განსაზღვრებას. პირველი განსაზღვრება ასეთია: „სამართლის ნორმის შეფარდება წარმოადგენს კომპეტენტური ორგანოების სახელმწიფოებრივ მბრძანებლურ, მორგანიზებელ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას საბჭოთა სამართლის საფუძველზე“ (გვ. 59).

ახლა მეორე განსაზღვრება: „ამრიგად, სამართლის შეფარდება ეწოდება სამართლებრივ ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლასა და მოსპობას იმ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე და მის შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ მოცემულ ურთიერთობებს“ (გვ. 62).

ალარ გამოვლდებით ამ ორი განსაზღვრების შედარებას, მაგრამ მაინც გვინდა აღვ-

ნიშნით, რომ მეორე განსაზღვრება იმდენად ზოგადია, რომ არ ჩანს სამართლის ნორმის შეფარდების, როგორც სამართლის რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმის, სპეციფიკა. განა მოქალაქის მიერ საკუთარი უფლების განსორციელება არ წარმოშობს სამართლებრივ ურთიერთობას? ალბათ ავტორიც დაგვეთანხმება, რომ მოქალაქის ასეთი მოქმედება სამართლის შეფარდებას არ ნიშნავს. სამართლის ნორმის შეფარდების უფლება, როგორც თვითონვე აღნიშნავს, მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებსა და ზოგჯერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ.

ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენის დროს. ავტორის აზრით, „...სამართლის ნორმის შემფარდებელი უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ სამართლის ნორმებით. რაც შეეხება სხვა სოციალური ნორმების მოთხოვნებს, ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენისას მათ მნიშვნელობა არა აქვთ: ფაქტები უნდა შეფასდეს მხოლოდ და მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით“ (გვ. 66).

ამრიგად, ნაშრომის ავტორი კატეგორიულად უარყოფს სოციალური ნორმებისა და, მათსა და, ზნეობრივი ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებას. როგორც ჩანს, ავტორს დაავიწყდა სამართალში შეფასებითი ნიშნების არსებობა. მაგრამ ეს ხომ ფაქტია. ავიღოთ სულ მარტივი მაგალითი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის დისპოზიციამ ნათქვამია: „მუხრაცხოვრა, ესე იგი პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამოხრება, გამოხატული უწყისი ფორმით“. რას გულისხმობს კანონმდებელი პატივსა და ღირსებაში? რას ნიშნავს „უწყისი ფორმა“? პასუხი ამ კითხვაზე შეიძლება გავცეთ მხოლოდ ზნეობრივი ნორმების მომარჯვებით. ასევე გამოიყენება ზნეობრივი ნორმები, ვთქვათ, ქმედობაში ხელიგნობის შემადგენლობის ნიშნების დადგენისას („უხეში“, „აშკარა უპატივცემულობა“, „ციინიში“, „თავხედობა“).

სტუდენტს გაუძნელებდა კანონის ავთენტური განმარტების ცნების ვაგება, როდესაც იგი ნაშრომის 91-ე და 95-ე გვერდებს ერთმანეთს შეაღარებს. 91-ე გვერდზე ნათქვამია: „ავთენტური ახსნა-განმარტება მიზნად ისახავს სამართლის ნამდვილი აზრის დადგენას. ავთენტური ახსნა-განმარტება არ აღგენს სამართლის ახალ ნორმას. იგი ემყარება მხოლოდ არსებულ კანონს, ამიტომაც ავთენტური ახსნა-განმარტების აქტისა და იმ სამართლებრივი ნორმის მოქმედების საზღვრები, რომლის ახსნა-განმარტებასაც ვახდენთ, ერთმანეთს ემთხვევა“. 95-ე გვერდზე კი ვკითხულობთ: „დამახასიათებელია ისიც, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამარ-

თლოს პლენუმი უფლებამოსილია მოახდინოს მხოლოდ მოქმედი კანონების ახსნა-განმარტება. მას არა აქვს უფლება მოგვეცეს ახსნა-განმარტება ისეთი წესების შესაქმნელად, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული და კანონის აზრისაგან არ გამომდინარეობს. მაგრამ თუკი ცხადი გახდება, რომ ასეთი წესების შექმნის გარეშე მოქმედი კანონის ახსნა-განმარტება შეუძლებელია, ამ შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმს უფლება აქვს წარდგინებით შევიდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ამა თუ იმ კანონის ახსნა-განმარტების თაობაზე“.

ამრიგად, ავტორის პირველი სწორი დებულებით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში კანონის განმარტებისას არ აღგენს ახალ ნორმას, ემყარება არსებულ კანონს. ავტორის მეორე, უკვე არასწორი განსაზღვრებით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს კანონის განმარტებისას უფლება აქვს ისეთი წესები შექმნას, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის და კანონის აზრისაგან არ გამომდინარეობს. ნამდვილად კი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში კანონის ავთენტური განმარტების დროს არ სცილდება განსამარტავი კანონის აზრს. თუ ეს საჭირო აღმოჩნდება, მაშინ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში კანონს კი არ განმარტავს, არამედ ბრძანებულებას მიიღებს ახალი ნორმის შემოღების შესახებ.

ნაშრომში ჩამოთვლილია ლოგიკის წესები, რომლებიც კანონის განმარტებისას გამოიყენება (გვ. 101). ამ წესების ათვისება ძნელი იქნება სტუდენტისათვის, რადგან წესები ილუსტრირებული არ არის მაგალითებით.

იურიდიულ ლიტერატურაში განმარტების ხერხების შესახებ სხვადასხვა მისაზრებაა გამოთქმული. ავტორთა ნაწილის აზრით, არსებობს სამართლის ნორმის განმარტების მხოლოდ ორი ხერხი: გრამატიკული და ლოგიკური. ამის გამო ისინი ნორმის სისტემატურ და ისტორიულ განმარტებას ლოგიკურ განმარტებას აკუთვნებენ. ავტორთა მეორე ნაწილი ნორმის სისტემატურ და ისტორიულ განმარტებას განმარტების დამოუკიდებელ ხერხებად თვლის (სხვა შეხედულებებს ჩვენ აქ აღარ ვეხებით). სარეცენზიო ნაშრომიდან ჩანს, რომ მისი ავტორი ავტორთა ამ მეორე ჯგუფის თვალსაზრისს ემხრობა, რადგან ნორმის განმარტების ხერხებად თვლის: გრამატიკულ, ლოგიკურ, სისტემატურსა და ისტორიულ-პოლიტიკურ განმარტებას (გვ. 97). და მაინც ნაშრომში ნორმის სისტემატური განმარტების ცნება ფაქტობრივად უსაგნოდ არის წარმოდგენილი. ეს რომ ასეა, ავტორის შემდეგი დებულებით დასტურდება: „ამრიგად, სამართლის ნორმის ლოგიკური ახს-



ნა-განმარტება მიზნად ისახავს ნორმის შინა-არსის დადგენას სამართლის სისტემაში ცალკეულ ნორმებს შორის არსებული ურთიერთკავშირის საფუძველზე. საბჭოთა სამართალი წარმოადგენს სამართლის ერთიან სისტემას. საბჭოთა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრავენ ყველა სამართლებრივი ნორმის მუდმივ ურთიერთკავშირსა და მათ დანიშნულებას ცალ-ცალკე. ეს კავშირი იმაში გამოიხატება, რომ სამართლის ერთი ნორმა ავსებს მეორის შინაარსს, ზღუდავს ან აფართოებს მისი მოქმედების ფარგლებს. ლოგიკური ასსნა-განმარტება ემყარება სამართლის სისტემაში არსებულ ლოგიკურ კავშირებს...“ (გვ. 102).

ავტორის ამ დებულების შედეგად თავისთავად უგულებელყოფილია სამართლის ნორმის სისტემატური განმარტება, როგორც განმარტების ცალკე ხერხი, რადგანაც იგი ნორმათა შორის ლოგიკური კავშირების გაუთვალისწინებლად წარმოუდგენელია.

ნაშრომის 106-ე გვერდზე ავტორი წერს: „მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ იმ სიტყვების შინაარსობრივი მოცულობა, რომლითაც გადმოცემულია შესაფარებლად შერჩეული სამართლებრივი ნორმა, შეცვლილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოებების გამო იზღუდება ან ფართოვდება, რაც სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს იწვევს. ამიტომ მოცულობის, ანუ სამართლებრივი შედეგების მიხედვით განასხვავებენ სამართლის ნორმის შეზღუდვით და განვრცობით ასსნა-განმარტებას.“

ამ დებულებიდან ჩანს, რომ, ავტორის აზრით, სამართლის ნორმის შეზღუდვითი და განვრცობითი განმარტება საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოებების შეცვლის შედეგია. ეს დებულება ზუსტი არ არის. ნორმის განვრცობით ან შეზღუდვით განმარტებას უმეტეს წილად ის უდევს საფუძვლად, რომ იმავეთვე, კანონის გამოცემისთანავე მისი ტექსტი ადეკვატურად ვერ ასახავს კანონმდებლობის ნებას. სხვათაშორის, ამას თვით ავტორის მაგალითებიც ადასტურებს.

კანონის განვრცობითი განმარტების ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 33-ე მუხლი (გვ. 107). ეს მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს. თუმცა ამ მუხლით არ არის მოცემული შემამსუბუქებელ გარემოებათა ამომწურავი ნუსხა, იგი მაინც არ გამოდგება კანონის განვრცობითი განმარტების მაგალითად. ამ მუხლში პირდაპირ არის აღნიშნული,

რომ „სსრკელის დანიშვნის დროს სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს აგრეთვე შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც კანონში არ არის აღნიშნული“.

ასეთი დათქმის პირობებში კანონის განვრცობით განმარტებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან თვით კანონი იძლევა შემამსუბუქებელ გარემოებათა გაფართოების შესაძლებლობას. აქ კანონის ტექსტი ვიწრო არ არის კანონის აზრზე.

ნაშრომში შედარებით ვრცლად არის დახასიათებული სამართლის ისტორიული სკოლა, მისი ერთ-ერთი ფუძემდებლის სავინის შეხედულებები. ამის შემდეგ ნათქვამია: „ამ თეორიის მომხრე ფ. რეგელსბერგი ამტკიცებდა, რომ დადებით სამართალში ყოველთვის მოიპოვება პასუხები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა კითხვაზე. დადებითი სამართლისათვის უცნო თავისთავში ე. წ. სამართლებრივი“ სივრცის არსებობა. ამ მოსაზრებამ გამოხატულება ჰპოვა საფრანგეთში ნაპოლეონის მიერ შედგენილ კოდექსში“ (გვ. 113). მაგრამ ფ. რეგელსბერგის (და არა ფ. რეგელსბერგის) მოსაზრება ვერ აისახებოდა ნაპოლეონის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსში, რადგან ეს ბურჟუაზიული იურისტი XX საუკუნის მეორე ნახევარში (1821-1896 წ.წ.) მოღვაწეობდა.

დასასრულ, ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის შესახებ. ნაშრომის ცალკეული გვერდების სქოლიოებში ციტატები გერმანულ ავტორთა ნაშრომებიდან უთარგმნელად არის მოტანილი. ამასთან, სქოლიოებში უთარგმნელად ისეთი ციტატებიც არის მოთავსებული, რომლებიც არ შეიცავს რაიმე ორიგინალურსა და განსხვავებულს. მაგალითად, ნაშრომის 64-ე გვერდზე სქოლიოში არის ციტატა თანამედროვე გერმანელი ბურჟუაზიული სამართლისმცოდნის დ. ჰორნის წიგნიდან — „გამოკვლევები სამართლის ნორმის შეფარდებისას ლოგიკის როლის შესახებ“ (Studien zur Rolle der Logik Dei der Anwendung des Gesetzes. 1959). ჰორნი ამბობს, რომ სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში უნდა განვასხვავოთ სამი სტადია: 1) საქმის გარემოებების დადგენა, 2) შესაბამისი სამართლებრივი ნორმის გამოჩვენება და განმარტება და 3) ფაქტის მიყენება ნორმისადმი. ეს მოსაზრება იმდენად ტრივიალური და თანაც ტრადიციულია, რომ სრულიადაც არ იყო საჭირო ამ ციტატის სიტყვისიტყვით გადმოცემა.

შეიძლება სანიშნოდ მეორე მაგალითიც მოვიყვანოთ. ნაშრომის 97-ე გვერდზე ვკითხულობთ: „სამართლის ნორმის ასსნა-განმარტება

იმ მეთოდებისა და ხერხების მიხედვით, რომლებსაც იყენებენ სამართლის ნორმის შინაარსის დასადგენად, შემდეგ სახეებად იყოფა: გრამატიკული, ლოგიკური, სისტემატური და ისტორიულ-პოლიტიკური. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ამ ხერხებზე და სამართლის ნორმის შეფარდების დროს მათი გამოყენების შესაძლებლობაზე პირველად მიუთითა სავინა¹. ამავე სქოლიოში ავტორი გერმანულად გვაცნობს ციტატას სავინის ნაშრომიდან „თანამედროვე რომაული სამართლის სისტემა“ („System der heutigen römischen Rechts. Bd I Berlin, 1840). სავინი აქ ამასვე ამბობს, რაც ქართულ ტექსტშია.

როგორც ანოტაციაშია აღნიშნული, სარე-

ცენზიო ნაშრომი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა შეიძლება დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოიყენოს. ამიტომ ასეთი ნაშრომისათვის სხვა ენებზე რეზიუმეს დართვა მიინციდამაინც საჭირო არ იყო, მით უფრო, რომ რუსული რეზიუმე 4 გვერდისაგან შედგება, ხოლო გერმანული — 13 გვერდისაგან.

ასეთია ჩვენი მოსაზრებები ვ. აბაშაძის ნაშრომში შემჩნეული უსწორო და უზუსტო დებულებების შესახებ. ჩვენი კეთილი სურვილია ეს მოსაზრებები ავტორმა გაითვალისწინოს სამართლის ნორმისა და მისი შეფარდების საკითხების შემდგომი კვლევისას.

ბ. ტყეშელიაძე.

სასარგებლო სახელმძღვანელო საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგად ნაწილი¹

ქართულ იურიდიულ ლიტერატურას შეემატა პროფ. ბ. ფურცხვანიძის კიდევ ერთი სახელმძღვანელო საბჭოთა სამართლის ზოგად ნაწილი.

სარეცენზიო ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, მაგრამ იგი დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე საქართველოს სსრ საგამოძიებო, პროკურატურის, სასამართლო ორგანოებისა და იურიდიული სამსახურის სხვა დარგის მუშაებს.

ნაშრომში, რომელიც ქართულ ენაზე სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში სახელმძღვანელოს შედგენის პირველი ცდაა, გაუშუქებულია საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ყველა ძირითადი საკითხი მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან ნაჩვენებია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის თავისებურებანი.

სარეცენზიო ნაშრომში გამოყენებულია უკანასკნელ წლებში რუსულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოები, აგრეთვე ცალკეულ ავტორთა მონოგრაფიები, გამოკვლევები სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხებზე. იგი კარგი ქართულით არის დაწერილი. მისასალმებელია, რომ ავტორი შრომაში იყენებს და ანალოზს უკეთებს არა მარტო საქართველოს სსრ საგამოძიებო ორგანოებისა და სასა-

მართლოს პრაქტიკის მასალებს, არამედ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკასაც.


სახელმძღვანელო ოცი თავისაგან შედგება. პირველ თავში „საბჭოთა სისხლის სამართლის ცნება, საგანი, ამოცანა, პრინციპები და სისტემა“; ლაპარაკია საბჭოთა სისხლის სამართლის არსზე. იმაზე თუ რა არის მისი ამოცანა, რით გამოიხატება მისი არსის განმსაზღვრელი პრინციპები, როგორია მისი სისტემა და სხვ.

ნაშრომის მეორე თავში ავტორი ეხება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის ცნებას, მის მნიშვნელობას და ძირითად ნიშნებს, საბჭოთა სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობის წარმოშობასა და განვითარებას, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის სტრუქტურასა და სისხლის სამართლის კანონის ახსნა-განმარტებას.

უტრადღებას იმსახურებს ნაშრომის მესამე თავი — „საბჭოთა სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები“.

სარეცენზიო ნაშრომის მეოთხე თავში — „დანაშაულის ცნება“ — ლაპარაკია დანაშაულის კლასობრივ ბუნებაზე და დანაშაულის ნიშნებზე საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით. ამ თავში ავტორი იძლევა დანაშაულის როგორც მატერიალურ ისე ფორმალურ გაგებას, კერძოდ,

¹ პროფ. ბ. ზ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, (სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1971 წ.



ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დანაშაულის მატერიალურ განსაზღვრას საფუძვლად უდევს ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის დანაშაულად მიჩნევა, რომელიც თავისი შინაარსით საშიშია საბჭოთა საზოგადოებისათვის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის. ხოლო ქმედობის აკრძალვას კანონით, დანაშაულად ისეთი ქმედობის მიჩნევას, რაც აკრძალულია და დასჯადია კანონით, ავტორი სწორად მიიჩნევს დანაშაულის ფორმალურ განსაზღვრებად, რაც დამახასიათებელია ბურჟუაზიული სისხლის სამართლისათვის.

ნაშრომის შემდეგ თავებში ლაპარაკია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასა და მის საფუძველზე — დანაშაულის შედგენილობაზე, დანაშაულის ობიექტზე, დანაშაულის ობიექტურ მხარეზე.

სარეცენზიო წიგნის მერვე თავში განხილულია დანაშაულის სუბიექტის ცნება. ავტორი ამავე თავში დაწვრილებით იხილავს დანაშაულის სუბიექტისათვის დამახასიათებელ ორ ნიშანს — შერაცხლობასა და გარკვეული ასაკის მიღწევას; აქვე ლაპარაკია დანაშაულის სპეციალურ სუბიექტზე. დანაშაულის სპეციალური სუბიექტის დახასიათებისას ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ გარდა საერთოდ სუბიექტისათვის, სვალებულო ნიშნების (შერაცხადობა, გარკვეულ ასაკს მიღწევა), სუბიექტი აღჭურვილი უნდა იყოს განსაკუთრებული თვისებებითაც, რომელთა გარეშე შეუძლებელია მოცემული დანაშაულის ჩადენა. ასეთი თვისებების მქონე სუბიექტი ავტორის მიერ მიჩნეულია დანაშაულის სპეციალურ სუბიექტად.

ავტორი თანმიმდევრულად განიხილავს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, გარემოებებს, რომლებიც გამოიწვევენ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, დანაშაულის ჩადენის სტადიებს, თანამონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში.

მეცამეტე თავში განხილულია სასჯელის ცნება და მიზნები. სასჯელს ავტორი განმარტავს როგორც სახელმწიფო იძულების განსაუკუთრებულ ღონისძიებას, რომელიც სახელმწიფოს სახელით კანონის საფუძველზე სასამართლოს მიერ შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს. ამავე თავში ლაპარაკია იმ ნიშნებზე, რომლებიც ახასიათებს სასჯელს და სასჯელის მიზნებზე, კერძოდ, სპეციალურ და ზოგად პრინციპზე.

მეცხრეულ დონეზეა დაწერილი სარეცენზიო სახელმძღვანელოს XV თავი. ამ თავში განხილულია სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები; სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი

გათვალისწინებული უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა; სასჯელის დანიშვნა რამოდენიმე დანაშაულის ჩადენის დროს; სასჯელის დანიშვნა რამოდენიმე განაჩენით; სასჯელის ვადების განსაზღვრის წესი და წინასწარი პატიმრობის ჩათვლასთან დაკავშირებული საკითხები.

ავტორი სწორად შენიშნავს, რომ პირობითი მსჯავრი არის სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის განთავისუფლების განსაკუთრებული ფორმა. პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნების საკითხის გარკვევისას პროფ. ბ. ფურცხვანიძე დასაბუთებულად აკრიტიკებს მთელ რიგ ავტორთა შეხედულებებს და გამოთქვამს თავის მოსაზრებებს ამა თუ იმ სადავო საკითხზე.

მომდევნო XVII თავში — „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლება. ნასამართლობის გაქარწყლება და მოხსნა“ — განხილულია ისეთი საკითხები, როგორც: სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ცნება და სახეები; სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის დაკარგვის გამო ან თუ დამნაშავე აღარ არის საზოგადოებრივად საშიში; სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემის და დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემასთან დაკავშირებით; სასჯელისაგან ვადაძვე პირობით განთავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით; ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება; ნასამართლობის გაქარწყლება (დაფარვა) და მოხსნა, ამნისტია და პატიება.

სარეცენზიო სახელმძღვანელოს XVIII თავში პროფ. ბ. ფურცხვანიძე დაწვრილებით იხილავს სამედიცინო და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების ცნებას, სამედიცინო ხასიათის იძულებითს ღონისძიებებს და არასრულწლოვანთა მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების საკითხებს.

ნაშრომის XIX თავი მიძღვნილია საზღვარგარეთის სოციალისტური სახელმწიფოების სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ძირითადი საკითხების განხილვისადმი.

ავტორი ამ თავში სოციალისტური სახელმწიფოების სისხლის სამართლის ზოგად დახასიათებასთან ერთად იძლევა დანაშაულის ცნების გაგებას სოციალისტური სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. აქვეა ლაპარაკი სასჯელისა და მისი გა-

მოყენების მნიშვნელობაზე, ნაჩვენებია ცალკეული სოციალისტური ქვეყნების, სისხლის სამართლის კანონმდებლობის თავისებურებანი.

სარეცენზო სახელმძღვანელოს ბოლო თავი ეძღვნება კაპიტალისტური სახელმწიფოების სისხლის სამართლის დახასიათებას. სახელდობრ, ლაპარაკია ბურჟუაზიული სისხლის სამართლის რეაქციულ არსზე, სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ თეორიებსა და მათ კლასობრივ დანიშნულებაზე.

გვიდა ხაზი გავუსვათ იმ ვარემოებებს, რომ ზემოაღნიშნულ საკითხებს პროფ. ბ. ფურცხვანიძე, მართალია შრომაში მოკლედ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას სარეცენზო ნაშრომის მოცულობა იძლევა, გადმოგვცემს, მაგრამ ყველა ძირითადი, საკვანძო საკითხი მის მიერ სათანადო დონეზეა გაშუქებული.

ზემოაღნიშნულ ღირსებებთან ერთად სარეცენზო ნაშრომში, ჩვენი აზრით, შეიმჩნევა არაარსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი, სახელდობრ:

ავტორის მიერ მეოთხე თავში (გვ. 58-73), სადაც ლაპარაკია დანაშაულის ცნებაზე, მოცემული არ არის, თუ რას ნიშნავს საზოგადოებრივი საშიშროების ცნება. კარგი იყო ავტორს დანაშაულის ცნებისათვის დამახასიათებელი ნიშნების განხილვისას ეთქვა თუ რას ნიშნავს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება. ასეთი მოთხოვნა მით უფრო გამართლებულია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სახელმძღვანელოსთან. მართალია, დასახელებულ თავში ავტორი ახასიათებს საზოგადოებრივ საშიშროებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ ეს საკმარისი არ უნდა იყოს.

კარგი იქნებოდა საკითხების განმეორებათა

თავიდან ასაცილებლად ავტორს გაეერთიანებინა სახელმძღვანელოში V, VI, VII, VIII და IX თავები და დაესათურებინა იგი დანაშაულის შედგენილობად. საქმე იმაშია, რომ შრომის მეხუთე თავში—„სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და მისი საფუძველი — დანაშაულის შედგენილობა“ — ძირითადად ლაპარაკია დანაშაულის ობიექტზე, ობიექტურ მხარეზე, სუბიექტზე და სუბიექტურ მხარეზე. ყველა ეს საკითხი შემდეგ მეორდება სარეცენზო შრომის მომდევნო VI (დანაშაულის ობიექტი), VII (დანაშაულის ობიექტური მხარე), VIII (დანაშაულის სუბიექტი) და IX (დანაშაულის სუბიექტური მხარე) თავებში.

როგორც ჩანს ავტორმა უკრიტიკოდ გამოიყენა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სასწავლო პროგრამის სისტემა, რაც არასწორად მიგვაჩნია. ზოგიერთი საკითხი შრომაში ძალიან მოკლედაა გადმოცემული, სახელდობრ, მოტივისა და მიზნის საკითხი, მიზეზობრივ კავშირზე არსებული თეორიები და სხვ.

ავტორი საერთოდ არ იყენებს და არ ასახელებს ქართულ ენაზე არსებულ ნაშრომებს, მაშინ როცა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხებზე ასეთი ნაშრომები არც თუ ისე ცოტაა.

აღნიშნული ნაკლოვანებები ვერ ამცირებს პროფ. ბ. ფურცხვანიძის ნაშრომის—„საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ — მნიშვნელობას. იგი უდავოდ სარგებლობას მოუტანს ამ დისციპლინის შემსწავლელ სტუდენტებსა და იურიდიული სამსახურის პრაქტიკოს მუშაეებს.

პროფ. ა. ფალიაშვილი,
დოც. ზ. წულაძე.

გაეოქლევა საჭმომ სახელმწიფოს კონომიური უნაქმევის უესახე*

სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური როლის გარკვევა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ განვითარებას, უდიდეს როლს ასრულებს კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

შექმნაში, სოციალისტურ ურთიერთობათა კომუნისტურად გარდაქმნაში.

სოციალიზმის მტრები ყოველნაირად ცდილობენ დაამახინჯონ სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური როლი, შეამცირონ ჩვენი სახელმწიფოს სამეურნეო-ორგანიზატორული მოღვაწეობის მნიშვნელობა.

ამიტომ ყოველი ახალი ნაშრომი, რომელიც

* Д. Ю. Цивадзе. Развитие экономических функций Советского государства, Юридическая литература, М., 1970.

თანამედროვე პირობებში სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური როლის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითად შესწავლას ეძღვნება, ბუნებრივია, დიდ ინტერესს აღძრავს. ამ თემაზე უკანასკნელ წლებში მთელი რიგი საყურადღებო მონოგრაფიებია შექმნილი. მათ შორის აღსანიშნავია ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ჯ. ცივაძის ნაშრომი — „საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციების განვითარება“.

ნაშრომში დამუშავებულია სოციალისტური სახელმწიფოს აქტუალური პრობლემები, ნაჩვენებია მისი თვისობრივად ახალი, შემოქმედებითი როლი სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოთხოვნადაც რეალიზაციაში. წიგნში გადმოცემულია სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციების განხორციელების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, განხილულია ხელმძღვანელობის ეკონომიური და ადმინისტრაციული მეთოდების ურთიერთობა.

სარეცენზიო წიგნში მოცემულია ეკონომიკის სფეროში სოციალისტური სახელმწიფოს როლის თანამედროვე ბურჟუაზიული და რევოზიონისტული თეორიების საფუძვლიანი კრიტიკა. ავტორი დამაჯერებელი არგუმენტებით ამხელს ბურჟუაზიული თეორიების ანტიმეცნიერულ, რეაქციულ არსს.

ავტორს ღრმად შეუსწავლია ამ თემაზე შექმნილი ეკონომიური, იურიდიული და ფილოსოფიური ლიტერატურა. სარეცენზიო ნაშრომში აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც ასეთ ნაშრომებს წარედგინება.

მონოგრაფიაში გამოკვლეულია საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური მოღვაწეობის ყველა ძირითადი ასპექტი, როგორც წარმოების, ასევე მიმოქცევის სფეროში, რაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე არ გვხვდებოდა. ამასთანავე ბევრი საკითხი მთელი სისრულით არის შესწავლილი. ასეთებს მიეკუთვნება: სოციალისტური სახელმწიფოს ზედნაშენური და ბაზისური თვისების შესახებ გამართული დისკუსიის განვითარება და ანალიზი; ეკონომიური ფუნქციების შინაარსი და კლასიფიკაცია; საკითხი ეკონომიური და ადმინისტრაციული მეთოდების შეხამების შესახებ; გამოკვლევა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციების განვითარების; მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სფეროში, აგრეთვე საწარმოო საშუალებებისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიმოქცევის სფეროში და ბევრი სხვ. ყველა მათ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ნაშრომში დასმული პრობლემები განხილულია კომპლექსურად.

სარეცენზიო ნაშრომის დასაწყისში ავტორი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური როლის

დახასიათებასთან ერთად არკვევს მათ მნიშვნელობას სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების დროს. ამასთან სახელმწიფოს ეკონომიურ ფუნქციებს იხილავს საინტერესოდ.

სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ზემოქმედება ეკონომიკაზე, როგორც ეს სწორედ არის აღნიშნული ნაშრომში, უნდა განხორციელდეს სოციალიზმის ობიექტურ-ეკონომიური კანონების მოთხოვნადაც შესაბამისად. ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ავტორს აქვე უფრო ღრმად და ყოველმხრივად დაეხასიათებინა სოციალისტური საკუთრება.

შრომის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ობიექტურ-ეკონომიური კანონების დახასიათების დაკავშირება საბჭოთა სახელმწიფოს პრაქტიკულ მოღვაწეობასთან. ავტორი განიხილავს სოციალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს. აქვე გადმოცემულია ავტორის პოლემიკა ცნობილ ეკონომისტებთან. ავტორი აქ ამჟღავნებს ერუდიციასა და პრობლემების ყოველმხრივ ცოდნას, დამოუკიდებელი და ორიგინალური მსჯელობის უნარს. შეიძლება არ დავთანხმობთ ავტორის მიერ წამოყენებულ ყველა დებულებას, მაგრამ მათი მეცნიერული დონე უეჭველია.

ნაშრომში მოტანილი ციფრობრივი მონაცემები ნათლად მეტყველებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყოველდღიურ მზრუნველობაზე, მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

სარეცენზიო ნაშრომში გამოთქმულია მრავალი საინტერესო აზრი, მიღებული დასკვნები და განვითარება მართებულია. განსაკუთრებით კარგად არის ნაჩვენები ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების როლი ეკონომიკის სახელმწიფოებრივ მართვაში.

საყურადღებოა სოციალისტური ეკონომიკის მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრობლემების ავტორისეული განხილვა.

ჩვენს ეკონომიურ, იურიდიულ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში ცენტრალიზაციის აუცილებლობის შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ ისმება კითხვა, სად არის საზღვარი ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის? რომელი კრიტერიუმით უნდა ვიხელმძღვანელოთ ასეთი საზღვრების დადგენისას? სარეცენზიო ნაშრომის ავტორს ვ. ი. ლენინის ნაშრომებზე დაყრდნობით, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე უდავოდ სწორი დასკვნები გამოაქვს.

სოციალისტური ეკონომიკის მართვის განვითარებაში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალი-

ლიზციის შერწყმის პრობლემა თანამედროვე პირობებში ბევრი მიზეზის გამო გართულდა. ბუნებრივია, ეს თავის მხრივ აროთლებს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ ფუნქციებს. ყოველივე ამას ავტორი მოხდენილად უკავშირებს მართვის მეცნიერების განვითარების აუცილებლობას. ჩვენი აზრით, უსაფუძვლო არ იქნებოდა ავტორის უფრო მეტი ყურადღება დაეთმოთ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო კადრების მხრივ ამ მეცნიერების ღრმად დაუფლებას.

ავტორის უფრო ღრმად უნდა დაესაბუთებინა თუ რატომ გაატარა ჩვენმა სახელმწიფომ სამეურნეო რეფორმა.

ეკონომიური რეფორმის გატარების პირველი შედეგების განხილვისას ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი არსებული სიძნელეების ანალიზს. მართლაც, ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც გადასული არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, პრაქტიკულ მუშაობაში აწყდებიან გარკვეულ წინააღმდეგობებს. მართვის შემდგომი სრულყოფის უზრუნველსაყოფად ინტერესმოკლებული არ იქნებოდა ბევრი რაციონალური წინადადებისა და რეკომენდაციების უფრო ფართოდ ჩვენება, მითუმეტეს. ასეთ ფართოდ და კომპლექსურ მეცნიერულ გამოკვლევაში.

სარეცენზიო ნაშრომში საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული ანტიმარქსისტული — რეაქციული თეორიები. ავტორი სწორად მოიქცა, როცა წიგნში საგანგებო თავი დაუთმო ბურჟუაზიული ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მასალებში ყურადღება გამახვილებულია იდეოლოგიური ბრძოლის მზარდ როლზე. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა არა თუ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს მუდმივ პოლიტიკურ და იდეურ ბრძოლას მტრული, ანტიმარქსისტული და რეაქციული თეორიების წინააღმდეგ. საჭიროა კვლავ მტკიცედ ვიბრძოლოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, რევიზიონიზმის, ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. ამიტომაც მისასალმებელია წიგნში მოცემული დამაჯერებელი, არგუმენტირებული კრიტიკა საშიში რეაქციული „თეორიებისა“. ასეთი „თეორიებია“: „კონვერგენცია“ და „საბაზრო სოციალიზმი“. ამ თეორიების ანტიმეცნიერული არსი და მათი მავნეობა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკისათვის სარეცენზიო ნაშრომში საკმაოდ საფუძვლიანად არის დასაბუთებული.

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ჯ. ცივაძის წიგნი იმის კარგი მაგალითია, რომ აუცილებელია სოციალისტური სახელმწიფოს თეორიის პრობლემატური საკითხები კომპლექსურად იქნეს შესწავლილი.

ჯ. ცივაძის წიგნი დახმარებას გაუწევს ეკონომისტებს, იურისტებს, სტუდენტებს, სახელმწიფო აპარატისა და სამეურნეო დარგის მუშაკებს, რომლებიც დაინტერესებული არიან საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციების განვითარებისა და სრულყოფის პრობლემების შესწავლით.

პროფ. ნიკ. წამბეთელი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ 1972 წლის 12 ოქტომბერს განიხილა ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის შემოწმების შედეგები.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ იურიდიულმა კონსულტაციამ ვაუჭარობესა მუშაობა. კონსულტაცია მუშაობს კვარტალური გეგმის შესაბამისად. დამაკმაყოფილებელია მუდმივმოქმედი იურიდიული სემინარის მუშაობა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასა და პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერებას.

იურიდიული კონსულტაციის გამგის ს. ბეგლარიშვილის მიერ ამ საკითხებზე წაკითხულია 15 ლექცია-მოსხენება.

საბჭოთა კანონმდებლობის აქტუალურ პრობლემებზე ადვოკატების მიერ რაიონის წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში 1972 წლის 8 თვის მანძილზე წაკითხულია 104 ლექცია-მოსხენება; მოეწყო 15 კითხვა-პასუხის საღამო, რომელსაც დაესწრო 6470 კაცი.

იურიდიულ კონსულტაციაში 1972 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე ნაწარმოებია 1854 საქმე. აქედან სამოქალაქო სამართლის საქმეა 986, ხოლო სისხლის სამართლის საქმე — 868.

ადვოკატთა შორის საქმეები საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულების 38-ე მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად ნაწილდება. 1854 საქმიდან პერსონალური მოთხოვნით ნაწარმოებია 434 საქმე ანუ 23 პროცენტი, ხოლო არაპერსონალური მოთხოვნით — 1420.

ამავე პერიოდში იურიდიული კონსულტაცია მიიღო 786-მა მოქალაქემ. მათ შორის ზეპირი — უფასოდ 122-მა მოქალაქემ, ხოლო ფასიანი განცხადება შეუდგინეს 664 მოქალაქეს.

1971 წლის ფულადი შემოსავალი ნაცვლად 80000 მანეთისა 94356 მანეთს შეადგენს, ე. ი. გეგმა 117,9 პროცენტით არის შესრულებული. 1972 წლის 8 თვის ფულადი შემოსავლის გეგმა, ნაცვლად 5666 მანეთისა შესრულებულია 66723 მანეთით, ანუ 115 პროცენტით.

კონსულტაციაში რეგულარულად ტარდება ადვოკატთა საერთო კრებები, სადაც განიხილება გეგმით გათვალისწინებული საკითხების შემოწმების შედეგები.

იურიდიულ კონსულტაციაში შექმნილია ბიბ-

ლიოთეკა, რომელშიც აღრიცხულია 235 დასახელების იურიდიული, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, აგრეთვე საქართველოს სსრ მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, ქრონოლოგიური კრებულები, კოდექსები და იურიდიული ჟურნალები.

ბიბლიოთეკაში საკანონმდებლო მასალა დარგობრივად არის დალაგებული, რაც ადვოკატებს შესაძლებლობას აძლევს საჭირო შემთხვევაში ისარგებლონ ამ მასალებით.

კარგად არის დაყენებული იურიდიული კონსულტაციის საქმის წარმოება. შემოღებულია დებულებით გათვალისწინებული წიგნები, ჟურნალები, ხელშეკრულების ბარათები.

იურიდიული კონსულტაციის გამგე ამხ. ბეგლარიშვილი არის ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების 26 კომისიის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. ამხანაგური სასამართლების დასახმარებლად გამოყოფილია ადვოკატთა ჯგუფი 10 კაცის შემადგენლობით. ისინი სისტემატურად უწევენ დახმარებას ამხანაგურ სასამართლოთა თავმჯდომარეებსა და წევრებს.

იურიდიულ კონსულტაციაში დაცვის ჰონორარის გადახდევინება ხდება „ადვოკატთა შრომის ანაზღაურების წესის შესახებ“ ინსტრუქციის ზუსტი შესაბამისობით. გადიდებული ჰონორარის განსაზღვრისას ხელშეკრულების ბარათებში ადვოკატები უჩვენებენ საქმის სირთულის მონაცემებს.

იურიდიულ კონსულტაციას აქვს 120 კვ. მეტრი ფართობის კეთილმოწყობილი ბინა (ორი ტელეფონით). შექმნილია ყველა პირობა ადვოკატთა ნორმალური მუშაობისათვის, თვითნებულ ადვოკატს მიჩნეული აქვს სამუშაო ადგილი.

26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს ს. ბეგლარიშვილს მუშაობის კარგად დაყენებისათვის საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ორჯერ გამოუცხადა მადლობა.

კოლეგიამ იურიდიულ კონსულტაციის მუშაობის კარგად დაყენებისათვის, ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიულ კონსულტა-

ციის გამგეს ს. ბეგლარიშვილს გამოუცხადა მადლობა.

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის მუშაობის მდიდარი გამოცდილების გასაზიარებლად, კოლეგიამ დად-

გენილება დაუგზავნა საქართველოს სსრ ყველა რაიონისა და ქალაქის იურიდიულ კონსულტაციას და აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმებს.

* * *

იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა სიღნაღის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის მუშაობის შემოწმების შედეგები.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სიღნაღის სახელმწიფო სანოტარო კანტორამ გააუმჯობესა მუშაობა.

საანგარიშო პერიოდში იურიდიული მომსახურება გაწეული აქვს 2335 საწარმოსა და დაწესებულებას, ორგანიზაციასა და მოქალაქეს, რის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებულია 1449 მანეთი შემოსავალი.

შესწავილი და განზოგადებულია მნიშვნელოვან სანოტარო მოქმედებათა პრაქტიკა, რაც გამოყენებულია სანოტარო კანტორის მუშაობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

ნოტარიუსი ყოველკვარტალურად უტარებს ინსტრუქტაჟს რაიონის 14 სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაებს სანოტარო მოქმედებათა სწორად შესრულებისათვის.

ნოტარიული წესით დამოწმებული დოკუმენტები რეესტრების შესაბამის გრაფაში გასაგებად, სრულად არის აღრიცხული. საქმის წარმოება დაყენებულია მოქმედი ინსტრუქტაჟის მე-5 მუხლის დაცვით.

მოქალაქეებისთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს სსრ კავშირის ფინანს-

თა სამინისტროს 1965 წლის 26 აპრილის № 150 ბრძანებით გამოცემული ინსტრუქციის შესაბამისად. სტატისტიკური და ფინანსური ანგარიშები საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში დადგენილ ვადებში იგზავნება, კარგად არის დაყენებული საკანონმდებლო-საენობარო მუშაობა, პერიოდულად წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის კოდიფიცირება.

სამემკვიდრეო მოწმობების გაცემა და სახლების გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმება წარმოებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104, 238 და 556 მუხლების დაცვით. ამდღებულია მოქალაქეთა მომსახურების კულტურის დონე.

სახელმწიფო ნოტარიუსი რ. დონჯაშვილი მკაცრად იცავს შრომის დისციპლინას და სისტემატურად იმდღებს იდეურ დონეს და საქმიან კვალიფიკაციას.

კოლეგიის დადგენილებით სახელმწიფო სანოტარო კანტორის მუშაობის კარგად დაყენებისათვის, სიღნაღის რაიონის ნოტარიუსს რ. დონჯაშვილს გამოეცხადა მადლობა.

მუშაობის მდიდარი გამოცდილების განსაზოგადებლად კოლეგიის დადგენილება დაეგზავნა საქართველოს სსრ ყველა რაიონისა და ქალაქის სახელმწიფო სანოტარო კანტორებს.

ინფორმაცია

პროკურატორის მუშაობა საქონის რესპუბლიკური შიკრება

გამართა საქართველოს სსრ პროკურატორის მუშაობა აქტივის რესპუბლიკური კრება.

მოხსენება — „რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების ამოცანები სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განამტკიცებლად, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, აღამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად მშრომელთა კოლექტივების ინიციატივის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების საქმეში“ — გააკეთა საქართველოს სსრ პროკურატორმა ა. ტაკიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შინაპარტიული და საერთო-სახალხო დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, განხილვის თავისუფლების, მშრომელთა წინადადებებსა და შენიშვნებზე ზუსტი და ოპერატიული რეაგირების შემდგომი განვითარება სახელმწიფო, პარტიული და შრომის დისციპლინის განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მომხსენებლობისა და წესრიგის ყოველგვარი შესუსტება წარმოშობს სოციალისტური საკუთრების დანაკარგების, გაფუჭების, განიევებისა და გატაცების, სპეკულაციის ხელისშემწყობ ნიადაგსა და წინამძღვრებს, კერძომესაკუთრულ ტენდენციებს.

პროკურორი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ვალდებულია ყოველდღიურად იბრძოდოს სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მოქალაქეთა მიერ კანონებისა და სახელმწიფო დისციპლინის მკვეთრად დაცვისათვის, საპროკურორო ზედამხედველობის დროულად და სწორად გატარებით ავლენდეს კანონის დარღვევებს და ატარებდეს ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის, ამასთან, პრინციპულად უნდა აყენებდეს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, ვინც კანონისადმი უპატივეცემლობას იჩენენ.

რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონის პროკურორები არ აკმაყოფილებენ თავიანთ წინაშე დასახულ ამოცანებს. ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში გამოვლინდა და ამჟამადც ვლინდება სოციალისტური საკუთ-

რების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების ფაქტები, და სოციალისტური კანონების სხვა დარღვევები, იმას მოწმობს, რომ ადგილზე პროკურორები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას.

ასეთ მუშაობას, თუკი არ გარდაქმნიან მუშაობას ღრევიანდელ მოთხოვნილების შესაბამისად, მოუხდებათ პროკურატურის რიგების დატოვება.

სამართალდარღვევათა და დანაშაულთა შემცირება დიდად არის დამოკიდებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სწორ ორგანიზაციაზე.


დანაშაულთა შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი სასამართლო დასჯითი პოლიტიკის გატარებას, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა დამნაშავე ისჯებოდეს კანონის შესაბამისად.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარებას სათავეში უნდა ედგას პროკურორი. იგი უნდა იყოს ორგანიზატორი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაააქტიურა მუშაობა რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილებაში. ბევრ სამინისტროსა და უწყებაში შემოწმდა სოციალისტური საკუთრების დაცვის, კანონიერების შესრულებისა და უსაჩინო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვების მდგომარეობა.

შემოწმების შედეგად გამოვლინებულ სერიოზულ დარღვევებზე იმსჯელეს სათანადო ორგანოებმა და დამნაშავენი მკაცრად დაისჯნენ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ზედამხედველობის ხაზით ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების, ქალაქების და რაიონების პროკურორები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ, რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილება კი ჯეროვან დახმარებას არ უწყევს მათ.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ პროკურატურის ორგანოები სუსტად იბრძვიან სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენენ იმ თანამდებობის



პირთა მიმართ, ვინც არ ასრულებს კანონს. უფრო მეტიც: არის ფაქტები, რომ სოციალისტური საკუთრების გამტაცებლები არ ისჯებიან კანონის შესაბამისად, ხოლო პროკურორები ამასვე რეაგირებას არ ახდენენ.

საერთო ზედამხედველობის ხაზით მუშაობა არც სხვა ქალაქებსა და რაიონების პროკურატურებში დგას სათანადო დონეზე. ბევრ ქალაქსა და რაიონში საპროკურორო მუშაობის ეს დარგი ფორმალურად არსებობს ან ნაკლებად ეფექტურია. ასეა, მაგალითად, გვეჯეკორის (პროკურორი შ. ქაჯაია), წულუკიძის (პროკურორი გ. ხურცილავა), ქარელის (პროკურორი პ. ციციშვილი) და სხვა რაიონებსა და ქალაქებში, სადაც პროკურორებმა ან არ იციან კანონის მოთხოვნა, ანდა უპრინციპობას იჩენენ.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება შრომის და ტექნიკური უსაფრთხოების წესების მარეგულირებელ კანონთა დაცვას, განსაკუთრებით დიდა სამრეწველო ტრავმატიზმის რიცხვი სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამთამადნო მრეწველობაში.

საჭიროა რაიონების და ქალაქების პროკურორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომისა და უსაფრთხოების დაცვას და იმ პირებს, ვინც უხეშად არღვევს უსაფრთხოების წესებს, პასუხი აგებინონ კანონის მთელი სიმკაცრით. ამ საქმეში ქალაქების ტყიბულის (ამხ. გოგოლაძე), წიათურის (ამხ. მიროტაძე), ტყვარჩელისა (ამხ. გოგია) და ახალციხის რაიონის (ამხ. ნადირაძე) პროკურორების მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი.

სერიოზული ნაკლოვანებებია საგამომიებო მუშაობაში. დიდა იმ საქმეთა რიცხვი, რომლებიც პროკურატურას უბრუნდება დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, საქმეთა დიდ რაოდენობაზე უსაფუძვლოდ ირღვევა საგამომიებო ვადები, ჯერ კიდევ ბევრია სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა და აღძრული საქმეების უკანონოდ შეწყვეტის მაგალითები; აღმოფხვრილი არ არის მოქალაქეთა უსაფუძვლოდ პასუხისმგებში მიცემისა და დაპატიმრების ფაქტები.

ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არა აქვთ სავარჯის რაიონის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ლენინგორის რაიონის პროკურატურებს.

საქმეთა გამოძიების ვადებს ვერ იცავენ თბილისის პროკურატურის ორგანოები, აგრეთვე ჩოხატაურის რაიონის პროკურატურა (პროკურორი ბერძენიშვილი).

საპროკურორო მუშაობის ერთ-ერთი ყველა-

ზე მნიშვნელოვანი უბანი სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობაა.

სასამართლოშიც, სადაც წინასწარი გამოძიების მიერ ჩატარებული მუშაობა უნდა შეფასდეს და საბოლოო სახე მიიღოს, აუცილებლად უნდა ჩანდეს პროკურორის როლი და გაისმოდეს მისი მართალი სიტყვა. პროკურორი სასამართლო ტრიბუნას მარტო დამნაშავეის მიმართ სასჯელის განსაზღვრისათვის კი არ უნდა იყენებდეს, არამედ ღრმა ანალიზს უნდა უკეთებდეს მომხდარ დანაშაულსა და მისი წარმოშობის მიზეზებს, დამსწრე საზოგადოებისათვის პროკურორის საბრალდებო სიტყვას უდიდესი პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

უნდა ვალიართ, რომ ვერ ვახორციელებთ ეფექტურ საპროკურორო ზედამხედველობას სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი, არა ვართ დაკავითი პოლიტიკის მიმართულების მიმართ, ყოველთვის დროულად, საკასაციო ვადებში არ პროტესტდება სასამართლოს უკანონო განაჩენები, უხარისხო პროკურორების მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხი, მოუმზადებელი მიდიან ისინი პროცესზე. ექცევიან სხვების გავლენის ქვეშ. ეს ერთნაირად ეხება როგორც რაიონების და ქალაქების პროკურატურებს, ისე ცენტრალური აპარატის მუშაკებსაც.

რაიონის და ქალაქის პროკურორები იშვიათად სწავლობენ დასჯით პრაქტიკას, არ უკეთებენ ანალიზს საქმეთა განხილვის დროს დაშვებულ შეცდომებს. ამ მხრივ რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალური აპარატის საქმიანობაც სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს.

აღსანიშნავია აგრეთვე ქუთაისის პროკურატურის სუსტი მუშაობა, რისთვისაც პროკურორს ამხ. ედენტს, მის თანაშემწეს ამხ. ჩიჩელაშვილს და გამოძიებელს ამხ. ლაღიძეს დედოფთ მყაცარი დისციპლინარული სასჯელები. ანალოგიური მდგომარეობა იყო ლანჩხუთის რაიონში, იქ რაიონის პროკურორი კეკელიძე მოხსნეს თანამდებობიდან.

კაღრების სწორად შერჩევის, აღზრდისა და დაწინაურებისათვის რესპუბლიკის მასშტაბით სერიოზული ღონისძიებები ტარდება. ეს პროკურატურის სისტემასაც ეხება. მაგრამ მაინც არსებობენ სერიოზული ნაკლოვანებები. ამის მაგალითია ლენინის რაიონის ყოფილი პროკურორის მთიულიშვილის საქციელი. იმის ნაცვლად, რომ ამხანაგ მთიულიშვილს, როგორც პროკურორს, ხმა აემალღებინა იმ უკანონობათა წინააღმდეგ, რაც დაუშვეს ამ რაიონში კოლექტიური მეზღვების საფარით სოფ.

ცხვარიჭამიაში აგარაკების მშენებლობის საქმეში, მან უმოქმედობა გამოიჩინა ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ, რის გამოც მთიულიშვილი გათავისუფლებულია თანამდებობიდან.

მექრთამეობა უმძიმესი დნაშაულია. იგი სახელს უტეხს საბჭოთა აპარატს და ძირს უთხრის კანონიერების გატარებას. პროკურატურა მოვალეა იბრძოდეს ყოველგვარი დანაშაულისა და, განსაკუთრებით კი, მექრთამეობის წინააღმდეგ. ის თავის რიგებში ვერ უნდა იტანდეს მექრთამეობას. მაგრამ პროკურატურის სისტემაში კვლავაც არიან მექრთამეები. მაგალითად, სულ ახლახან გორის რაიონის პროკურორის თანაშემწემ ნადირაშვილმა ქრთამი აიღო 800 მანეთის რაოდენობით, იმისათვის, რომ გაუპატიურების ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეეწყვიტა ტერზიევის მიმართ. ყოველივე ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პროკურატურის სხვა მუშაკები — სლანოვს, ავქოფაშვილი და მინაძე ამხილეს და მსჯავრიც დადეს ქრთამის აღებისათვის.

როგორც ჩანს, მექრთამეობის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებებები საქმარისი არ არის და საჭიროა ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად პროკურატურის სისტემაში არსებული, სერიოზული ნაკლოვანებებისა, რესპუბლიკის პროკურატურის ძირითადი ბირთვი ჯანსაღი და შრომისმოყვარეა. მუშაობის სწორი ორგანიზაციის პირობებში მას შეუძლია იმ ამოცანების გადაჭრა, რაც დღევანდელ ეტაპზე პროკურატურის მუშაკთა წინაშე დგას, და რომ ისინი თავიანთ გადამწყვეტ სიტყვას იტყვიან რესპუბლიკაში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

მომხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ქ. თბილისის პროკურორმა შ. ლეჟავამ, აფხაზეთის ასსრ პროკურორმა მ. არგუნმა, აჭარის ასსრ პროკურორმა დ. ბაჯელიძემ, ქ. ქუთაისის პროკურორმა ა. ჟღენტმა და სხვებმა.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე გ. ზაუტაშვილი.

მ. ბაქრაძე

კომპიუტერული ტექნიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით

გამართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა.

„სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციების მშრომელთა კოლექტივების ინიციატივის თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. მაისურაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსმა ნ. გაგლოვმა, ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ალ. იობიძემ,


ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ შ. სარაძემ, მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ აკ. ადანაიამ, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ/შ ნ. დავითაიამ, აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრმა ს. მაკარაძემ, საქართველოს კვ. ცვ. აღმინისტრაციულ განყოფილების ინსტრუქტორმა ა. აბესაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. ლორიამ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსმა დ. იანოვსკიმ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ აკ. პაიჭაძემ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ შ. კურასკუამ.

სამართლებრივი სფეროს პროპაგანდის ღეგადა

საქართველოს კვ. გურჯაანის რაიკომმა, საქართველოს სსრ იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, საქართველოს სსრ პროკურატურამ, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, გზეთების „სოფლის ცხოვრების“, „ლენინის გზით“ და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციებმა, საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულმა ორგანიზაციამ სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავის გამო 1972 წლის 13 დეკემბრიდან 23 დეკემბრამდე რაიონში ჩატარეს საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ღეგადა.

ღღის წესრიგში მრავალი აქტუალური საკითხი იღვა. გურჯაანის მშრომელებმა ბევრი საინტერესო მოხსენება და საუბარი მოისმინეს. ამ ღღი ღონისძიების მთავარი აზრი და მიზანი იყო მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში საზოგადოების მონაწილეობა, მშრომელთა აქტივობის გაზრდა იმ ნაკლოვანებათა და დანაშაუართა აღმოფხვრისათვის, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში კიდევ არსებობს. ამ მიზნით თერთმეტი ღღის განმავლობაში გურჯაანის რაიონის მშრომელებმა ბევრი ლექცია და მოხსენება მოისმინეს საინტერესო თემებზე: „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა“, „საზოგადოების როლი დამანაშაუებობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“, „ვაჭრობა, მომხმარებელი და კანონი“, „გავაძლიეროთ ბრძოლა ღოთობისა და ხულიგნობის წინააღმდეგ“, „ბრძოლა არასრულწლოვანთა დნაშაულის აღვეთისთვის“, „ქორწინება და ოჯახი“ და მრავალი სხვა.

საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის მიზნით ასეთი ღღიძიებები ჩატარდა ღმანისში, კასპში, ხაშურში, ქუთაისში, ხელვაჩაურში, ბათუმში და სოხუმში.



„სოცდის“ თათბირი სემინარზე

1972 წლის 22 დეკემბერს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობასთან არსებული სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო თემატურმა საბჭომ და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ჩატარეს თათბირ-სემინარი თემაზე: „საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და მოვალეობანი“.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს და სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამეც-

ნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ს. ჯორბენაძემ.

დოცენტ ვ. ლორიას მოხსენების თემა იყო: „საბჭოთა მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები“.

იმპერიალისტური ქვეყნების იდეოლოგიური დივერსიის ფორმებსა და მეთოდებზე ილაპარაკი შ. ზარდალიშვილმა.

დასასრულ დოც. მ. ლეკვეიშვილმა ისაუბრა პიროვნების ხელშეუხებლობისა და ღირსების დაცვაზე.

საკორდინაციო-მეთოდური საბჭოს სხდომა

1972 წლის 29 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდური საბჭოს სხდომა, რომელიც გახსნა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ზ. რატიანმა**.

„რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ ილაპარაკა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ **უ. ობოლაძემ**.

სხდომაზე მოსმენილი იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო უნივერსიტეტების საბჭოს სწავლული-მდივნის **ბ. ბაკურაძის** მოხსენება „რესპუბლიკის სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტებში გასული სასწავლო წლის შედეგები და 1972-73 სასწავლო წლის ამოცანების შესახებ“.

საკოორდინაციო მეთოდური საბჭოს 1973 წლის სამუშაო გეგმის შესახებ ილაპარაკა სა-

მართლის პროპაგანდის სამართლებლო უფროსმა **შ. პაპიძემ**.

აღნიშნული საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ **გ. ბიწაძემ**, მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ჯ. ლომაშვილმა**, საქინფორმის დირექტორის მოადგილემ **ვ. გელაშვილმა**, საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ **ი. თოდუამ**, პროფ. **გ. ინწკირველმა**, დოც. **ვ. ლორიამ**, ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა **ზ. გემაზაშვილმა**, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილემ **ა. ჩავლიშვილმა**.

განხილულ საკითხებზე საბჭომ მიიღო სათანადო რეკომენდაციები.

ნ. ლომიძე,
საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი


ქურსებზე მესაღინაობა მანასლა

მეცადინეობას შეუდგა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მსმენელთა მეშვიდე ნაკადი.

კურსებზე მოწვეული იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების აღმასრულებლები. მეცადინეობა გახსნა საქართველოს სსრ

იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ზ. რატიანმა**.

სწავლის პერიოდში მსმენელებს ლექციები წაუკითხეს: შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა **გ. ინწკირველმა**, **ნ. წერეთელმა**, **გ. ერემოვმა**, **ნ. ლომისაძემ**, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლო ორგა-



წლებში სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა ვ. ბახტაძემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. კობახიძემ, იუსტიციის სამინისტროს კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ს. ჯაფარიძემ, ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილემ, იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ზაჩიკმა და სხვებმა.

მსმენლებმა მოისმინეს აგრეთვე ლექციები

სკკ XXIV ყრილობის მასალებზე, საერთაშორისო მდგომარეობაზე.

სასწავლო გეგმაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პრაქტიკულ მეცადინეობას.

აღმასრულებელთა ჯგუფის გამოშვებას დაეწყო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. ი. მაისურაძე, რომელმაც კურსოსმენილებს გადასცა მოწმობები.

კურსები განავრცობს მუშაობას.

მ. კუსალიაშვილი,

მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი.

ქარბი წაშლვა

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ნაყოფიერად მუშაობს საზოგადოება „ცოდნას“ სამართალმცოდნეობის მუდმივმოქმედი ლექტორიუმი, რომელსაც ინსტიტუტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრის დოცენტი ვ. ყვანია ხელმძღვანელობს.

ლექტორიუმი ხელს უწყობს სტუდენტთა მართლშეგნების ამაღლებას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის საზოგადოებრიობის დარაზმვას.

მრავალმხრივია ლექტორიუმის მუშაობა. მისი ჩამოყალიბების დღიდან აქ ბევრი საინტერესო ლექცია იქნა წაკითხული: „ახალი საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობის საფუძვლები“, „საბჭოთა საბინაო კანონმდებლობა“, „დანაშაულთან ბრძოლა და საზოგადოებრიობა“, „ნარკომანიის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძო-

ლა“; გარდა ამისა იმართება კითხვა-პასუხის საღამოები.

ლექციები ლექტორიუმში თვეში ერთხელ ტარდება. ლექტორებად იწვევენ ცნობილ მეცნიერებსა და სპეციალისტებს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და ქ. თბილისის ორგონიკის სახ. რაიონის პროკურატურის პასუხისმგებელ მუშაკებს.

ლექტორიუმს აქვს პერსპექტიული გეგმა, რომელიც კიდევ ბევრ საჭირო ღონისძიებას ითვალისწინებს.

ეს ინიციატივა მისაბაძი უნდა გახდეს ყველა უმაღლესი სასწავლებლისა და განათლების სისტემის სხვა დაწესებულებებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სამართლებრივი პროპაგანდის გაძლიერებას ახალგაზრდობაში. ეს კი იმის ერთერთი საწინდარი გახდება, რომ თბილისი გადაიქცეს სანიმუშო წესრიგისა და დისციპლინის ქალაქად.

საქართველოს საბჭოთაო საზღვრო სამართალი

1. არაუფლებამოსილი პირის მიერ დადებული ხელშეკრულება ექვემდებარება გაუქმებას.

ტოლიატის ხილბოსტანვაჭრობამ აღძრა ძიება ქარელის ხილკენკროვანი ღვინის ქარხანასთან დადებული ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. საქმის გარჩევის პროცესში გამოირკვა, რომ ქარელის ხილკენკროვანი ქარხანასა და ქ. ტოლიატის ხილბოსტანვაჭრობას შორის 1971 წლის დეკემბერში დაიდო ხელშეკრულება 25,7 ათასი დეკალიტრი ღვინის მიწოდებაზე. ხილბოსტანვაჭრობის მხრივ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა დირექტორის მოადგილემ ხილბოსტ-

ნეულის დამზადების დარგში, რომლის ფუნქციებში არ შედიოდა ხელშეკრულების დადება და არც ჰქონდა ამაზე სათანადო მინდობილობა. სახელმწიფო არბიტრმა იხელმძღვანელა რა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 62 მუხლით და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 22 მუხლით დააკმაყოფილა ქ. ტოლიატის ხილბოსტანვაჭრობის ძიება და გააუქმა დადებული ხელშეკრულება მისი დადების დღიდან.

2. არბიტრაჟში არ განიხილება იმ ორგანიზაციის ძიება, რომელიც არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით.

კავშირგაბმულობის მე-6 საექსპლოატაციო ტექნიკურმა კვანძმა აღძრა ძიება იუჟგაზპრომსტროის ქობულეთის № 10 საამშენებლო უბანთან კავშირგაბმულობის ხაზის დაზიანების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე. მოპასუხეს განმარტება არ წარმოუდგენია და ძიება დაკმაყოფილდა სრულად, მოთხოვნილი თანხის ოდენობით. საჩივარი შემოიტანა მოპასუხის ზემდგომმა ორგანომ ტრესტ იუჟგაზპრომსტრო სისპეცსამმართველომ, რომელმაც განაცხადა, რომ მოპასუხედ დასახელებული საამშენებლო უბანი იურიდიული პირი არ არის

და ამიტომ არ შეიძლება იყოს მოპასუხე არბიტრაჟში.

სახელმწიფო არბიტრმა იხელმძღვანელა რა სამეურნეო დავების განხილვის წესების 18 მუხლით, მიიჩნია, რომ საქმე არა სწორად იყო მიღებული არბიტრაჟის წარმოებაში, ზისთვისაც ამოირცხა ქობულეთის № 10 საამშენებლო უბანი მოპასუხეების რიცხვიდან, ჩააბა საქმეში მოპასუხედ ტრესტი იუჟგაზპრომსტროის სპეცსამმართველო, ხოლო საქმის მასალები გადაუგზავნა ქვემდებარეობისამებრ განსახილველად როსტოვის საოლქო სახარბიტრაჟს მოპასუხის აღდგომლდებარეობის მიხედვით.

3. მოპასუხე მხარე პასუხს არ აგებს სტიქიური მოვლენის შედეგად ტვირთის დაზიანებისათვის.

ცეკავშირის გამგეობამ აღძრა ძიება საჩხერის სოფლის კოოპერატივის ინტერესებისათვის რკინიგზით გადაზიდვის დროს მომხდარი თამბაქოს ნაწარმის დასვენელების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე. თამბაქოს ნაწარმი ვაგზავნილი იყო საქბაკალეის თბილისის ბაზის მიერ და ჩაბარდა საქონლის მიმღებს ნაწილობრივ დასველებული. საქონლის გამოგზავნა განაცხადა, რომ ტვირთი ჩაბარდა რკინიგზის საჩხერის სოფკოოპერატივის მისამართით, რკინიგზის პლომბებით და ამიტომ

სრული მოპასუხისმგებლობა ტვირთის სიმთელისა და დაუზიანებლობისათვის ეკისრება მას. რკინიგზამ წარმოადგინა მტკიცება იმისა, რომ ტვირთი დასველდა სადგურ ჭიათურის საწყობში შენახვის პერიოდში, ხოლო მის გაზიდვამდე მოვიდა ისეთი სიძლიერის თქეში, რომ შეუძლებელი იყო საწყობში მოთავსებული ტვირთის დასველებისაგან დაცვა. ვინაიდან რკინიგზის განმარტება დასაბუთებული იყო, სახელმწიფო არბიტრაჟმა არ დააკისრა რკინიგზას პასუხისმგებლობა ტვირთის დაზიანებისათვის,

სამოქალაქო სამართლის კოდექსი 219 მუხლით და რკინიგზის წესდების 148 მუხლის ძალით იცნო რა, რომ ტვირთის დაზიანება მოხ-

და დაუძლეველი ძალის (სტიქიური მოვლენის) შედეგად, რომლის თავიდან აცილება რკინიგზას არ შეეძლო.

4. დასაშვებია პროდუქციის მიწოდება კომპლექსში შემავალი იმ ცალკეული ნაწილების გარეშე, რომელიც მყიდველისთვის გამოუსადეგარია.

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნისა და ჟუბაინის ერთ-ერთ ქარხანას შორის არტეზონული ტუმბოების მიწოდებაზე ხელშეკრულების დადების დროს წამოიჭრა უთანხმოება მისაწოდებელი პროდუქციის კომპლექტურობაზე. მიმწოდებელი ქუთაისის ქარხანა აცხადებდა, რომ მოქმედი ტექნიკური პირობები ითვალისწინებენ ტუმბოს გამოშვებას მასში ჩართული ელექტროგამწვებით, რის დამამტკიცებლად წარმოიქმნა დამამტკიცებელი უწყისები, ხოლო მყიდველმა უთანხმოების ოქმით მოითხოვა ტუმბოების მიწოდება ელექტროძრავების გარეშე იმ მოტივით, რომ მის ქარხანაში დაგროვდა დიდი რაოდენობის ელექტროძრავები და კიდევ ახლების შექენა მიზანშეწონილია. შექმნილ მდგომარეობას მყიდველი ხსნიდა იმით, რომ ტუმბოების ხმარების ვადა არ აღემატება 6-8 წელიწადს, ხოლო ელძრავები მუშაობენ 15-20 წელიწადს.

სახელმწიფო არბიტრმა მიიღო მხედველობაში, რომ საწარმოო ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების 41-ე მუხლის თანახმად პროდუქციის მიწოდება უნდა ხდებოდეს კომპლექტურად, სახელმწიფო სტანდარტების, ტექნიკური პირობების ან პრეესკურანტის მოთხოვნის შესაბამისად. ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს პროდუქციის მიწოდება კომპლექსში შემავალი იმ ცალკე ნაკეთობების (ნაწილის) გარეშე, რომელიც მყიდველისათვის გამოუსადეგარია მოცემულ შემთხვევაში, რამდენად მყიდველს ელძრავები არ სჭირდებოდა, ხოლო ტუმბოების დამზადება ელძრავების გარეშე ტექნიკურად შესაძლებელი იყო, ხელშეკრულებასთან დართული სპეციფიკაცია მიღებული იქნა მყიდველის რედაქციით.

5. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ლითონგასაღების სამმართველოს განრიგით 1970 წ. სექტემბერში გაუგზავნა ასტრახანის მბურღავ კანტორას 5731 მან. ღირებულების ლითონის მილები. ანგარიშსწორება მოხდა ლითონგასაღების სამმართველოს მეშვეობით. ტვირთი დანიშნულების სადგურზე არ მივიდა. ამასთან დაკავშირებით საქონლის მიმღებმა რამდენჯერმე ითხოვა დეპეშით და წერილობით როგორც ლითონგასაღების სამმართველოსაგან, ისე რუსთავის ქარხნისაგან, რკინიგზის ზედნადების ქვითრის გამოგზავნას, რის გარეშე მას არ შეეძლო მიემართა პრეტენზიით რკინიგზისადმი. მოპასუხეებმა აღნიშნულზე არაფერი უპასუხეს, რის გამო აღიძრა ძიება სახელმწიფო არბიტრაჟში.

საქმის გარჩევის პროცესში საქონლის გამოგზავნა წარმოადგინა რკ. ვზ. სადგ. რუსთავის ცნობა ტვირთის გაგზავნაზე და იმ რკინიგზის საბუთები, რომელიც ნაჩვენები იყო მიმწოდებლის ანგარიშში. მიუხედავად ამისა, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას დაეკისრა მაძიებლისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. მაძიებელმა თავის დროზე საპრეტენზიო ვადის ფარგლებში სთხოვდა მომწოდებელს იმ საბუთის გამოგზავნას, რომელიც აძლევდა მას უფლებას წარედგინა პრეტენზია რკინიგზისადმი ტვირთის დაკარგვის შესახებ. ეს თხოვნა უმიზეზოდ არ იყო შესრულებული და მაშასადამე მაძიებელმა განიცადა ზარალი მიმწოდებლის ბრალით, ძიება დაკმაყოფილდა სრულად.

ნეკროლოგი

იოსებ ნეკოლოზის ძე სიჭინავა

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა იოსებ ნეკოლოზის ძე სიჭინავა.

ი. ნ. სიჭინავა დაიბადა 1898 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ლესიჭინეთში, ბაქოს ნავთობსარეწის მუშის ოჯახში. სწავლის პერიოდის დროს ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და ხელმძღვანელობდა მუშათა მარქსისტულ წრეებს. სკკპ რიგებში შევიდა 1920 წელს და აქტიურად იბრძოდა აზერბაიჯანსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

1921-1930 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში ბრიგადის შტაბის სამხედრო კომისრად, კოლექტივიზაციის წლებში — ახლად ორგანიზებული მტს-ების პოლიტსამმართველოში.

მან დიდი როლი შეასრულა ჩვენს რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისა და პირველი საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბებისა და მათს განმტკიცების საქმეში.

1934-1937 წლებში ი. ნ. სიჭინავა მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე რესპუბლიკის პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებში. სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე განაგრძობდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას საზოგადოებრივ საწყისებზე.

ი. ნ. სიჭინავა იყო პრინციპული, საქმის მოყვარე და უანგარო მუშაკი.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაპობის ჯგუფი

8 38/28.



საქართველოს
საბჭოთავო სოციალისტური
რესპუბლიკის

3560 50

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 6

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР